
619
1971
ეროვნული
ბიბლიოთეკა
დროშა
№ 5 მაისი 1971






# ორმოცდაათი

ალიო მირცხულავა



გულს ალმაფრენით მღერა სწადია,
ეტრფის მშობლიურს, — მისი ტოლია.
ორმოცდაათი წელიწადია —
თავს დასტრიალებს, როგორც თოლია,
მისი რა ვნახო, — არ გამიხარდეს,
გაჰქრა ბნელი დრო, — რაც მაღონებდა,
მე საქართველო რომ არ მიყვარდეს, —
სიმღერას ვინღა შთამაგონებდა?!
მარად შუქსავსე მხარე მშობელი
დიდ საბჭოეთში ბრწყინავს, ანთია,
ვით გაზაფხული დაუჭკნობელი —
შეტრფის თებერვლის წითელ განთიადს.
ამ დღეს ელოდა კერა მიმქრალი,
ცეცხლად ოქტომბრის დროშას არწევდა,
ვერ დაგვერია დროთა გრიგალი,
ვერ დაარბია ბუდე არწივთა.
ჟღერს ალაზანი, მტკვარიც, რიონიც,
ხარობს კოლხიდა, ქართლი, კახეთი,
ამაღლებულა კავკასიონი —
მთელი მსოფლიოს გადასახედი
მზით შემოსილი და შემკობილი
მტერმა სამშობლო ვერ გადათელოს,
ძმური ერების მკვიდრი ძმობილი —
თხუთმეტთა შორის დგას საქართველო.
მას გამარჯვების ახსოვს მაისიც,
ომიც და მტრობაც მუხანათური,
ხალხთა მშვიდობის ხმები გაისმის
მისი შრომის ხმა, მისი ნადური.
გულსაც მთელი ხმით მღერა სწადია,
ეტრფის მშობლიურს, — მისი ტოლია,
ორმოცდაათი წელიწადია —
თავს დასტრიალებს, როგორც თოლია.
მისი მზე ვნახო და გამიხარდეს,
გაჰქრა წარსული, რაც მაღონებდა,
მე საქართველო რომ არ მიყვარდეს, —
სიმღერას ვინღა შთამაგონებდა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (414) მაისი, 1971 წ.

გამოცემის წელი 49-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი





მოსკოვი. სკკპ XXIV ყრილობის გახსნა. სურათზე: ყრილობის პრეზიდიუმში.

11599

# უმაღლესი ფორუმი

მიმდინარე წლის 30 მარტიდან 9 აპრილამდე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა. ჩვენი პარტიის უმაღლესმა ფორუმმა, რომელშიც მონაწილეობდნენ 91 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა, ეროვნულ-დემოკრატიული და მემარცხენე სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი, გვიჩვენა კომუნისტების, მსოფლიოს მთელი რევოლუციური ძალების სულ უფრო მზარდი ერთიანობა, გვიჩვენა, რომ ისინი იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრინციპულ მარქსისტულ-ლენინურ ხაზს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლის გზაზე.

ყრილობამ მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ყრილობის დელეგატებმა, მთელმა პარტიამ და ხალხმა ერთსულოვანი მოწონებით აღიქვეს ეს მოხსენება, როგორც შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო დოკუმენტი. მასში მოცემულია თანამედროვე ეპოქის, სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ პარტიისა და ხალხის საქმიანობის შესანიშნავი შედეგების ღრმა ანალიზი და განსაზღვრულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისათვის, სოციალიზმის ქვეყნების შეკავშირებისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცებისათვის ბრძოლის ვრცელი პროგრამა. ყრილობამ ერთსულოვნად, სავსებით და მთლიანად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, წინადადებანი და დასკვნები, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება შეიცავს. ყველა პარტიულ ორგანიზაციას წინადადება მიეცა იხელმძღვანელონ მოხსენების დებულებებით თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში.

ყრილობამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, რომელთა შესახებ ყრილობას მოახსენა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ა. ნ. კოსიგინმა.

მიღებულია დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ.

ყრილობამ მიიღო მიმართვა „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს!“ და განცხადება „ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის!“

ყრილობამ ერთსულოვნად აირჩია პარტიის ცენტრალური ორგანოები.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIV ყრილობას საქართველოს მშრომელებიც. მათ მოიპოვეს დიდი წარმატებანი პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებების, მერვე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში. დღეს შეგვიძლია ყრილობას მოვახსენოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ამ დროის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა, ამასთან ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა თითქმის 9 პროცენტი, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე წინა ხუთ წელიწადში.



მიმართავდა რა კავკასიის კომუნისტებს, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ საჭირო იყო მთელი ძალ-ღონით განევითარებინათ მდიდარი მხარის საწარმოო ძალები, დაეწყოთ ელექტროფიკაციის დიდი სამუშაოები, ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ უდიდესი წიაღისეული სიმდიდრენი — ნავთობი, მარგანეცი, ქვანახშირი, სპილენძი; ფართოდ ეწარმოებინათ რწყვა, რომელიც ყველაზე უფრო საჭირო იყო და ყველაზე უფრო გარდაქმნიდა მხარეს, ააღორძინებდა მას.

გავიდა 50 წელი, და დღეს შეგვიძლია მოვახსენოთ ყრილობას, რომ ლენინის ეს მითითებანი წარმატებით სრულდება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჭეშმარიტად აყვავდა საქართველოს მრავალდარგოვანი, მაღალმექანიზებული სოფლის მეურნეობა, რომელმაც საიუბილეო წელს მოგვცა რესპუბლიკის მიწათმოქმედების მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე უხვი ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავალი. 1970 წელს სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჩვენი ყრილობის გახსნის წინ მიეკუთვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.





საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას საქართველოს კომპარტია შეხვდა ორგანიზაციულად კიდევ უფრო განმტკიცებული, იდეურად გამოწრთობილი, ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული. საქართველოს კომუნისტებმა დაავალეს ჩვენს დელეგაციას განაცხადოს ყრილობაზე, რომ ისინი გულმხურვალედ უჭერენ მხარს, სავსებით და მთლიანად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას.

საქართველოს კომუნისტური პარტია აღუთქვამს ყრილობას, რომ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განამტკიცებს თავისი რიგების მონოლითურ ერთიანობასა და შეკავშირებას, მტკიცედ განახორციელებს ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს, მუდამ იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული, მებრძოლი რაზმი.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვიდან სკკპ XXIV ყრილობაზე.**

ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა საბჭოთა ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის, სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო გაქანების ვითარებაში. ჩვენი ხალხი მჭიდროდ შეკავშირებულია პარტიის გარშემო, უყოყმანოდ უჭერს მხარს მის პოლიტიკას. ყრილობამ უდიდესი დამაჯერებლობით ცხადყო ჩვენი საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების გიგანტური, განუხრელად მზარდი ძლიერება, მისი ნაცადი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის სიბრძნე და თანმიმდევრობა, მისი ურყევი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დირექტივები უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით შესრულდა. ამის შედეგად შეიქმნა კარგი წანამძღვრები ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, ახალი ხუთწლედის რთული ამოცანების გადაჭრისათვის.

„მეცხრე ხუთწლედი კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს, — ხაზგასმით აღნიშნა მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომისნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ განსაზღვრა, რომ მძიმე ინდუსტრია კვლავაც არის ქვეყნის ეკონომიური ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საფუძველი. დადასტურდა და განვითარდა სოფლის მეურნეობის აღმავლობის წინათ დასახული ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამა. ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია ყოველი ღონისძიებით გავაფართოოთ სახალხო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოება, სრულვყოთ ვაჭრობა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით — თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე, რევოლუციური მეცნიერებით და ყოველ ღონეს ხმარობს მისი კიდევ უფრო განვითარებისათვის. საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების, მისი მთავარი ტენდენციების თეორიული გააზრება საშუალებას გვაძლევს ვიწინასწარმეტყველოთ საზოგადოებრივი პროცესების მსვლელობა, შევიმუშაოთ სწორი პოლიტიკური კურსი, თავიდან ავიცილოთ შეცდომები და სუბიექტივისტური გადაწყვეტილებანი. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გააჩაღა შეტევითი ბრძოლა ანტიკომუნიზმის იდეოლოგიის, სხვადასხვა ბურჟუაზიული და რევიზიონისტული კონცეფციების წინააღმდეგ. ყრილობამ აღნიშნა, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარება და პროპაგანდა, მისი რევიზიის ცდების წინააღმდეგ ბრძოლა კვლავაც უნდა იყოს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ცენტრში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელ საქმიანობას საფუძვლად უდევს ხალხის ინტერესებისადმი უსაზღვრო ერთგულება, პარტიისა და ხალხის ინტერესების ერთიანობა ანიჭებს უძლეველ ძალას ჩვენს საზოგადოებას, იმის უნარს, რომ დაძლიოს ყოველგვარი განსაცდელი. პარტია ყველაზე მაღლა აყენებს მასების ნდობას, უფრთხილდება მას. ვ. ი. ლენინმა გვიანდერძა ყოველნაირად განვამტკიცებდეთ ჩვენს დიად პარტიას, ვაღრმავებდეთ მის კავშირს ხალხთან, მასებთან, და ჩვენ ამ ანდერძის ერთგული ვიქნებით.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაშლილი პროგრამა. მშვიდობის ამ კონსტრუქციულ პროგრამას ყველაზე ფართოდ და დადებითად გამოეხმაურნენ პლანეტის ყველა კონტინენტზე.

კომუნისტთა მრავალმილიონიანი არმიის სახელით ყრილობამ მუშებს, კოლმეურნეებს, სახალხო ინტელიგენციას, მთელ საბჭოთა ხალხს მოუწოდა შთაგონებით და შემოქმედებითად იშრომონ ჩვენი დიადი სამშობლოს აყვავებისათვის.

საბჭოთა ადამიანები — საკუთარი ბედის, საკუთარი ბედნიერების შემოქმედნი — აღფრთოვანებით უპასუხებენ მშობლიური პარტიის მოწოდებას და აცხადებენ, რომ მზად არიან ხორცი შეასხან XXIV ყრილობის მიერ დასახულ კომუნისტური აღმშენებლობის პროგრამას.

კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი გულდაჯერებით და მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ.

# ლენინის ქუჩა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო თ. არჩვაძისა.

დახედეთ ორ ფოტოს, რომლებიც აქ არის დაბეჭდილი, აქ ერთი და იგივე ქუჩაა გადაღებული, ერთი და იგივე წერტილიდან, მაგრამ აქ, ამ ქუჩაზე ჩანს ორი ეპოქა — ძველი და ახალი; პირველ ფოტოს წარსული აღუბეჭდავს, მეორეს — ჩვენი დღევანდელი დღე.

ეს უბრალო ფოტოები კი არა, მატიანეა. ამაზე მჭევრმეტყველ დოკუმენტს სად მოძებნი!

რაზე მოგვითხრობს ეს მატიანე? იმაზე, თუ როგორ იზარდა, როგორ გაიფურჩქნა თბილისი ლენინის დროშის შუქსა და ნათელზე.

მარტო თბილისი კი არა, მთელი საქართველო!

ამ მაგისტრალს, ფოტოზე რომ ხედავთ, ახლა ლენინის ქუჩა ჰქვია; გასულ საუკუნეში კი იგი იხსენებოდა როგორც საქართველოს სამხედრო გზა, შემდეგ — ოლღას ქუჩას ეძახდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეშვიდე თვეს, 1921 წლის 21 სექტემბერს, მას ეწოდა ლენინის ქუჩა და აქვე საზეიმოდ გაიხსნა დიდი ბელადის სკულპტურული მონუმენტი.

საქართველო პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც თავისი დედაქალაქის ცენტრში ააგო მსოფლიო მუშათა კლასის ბელადის მონუმენტი (შესრულებული მოქანდაკე ვ. ა. სერგეევის მიერ.). ქალაქ თბილისმა ერთ-ერთმა პირველმა თავის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას უწოდა დიდი ლენინის სახელი. ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს ამით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ეს ქუჩა აბრეშუმის ფაბრიკასთან მთავრდებოდა. შემდეგ დიდი დაღმართით იწყებოდა საქართველოს სამხედრო გზა. როგორც ქუჩის ნაწილი, ისე საბურთალო, გზის გასწვრივ, ქოხმახებით იყო გაშენებული.

1932 წელს, ლენინის ქუჩის გაგრძელებაზე, მდინარე ვერაზე, ძველი ხიდის მოსაზღვრედ, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი იხსენიებს, ქვის ახალი ხიდი აიგო და ქუჩა გასწორდა, ამაღლდა.

1933 წელს ინჟინრების — გ. ჭავჭავაძის, მ. სტეფანოვის და ამ სტრიჟონების ავტორის მიერ შედგენილი პროექტის თანახმად დაიწყო ქუჩის რეკონსტრუქცია, ქოხმახების აღება მოედნის მოსაწყობად.

1934 წელს დაიწყო ამ მოედნის მშენებლობა და იმავე წელს ახალ მოედანს საბჭოთა კავშირის გმირთა სახელი ეწოდა იმ მფრინავთა პატივსაცემად, რომლებმაც ჩელუსკინელთა გადარჩენაში ისახელეს თავი.

ლენინის ქუჩისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ ასბინიანი საცხოვრებელი სახლის აგებას. ეს მშენებლობა დაიწყო 1936 წელს არქიტექტორ მ. კალაშნიკოვის პროექტით და დამთავრდა 1939 წლის აპრილში. ამ შენობის 11 სართულიანი კორპუსი — პირველი მაღალი შენობა იყო იმ დროს ჩვენს დედაქალაქში.

ლენინის ქუჩაზე სხვადასხვა დროს აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სახელმწიფო დაწესებულებათა შენობები, მათ შორის 1935 წელს — „კომუნისტის" რედაქციის შენობა. 1963 წელს მოხდა მისი რეკონსტრუქცია და დაშენება. მასში მოთავსებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა და პოლიგრაფკომბინატი, სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა რედაქციები.

აგებულ შენობათა შორის აღსანიშნავია „საქნავთის" სახლი და ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კორპუსები, მეტალურგიული ტექნიკუმი და ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ყველაზე თვალსაჩინო მაინც თბილისელთა საყვარელი სპორტის სასახლეა, რომლის მშენებლობა დაიწყო „თბილქალაქპროექტის" ინსტიტუტის პროექტით (არქიტექტორები ი. კასრაძე, ვ. მესხიშვილი და ინჟინერი დ. ქაჯაია); სასახლე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 1961 წლის 29 აპრილს. ამ გრანდიოზული ნაგებობის დარბაზი 10.500 მაყურებელს იტევს.



რადიოსა და ტელევიზიის სახლის ლამაზმა თანამედროვე სტილით აგებულმა შენობამ დაამშვენა მაგისტრალი. პროექტის ავტორია არქიტექტორი ა. ქურდიანი. ტელეცენტრი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ნაგებობაა.

1957 წელს ვარაზისხევის ფართო მაგისტრალის გახსნამ უკეთესი ელფერი შესძინა ლენინის ქუჩას.

დიდი ბელადის დაბადების დღის აღსანიშნავად, 1958 წლის 22 აპრილს ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მთავარი კორპუსის წინ საზეიმოდ გაიხსნა დიდი ლენინის ძეგლი.

ყველა ახალ შენობას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ახალი 22 სართულიანი სასტუმრო „აჭარა", რომელსაც ლენინის ქუჩისა და ორჯონიკიძის მოედნის კუთხეში აგებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „მაღლივმშენის" სპეციალიზებული ტრესტი. ახალი სასტუმრო საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1972 წელს (არქ. მ. მელია).

ლენინის ქუჩა რუსთაველის სახელობის მოედნიდან იწყება და ამჟამად იგი სააკაძის მოედნამდე გრძელდება. თუ წინათ ქუჩას 800 მეტრი სიგრძე ჰქონდა, ამჟამად იგი 2550 მეტრზეა გადაჭიმული.

ასეთია ქუჩა, რომელიც ატარებს ყველაზე დიდი ადამიანის, კაცობრიობის ახალი ისტორიის შემოქმედის — ვ. ი. ლენინის სახელს.

გიორგი ბეჟანიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.



ჩვენი დედაქალაქის მთავარი მაგისტრალი.



აქ იბადება ქართული ელმავალი.

# ფოლადივით მტკიცე

ორმოცდამეათეჯერ აღნიშნავს ჩვენი ხალხი თავისი განთავისუფლების დღეს, ორმოცდამეათეჯერ ვზეიმობთ ამ დიდ დღესასწაულს! დღეს თვალს ვავლებთ საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომუნისტური პარტიის ნახევარსაუკუნოვან სახელოვან ისტორიას და გული სიამაყით ივსება.

აქ მინდა გავიხსენო დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

„ჩვენს საქართველოში არცერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თვითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის ან ქარხნის რისამე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორც მაგალითებრ, თბილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს, სადაც სოფლის ნაჭირნახულევი და ნაწარმოები საღდება, ისიც დიდი ვაივაგლახითა და გაჭირვებით, და საიდანაც შორიდან, სხვა ქვეყნიდან მოტანილი საქონელი გადის ვაჭრობის შემწეობით სოფლად".

როცა ილიას ეს სტრიქონები იწერებოდა, იმ დროის ადამიანი მარტო ოცნებით თუ წარმოიდგენდა, რომ თბილისში, მტკვრის პირას იარსებებდა ქარხანა, სადაც ააწყობდნენ ჩარხებს და გაუგზავნიდნენ ბუდაპეშტს, ლიონს, კაიროს, ქაბულს და კიდევ მრავალ სხვა ქალაქებს; რომ რიონის პირად გაკეთებულ ავტომანქანას შეხვდებოდით ვლტავასა და ვისლას, ოდერისა და ნილოსის სანაპიროებზე, რომ თბილისურ შალსა და აბრეშუმს ჩაიცმევდნენ ბულგარელები, რუმინელები, ლიტველები, უზბეკები, ტაჯიკები და კიდევ ვინ მოსთვლის! მარტო ოცნებით თუ წარმოიდგენდნენ, რომ საქართველო გახდებოდა მაღალგანვითარებული მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ქვეყანა, რომ იგი გამოუშვებდა ასეულ ათასობით ტონა ფოლადს, თუჯს, ნაგლინს, რომ ქართველი მეფოლადეები წავიდოდნენ როგორც მასწავლებლები აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, რათა იქაურ მკვიდრთათვის ესწავლებინათ მეტალურგიის ურთულესი ხელოვნება.

აი რა მოგვიტანა ამ ნახევარმა საუკუნემ.

სულით და გულით ვულოცავ ჩვენს ხალხს ამ დიდ ეროვნულ დღესასწაულს და ვუსურვებ მას მარადიულ ბედნიერებას. დაე, კვლავაც ჰყვაოდეს და იფურჩქნებოდეს ჩვენი საყვარელი სამშობლო, ჩვენი ლამაზი მამული!

ოცდახუთ თებერვალს დაიწყო ეს გაზაფხული ძველ ქართულ მიწაზე, დიდი ოქტომბრის უმცროსი ძმაა ეს თებერვალი. ახალგაზრდა ინდუსტრიული რუსთავიც მისი პირმშო გახლავთ.

ახლა ჩვენი პლანეტის ყოველ კუთხე-კუნჭულში სმენიათ და იციან მეტალურგთა და ქიმიკოსთა ქალაქის შესახებ, რომელსაც ამ ოცდახუთი წლის წინათ ჩაეყარა საძირკველი. დღეს მსოფლიოს რომელ ქვეყანაში არ შეხვდებით რუსთავული მარკის ფოლადის მილებს და ფურცლებს, რუსთავულ კორდსა და კაპრონს.

რუსთავი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ქალაქია. რუსი, უკრაინელი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, ვინ არ გვიდგა მხარში მის შენებისას!

რუსთავის ფოლადივით მტკიცე და ურღვევია ჩვენი ხალხების მეგობრობა.

ჩვენ, ქართველ მეტალურგებს არასოდეს დაგვავიწყდება ის ძმური დახმარება, რასაც გვიწევდნენ საბჭოთა რუსეთისა და უკრაინის მეტალურგები, როცა იქაურ ქარხნებში გავდიოდით საწარმოო სწავლებას, ვეუფლებოდით მეტალურგთა რთულ პროფესიებს.

უზომოდ მოხარული ვარ იმით, რომ, სხვებთან ერთად, მეც მერგო წილად ბედნიერება ვყოფილიყავ იმ ადამიანთა შორის, ვინც პირველი რუსთავული ფოლადი გამოადნო. ეს იყო 1950 წლის 27 აპრილს. მაშინ მე მეფოლადის მენაშე ხელშემწყობად ვმუშაობდი.

შარშანწინ რუსთავის № 655 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა უდიდესი ნდობა გამომიცხადეს და ამირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. პირველმა სესიამ, რომელიც იმავე ხანებში გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში, უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო კომისიის შემადგენლობაში ამირჩია.

დიახ, მარტო დიდ ოქტომბერს და მის უმცროს ძმას — ოცდახუთ თებერვალს შეეძლო მოეტანა ყველა მშრომელი ადამიანისათვის ამდენი დაფასება, ბედნიერება და სიხარული.

მამაჩემს, სიღნაღელ გლეხს პავლე ხაჩანდრაშვილს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოჯამაგირედ მუშაობდა, განა შეეძლო იმაზე ფიქრი, რომ მის შვილს საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში აირჩევდნენ? მაგრამ ჩვენი ქვეყანა ხომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოა, ხალხია ქვეყნის განმგებელი და ბატონ-პატრონი. ჩემი უფროსი ძმა — შალვა ხაჩანდრაშვილი სოფელ საქობოს საბჭოს თავმჯდომარეა, და — მარიამი, კოლმეურნეობის რიგითი წევრი, სასოფლო საბჭოს დეპუტატადაა არჩეული, უმცროსმა დამ — ქეთევანმა უმაღლესი განათლება მიიღო და ვაქირის საშუალო სკოლაში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. ასეთ მომავალზე, ხალხის ესოდენ დიდ ბედნიერებაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ ჩვენს წინაპრებს.

**მიხეილ ხაჩანდრაშვილი,**
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სინათლე.



ტყვარჩელის ზესა.



ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე მოწინავე მეჩაიეებთან.



მარცხნიდან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სვეტლანა ნიკოლაიშვილი, ნათელა ზოიძე და ცირა ბურჭულაძე.

## იხარე ჭერო

დღეს ამ სოფელზე, აქაურებზე ჩვენში ლეგენდებს ჰყვებიან. ახლა გარეთ არ იკითხავთ? სხვა რომ არა ვთქვათ, ის ორმოცი კაციც საკმარისია, ორმოცი სახელმწიფოს ელჩი, ერთ დღეს „თავს რომ დაესხა" ნატანებს და მერე ორმოც ქვეყანას მოსდო ერთი ქართული სოფლის და მისი ხალხის საგმირო საქმეები.

გაიხარა ნატანებმა სტუმრების ხილვით. მოატარეს უცხოელებს მთელი სოფელი, უჩვენეს თავისი ავლადიდება, სიმდიდრე, ჩაის, ციტრუსის, ტუნგოს პლანტაციები, გურულმა გლეხმა სტუმარი თავის ოდაში შეიპატიჟა. იმ დღეს ნატანებში ორმოც ოჯახში გაიშალა სუფრა, ორმოც ქვევრს მოჰხადეს თავი, ორმოც ოჯახში გაისმა კრიმანჭული... ველარ დამალეს სტუმრებმა აღტაცება და ერთმა ასე უთხრა მასპინძელს: „თუ არის კიდევ საბჭოთა კავშირში ისეთი სოფელი, როგორიც ნატანებია, არის მეორე ასეთი კოლმეურნეობა და კოლმეურნეობის თავმჯდომარე როგორიც გივი წითლიძეა, თუ გყავთ კიდევ ისეთი ქალები, როგორიც დარეჯან ტაკიძე და ლიუდი ხურციძეა... თუ არის კიდევ საბჭოთა კავშირში ასეთი ორმოცი „სასტუმრო" — უფრო ძლიერი ქვეყანა, მეორე, არსად მეგულებაო".

— არის, რამდენიც გნებავთ, იმდენია ჩვენში ასეთი სოფელიო, — უპასუხეს გურულებმა.

## წარსულის გახსენება

ადრე ჭაობისა და მალარიის ბუდე იყო ნატანები, კოღო სწოვდა სისხლს აქაურ გლეხს. ნატანებელს კანის ფერზე იცნობდნენ მეზობელ სოფლებში — კომშის ფერი ედოთ სახეზე. უჭირდა ნატანებში მიწას და გლეხსაც უჭირდა. სოფლის წარსულზე, გლეხთა უუფლებობასა და მონობაზე დღეს უფროსი თაობა უამბობს ახალგაზრდობას: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ულვთო იყო ბედი მიწისაცა და გლეხისაც. გლეხს კისერზე აწვა ჯერ მეფისა, და მერე მენშევიკების უღელი. ბევრჯერ ამბოხებულა აქაური გლეხი უსამართლობის, ჩაგვრის წინააღმდეგ. აქაურები სათუთად ინახავენ თავიანთი თანასოფლელი მებრძოლების — მიზარბეგ და ილარიონ გობრონიძეების, ლაზარე და მოსე ბაჯელიძეების, ილარიონ ჩხარტიშვილის, სერგო გოგატიშვილის და მრავალი სხვის ხსოვნას, რომელთაც თავიანთი სისხლით და ბრძოლით მოუტანეს თავისუფლება ხალხს.

## სამი ძმანი გურულები

ხანში შესულ კოლმეურნეებს გუშინდელივით ახსოვთ 1930 წლის თებერვლის ის დილა, როცა სოფელში თავი მოიყარეს კომუნისტებმა და უპარტიო გლეხებმა, რათა სოფლის ბედი გადაეწყვიტათ. იმ დღეს სოფელში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა, მასში 425 კომლი გაერთიანდა. 1500 ჰექტარი მიწა, რამდენიმე უღელი ხარი, სამი ცხენი და რამდენიმე გუთანი. ეს იყო მაშინდელი კოლმეურნეობის მთელი ქონება.

შეუტია გლეხობამ ჭაობებს. ამოაშრეს, გაჩეხეს ჯაგნარი, გაიყვანეს გზები და მოჰყვნენ სოფელში ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს პლანტაციების გაშენებას, მოჰყვნენ მუშაობას ყანაში, ჩაის პლანტაციებში, სხვისთვის კი არა, თავისთვის, თავისი შვილების ბედნიერებისათვის.

ახლად დაიბადა სოფელი, ახლად დაიბადა ხალხი. განვლო ექვსმა წელიწადმა კოლმეურნეობის დაარსებიდან და სოფელს ველარ იცნობდით, ველარ იცნობდით აქაურ გლეხს, მის ოდას. ნატანებელი კოლმეურნეები მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ. იმ წელიწადს საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წელი შეუსრულდა, საქართველოს მშრომელებმა ი. ბ. სტალინს წერილი გაუგზავნეს, წერილი და ლექსი. ლექსში ნათქვამი იყო:

„ორსანტია" „გურიანთა",
„ტელმანი", თუ ნატანები
დაუშრეტელ შრომით გახდნენ
მილიონის პატრონები,
მიმინოშვილს კოლმეურნეს
ახლა აქებს მთლად გურია,
მისი ოდა სიხარულის
და სიმდიდრის სადგურია.

იმ დღიდან ნატანებელ კოლმეურნეთა დიდებას ყოველდღე ჰყვება რადიო, პრესა: „მიბაძეთ ნატანებს", „დანერგეთ მათი გამოცდილება", მოუწოდებენ გაზეთები კოლმეურნეობებს. სოფელში მზე რომ ოქროსფრად ამოანათებს, ნატანებელი გლეხი უკვე ფეხზეა, კალათით ხელში, მხარზე გიდელით, თავზე ჩალის ქუდით ჭიშკარს გამოაღებს და ჩქარი ნაბიჯით მიდის. მას ეწევა მეორე, მესამე, მეათე, დიდი, პატარა, მოხუცი, ახალგაზრდა. ყველას ჩაის პლანტაციებისაკენ, ციტრუსების ნარგავებისაკენ მიეჩქარებათ. ვინ არის ეს ქალი? საქვეყნოდ სახელგანთქმული მეჩაიე დარეჯან ტაკიძე გახლავთ. ის კი ლიუდი ხურციძეა, ვეტერანი კოლმეურნე, ისიც სოციალისტური შრომის გმირია. მათ

ნატანები. მეთერთმეტე ბრიგადა პლანტაციაში. ცენტრში — საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ალ. თოიძე და კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე.



# სოფელი ღონიერია

ეროვნული ბიბლიოთეკა



### გულნარა ბახტაძე

ახალგაზრდა ქალი წამოეწიათ, ეს კოლმეურნეობის თავმჯდომარის გივი წითლიძის მეუღლეა — მაცნობს კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამირან პატარავა. ჩვენი თავმჯდომარე სოფელში მუქთად პურს არავის აჭმევს, — იცინიან გურულები.

აგერ ორსართულიანი სახლიდან ხანშიშესული ქალი და კაცი გამოვიდნენ, ორთავეს კალათა უჭირავს ხელში... ეს მარიამ და კონსტანტინე გუჯაბიძეები არიან, ხუთი ვაჟკაცი გააცილეს მათ სამამულო ომში — გერონტი, ივსიხი, დავითი, ივანე, ვარდენი. შინ მარტო გერონტი დაბრუნდა... იქ, პლანტაციებში კი მათი ბიჭების სახელობის ბაღია... იმათი წილი ჩაი უნდა დაკრიფოს მარიამმა დღეს...

აგერ გმირი მეჩაიე ქალები — ანუშკა ბაბილოძე, ნინო მიმინოშვილი, თამარ ცენტერაძე, ანა ღელეყვა — სოციალისტური შრომის გმირები. ამათი ქმრები ვეღარ დაბრუნდნენ შინ. ობლად დარჩნენ მათი შვილები, მაგრამ სოფელმა ბავშვებს ობლობა არ აგრძნობინა.

მწვანე გორაზე ობელისკი დგას. აქ ბაღში 300 ძირი ციტრუსია დარგული, იმ სამასი ნატანებელის სახელზე, რომლებიც შინ ვერ დაბრუნდნენ.

დიდ სამამულო ომში ექვსასი კაცი გააცილეს ამ სოფლიდან... მათი ადგილი მინდვრებსა და პლანტაციებში ქალებმა, მოხუცებმა, ბავშვებმა დაიჭირეს. მათ სოფლისათვის ვაჟკაცის ხელი არ მოუკლიათ. ომის დროს ნატანების კოლმეურნეობა შრომითი გამარჯვებებით ახარებდა ფრონტზე წასულ ვაჟკაცებს, სამასი ნატანებელი ვერ დაბრუნდა შინ, სამასი კი კვლავ დაუბრუნდა თავის ქვეყანას, თავის სოფელს. ამ ბედნიერთა შორის ერთი გივი იყო, აკაკი და ნინო წითლიძეების ბიჭი. დაბრუნდა და ჩადგა სოფლის სამსახურში, კოლმეურნეობის სამსახურში.

ეს ბიჭუნები და გოგონები ვინ არიან, აგერ ჩაის მობიბინე ბუჩქებს რომ დასტრიალებენ? ჩქარ-ჩქარა კრეფენ ლორთქო დუყებს, ზედიზედ ავსებენ კალათებს მწვანე ფოთლით. ეს ნორჩი მეჩაიეებია. სკოლიდან თავისუფალ დროს ჩაის ფოთოლს კრეფენ.

ვუცქერი მათ და ვფიქრობ: იქნებ ეს გოგონა — რუსიკო, ან ეს ბიჭი — ნური ბაქანიძე ნესტორ ბაქანიძის შვილიშვილია, იქნებ აგერ ის ბიჭი, თოხს რომ ღონივრად ურტყამს მიწას, აბესა ბოლქვაძის შვილიშვილია? იმ ნესტორის, იმ აბესასი, რომლებმაც სისხლითა და ბრძოლით მოიპოვეს სოფელში თავისუფლება. იქნებ ის გოგონა, ან ის ბიჭუნა სოლომონ გობრონიძის შვილიშვილია, ან იქნებ მარო ბოლქვაძის, ან ნატაშა დონაძის, ან კესა ბაქანიძის შვილიშვილია, იმ კესასი, იმ სოლომონის, რომლებმაც პირველი ბარი დაჰკრეს ჭაობიან და ჯაგნარიან მიწას, ვინც შექმნა,ააყვავა ეს მშვენიერი სოფელი.

სამი ძმანი გურულები, ავთანდილ, ჯემალი, ნური — მუშაობენ ყანაში, კვლავ მუშაობენ ძმები გურულები, ღონივრად იქნევენ თოხს... სამი ძმანი გურულები... ნანასაც დასძახიან ომახიანად, ხალისიანად მუშაობენ და სწავლობენ. სწავლობენ სკოლაში, ინსტიტუტებში, დღეს მათთვის ყველა გზა ხსნილია.

### მაღალი ოდა

ადრეც ვყოფილვარ ნატანებში, სწორედ იმ წელიწადს აირჩიეს კოლმეურნეობაში ახალი თავმჯდომარე, ის უკვე შედგომოდა სამსახურს, თბილისში იყო გამოძახებული და არ დამხვდა სოფელში. არ დამხვდა თავმჯდომარე, მაგრამ დამხვდა სოფელი, ხალხი. ბედნიერი და კმაყოფილი. სიხარულს ვეღარ მალავდნენ აქაურები და ახალ თავმჯდომარეზე მიამბობდნენ... ჩვენი ბიჭია, აქ გაიზარდა... საშუალო სკოლა მაშინ არ იყო ნატანებში და ლიხაურში დარბოდა ბიჭი... იქ დაამთავრა ათი კლასი... მერე ომში წავიდა მოხალისედ... ბერლინში იბრძოდა... ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაგვიბრუნდა, დაბრუნდა და მოვიდა კოლმეურნეობაში, ისიც რიგით კოლმეურნედ მუშაობდა... მარჯვე კაცია.. საქმე იცის... ჩვენ საქმეს წინ თუ წასწევს, თორემ უკან არ ჩამოარჩენს — უწინასწარმეტყველებდნენ ახალ თავმჯდომარეს თანასოფლელები.



ნატანები. სოციალისტური შრომის გმირები (მარცხნიდან): ც. ცენტერაძე, ნ. მიმინოშვილი, ა. ბაბილოძე, მ. გორგილაძე, დ. ბაქანიძე, დ, ტაკიძე, ა. ღელეყვა, ლ. გოგიტიშვილი, ლ. ხურციძე, ვ. ბაბილოძე.

და აი თვრამეტი წელი გავიდა მას შემდეგ, თვრამეტი წელია ნატანების კოლმეურნეობას სათავეში უდგას აგრონომი გივი წითლიძე.

არც ამჯერად დამხვდა თავმჯდომარე. ახლა ძნელია მისი დაჭერა სოფელში. ხან თბილისშია ყრილობის დელეგატად, ხან მოსკოვში, ხან სომხეთში, ხან ტიურინგიაში და იქ უზიარებს თავისი კოლმეურნეობის გამოცდილებას გერმანელ მეგობრებს; ბევრი მოკეთე ჰყავს დღეს ნატანებს. ვერ ვნახე თავმჯდომარე, არ დამხვდა სოფელში. მაგრამ დამხვდა სოფელი, ნატანები... ხალხი... უფრო ძლიერი, მდიდარი, უფრო ლამაზი, გამშვენიერებული, სოფელი კი არა, მწვანეში ჩაფლული პატარა ქალაქია. მწვანე სკვერები, ქუჩები, მაღაზიები, უნივერმაღი, კინოთეატრები, ათი საბ.-ვშვ. ბაგა, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ჩაის ფაბრიკა, ციტრუსების ქარხანა. ეს ვეებერთელა ადმინისტრაციული სახლი, კულტურის სასახლე და სკოლის შენობები დიდ ქალაქებსაც დაამშვენებდნენ. ქუჩებში ასფალტზე „ვოლგები", „ზიმები" „ჟიგულები" დასრიალებენ. ხარობს ციტრუსებისა და ჩაის ბუჩქებით დამშვენებული სოფელი, ხარობს მათი მომვლელის მარჯვენა. ოცდაერთი კოლმეურნე — სოციალისტური შრომის გმირია. ოთხასზე მეტი კოლმეურნე ორდენებითაა დაჯილდოებული, ისინი წლითიწლობით ზრდიან მოსავალს, ყოველ ახალ წელს სოფლის სახელით კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გივი წითლიძე საქვეყნოდ, ციფრების ენით აცხადებს ჭირნახულის იმ სიუხვეს, რაც სამშობლოს უნდა მისცეს ნატანებმა.

წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობის შემოსავალი და იზრდება ნატანებელთა კულტურა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები. მაღლდება გურული ოდა. და როცა სტუმარი ეწვევა ხოლმე, გაეცნობა სოფლის წარსულს, ნახავს დღევანდელს—მდიდარს, ბარაქიანს, ხვავიანს, ალტაცებას ვეღარ მალავს...

სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია...

## გრიგოლ ცეცხლაძე

# მღელვარე საუკუნის ქრონიკა

პოემის შესავალი

ჭაღარა ისე გამომერია,
ვღელავდი ყოველ ცისკრის ანთებით,
მე ღიმურები არ მიწერია,
თარიღებით და ჩანახატებით;
მაგრამ ხსოვნაში მარად ვინახავ
გამოვლილ განცდებს,
სიზმრებს,
ფანტომებს;
ჩვენი დრო ახალ მიზნებს გვისახავს,
ახალ სიცოცხლის წყაროს გვანდობებს.

ამ პოემას ვწერ ახლა იმათთვის,
ვისაც დარჩება
ეს მთა,
ეს ველი,
ვინც წინაპართა რიცხვში მეც ჩამთვლის,
გავახსენდები ლექსების მთქმელი.

მინდა განვლილი გზისა და კვალის
ყველა სალხინო და სავალალო,
უკეთეს ყოფის,
ან მომავალის
სადიდებელად აქ გადავშალო.
ჩვენ მომსწრენი ვართ
ჭირის და ლხენის,
წაბორძიკების,
მძლავრი გაფრენის.
მოგონებები
ზოგი ტკბილია,
ზოგი მწარეა,
როგორც შხანკოლა.

ბავშვობის წლები დალოცვილია,
სოფლის სიმშვიდე,
ტოლები, სკოლა.

ჩვენ ჩვენი კუთხის
გვიყვარს მთა-ველი,
გულ-გადებული მისი ბუნება,
ხეხილების და ვარდის სურნელი
სიამეს გვაკმევს,
გვესალბუნება.

მე ახლაც ვხარობ
იმ ყვავილებით,
იმ ჩემი სიყრმის
თაიგულებით.
თავს დამდგომიან
მაღალი მთები,
ქული ქულაზე
თეთრი ქულებით.
სიზმარში
მაშინ ფრთები მესხმოდა,
ფრთები ღრუბლებში
შემაცურებდა;
ანგელოზების ხმებიც მესმოდა,
და მკერდში ნორჩ გულს მიფაცურებდა.

მაგრამ იმ ლხენის,
იმ სიზმარეთის
მალე შეირყა
მყუდრო ტაძარი:
ხან იმედები თუ გვიტაცებდა,
ხან გვაძრწუნებდა
შფოთი, ხანძარი.
მეწამულ მერდინს
შეარხევს ქარი
და ცხრაასხუთი
ხალისით გვიპყრობს,
მაგრამ ცხრაასექვსს
ხმა აქვს საზარი,
შავ რეაქციით სიხარულს გვიქრობს;

ცხრაასთოთხმეტ წელს
მოსდევს ვაება,
ცრემლები, კვნესა
და ხრჩოლვა დენთის;
მაგრამ გარდასულ
ჟამთა სიავეს
[illegible]
წლის ოცდაერთის.
ეს წლები განვვლეთ
[illegible]
ჩვენ მათი მძაფრი ურუანტელები.
ზოგჯერ ვუტევდით,
ზოგჯერ ვიცავდით,
დამკლავებული გვქონდა ხელები...

როცა გადვურჩით
დროთა კირთებას
და სიხარულის აჟღერდნენ სიმნი,
თავისუფლებას ვუმღერთ დიდებას
გულს გვეფინება
მშვიდობის ჰიმნი.

თმგადახდილთა გამბედაობა,
ღაღვრილი სისხლი,
ფერი შინდისა,
ავალდებულებს ახალ თაობას
წარსულს მოეპყრას მუდამ სინდისით...

როცა სიკვდილის
აჩრდილს ვიგონებთ,
მარადისობას ვეკამათებით.
გმირთა დიდებით ჩვენ თავს ვიწონებთ,
მათ ძეგლებს ვამკობთ
ია-ვარდებით...
ვხარობთ, რომ ზეცა
მტრედისფერია,
უბურუსოა,
გადაწმენდილა.
ტრფიალით ვამბობთ:
მშვენიერია,
ვაზი ყვავილობს,
ვარდი გაშლილა.

---

## ნოდარ ნარსია

# სამშობლოვ ჩემო!

ეს ჩვენ ვართ,
შენი ფხიზელი თვალი
და შენი მანგი
მიდის გულამდე...
ეს ჩვენ ვართ,
ასე, დღით და ღამით,
შენს გულისცემას
რომ ვაყურადებთ.
გლოცავთ და გლოცავთ,
გლოცავთ და გლოცავთ,
და გვინდა:
მხოლოდ გჯეროდეს ერთი —
ჩვენი სიცოცხლე
დაგჭირდეს როცა,
პირზე ღიმილით
მოვკვდებით შენთვის.

თუ ვინმეს ეთქმის,
მყავდაო შვილნი,
შენ გეთქმის, რადგან
სულ ბევრდში გედგნენ. .
და შენი ფიქრი
და შენი ჭირი
პზარებად აჩნდა
მათ გულის კედლებს.
იბრძოდნენ ხმლით და
იბრძოდნენ შუბით,
ეს სულერთია,
რითი ან როგორ...
მტრებს ეხლებოდნენ
გაჩეხილ შუბლით,
— ეს შენ გეცოცხლა,
სამშობლოვ, ოღონდ!

და ღგახარ ახლა,
მშვიდი და ლაღი
და შენი დიდი
სინათლით ვხარობთ...
აწ არ გენახოს,
ცრემლი და თალხი,
ან სატკივარი,
ან საშწუხარო.

ეს გაუმარჯოს
თავთუხებს შენსას,
სართულებს შენსას,
მადნეულს შენსას...
ფოლადს და რკინას,
ბროლსა თუ მინას,
მხოლოდ შენს ლილის,
მხოლოდ შენს ბრწყინვას,
მხოლოდ შენს ღიმილს
და არა კვნესას...

ეს გაუმარჯოს
ნარინჯის ბაღებს,
ვაშლის ხეებით
გაზარდნილ ბაღებს,
ჩვენი ხელებით
აგებულ თაღებს,
ქალებს და ქალებს,
სახლებს და სახლებს,
შენს ძვირფას სახელს..

ეს გაუმარჯოს
ბრდღვიალა მესებს,
ეს გაუმარჯოს
შენს ძლიერ ფესვებს,
კლდეებს და კბოდეს,
ზვრებს და ახოებს,
შენს ტყეებს,
კორდებს,
საბალახოებს.
გამარჯვებათა
წყებას და წყებას,
რაც მოგიტანეს
ახალმა წლებმა.

ეს გაუმარჯოს
შენს მაღალ დროშებს,
ამ გაშლილ დროშებს,
მოსირმულ დროშებს,
და დაცემულთა ცრემლიან ხსოვნას..

ამ ბავშვებს,
ნორჩებს,
სინათლის დროში,
შენი მომავლის განძსა და წონას.

გლოცავთ და გლოცავთ,
გლოცავთ და გლოცავთ,
და გვინდა
მხოლოდ გჯეროდეს ერთი —
ჩვენი სიცოცხლე დაგჭირდეს როცა,
პირზე ღიმილით
მოვკვდებით შენთვის.
სამშობლო გქვია,
სხვა უფრო მეტი
რა უნდა გერქვას,
რა უნდა გვქონდეს?..
წინ მიგიძღვება სიცოცხლის ეტლი,
სიცოცხლე —
მაგ შენს აფეთქილ ყლორტებს.
ტკბილია შენი გრილო და ჩერო,
მძლავრია შენი მკლ ვი და მხარი.
მშვიდობა შენდა...
სამშობლოვ ჩვენო,
მშვიდობა შენდა
და გაიხარე!



ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ გოგოლაძე

# თქვენი გულისთვის!

გაუმარჯოს ცის ნამს,
დედამიწის მოსავალსა,
ხარის ქედს, გუთნის ღვედს,
მუშაკაცის მარჯვენასა!
ხ ა ლ ხ უ რ ი

1.

თბილისის სადგურზე უამრავი ხალხი ირეოდა თხუთმეტვაგონიან მოსკოვის მატარებელთან.

ასეა ყოველდღე, მიდიან, აცილებენ.

ლადომ ორი მძიმედ დატვირთული ჩემოდანი ცარიელ კუპეში შეათრია და სული მოითქვა. მოსკოვში ბიძას აცილებდა. ბიძამისი ვასო თედორაძე, ამწყობი-ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თავის მეგობრებსა და ახლობლებს შორის იდგა ბაქანზე.

ვასო თედორაძე პირველად მიდიოდა სესიაზე და, ცოტა არ იყოს, ღელავდა. შინაურებიც კი მოწიწებით შეჰყურებდნენ. ხუმრობა საქმე როდი იყო, მთავრობის კაცს აცილებდნენ.

ერთი თვეც არაა მას შემდეგ, რაც არჩევნები ჩატარდა. სულ ზეიმზარით უწყობდნენ შეხვედრებს ამომრჩევლები. და აირჩიეს კიდეც. ახლა მათ ნდობას დაფასება უნდოდა. ახლა ის ერთი, ათასების სახელით მიდიოდა მოსკოვში, სესიაზე და ასე ეგონა მარტო თავისიანები, ახლობლები და მეგობრები კი არ აცილებდნენ, მთელი ეს ბაქანი მისი ამომრჩევლებით იყო სავსე და ყველა სათითაოდ ეუბნებოდა:

— აბა, შენ იცი, ვასო!

რა უნდა სცოდნოდა ვასოს? უნდა სცოდნოდა, რომ სესიაზე დიდ სახელმწიფოებრივ საკითხებს განიხილავდნენ და ყოველგვარ კანონსა თუ დადგენილებას ისე არ მიიღებდნენ, თუ ვასოც არ ჩაერეოდა საქმეში. ამიტომ მას ბევრი რამ ეკითხებოდა. ის დიდ საქმეზე მიდიოდა.

ქარხნიდანაც აცილებდნენ: დინჯად იდგნენ მუშა-მეგობრები, შეჰყურებდნენ თავიანთ ბედნიერ ამხანაგს.

დრო მიიზლაზნებოდა. ვაგონში ჩემოდნებით დატვირთული მგზავრები ადიოდნენ. აგერ, ვილაცამ ტიკჭორაც კი შეათრია. კახელი იქნებოდა უთუოდ. ჯერ კაცი ვერ გაარჩევდა, ვინ მიემგზავრებოდა, ვინ გამცილებელი იყო. გამყოლი თავისთვის ინიშნავდა მოსულ მგზავრთა ადგილებს. რაც დრო გადიოდა, რაც უფრო ახლოვდებოდა მატარებლის გასვლის დრო, მით მეტი ფუსფუსი დაეტყო ხალხს, გამცილებლებიც ჩქარობდნენ უფრო მეტი რამ ეთქვათ შორეულ გზაზე დამდგარ თავისიანებისათვის.

ლადომ ბიძის ბარგი რომ დააბინავა, ბაქანზე ჩამოვიდა და გამცილებელ მუშებს შორის ჩადგა.

— შენ რაღას მაბარებ, ბიჭო?

ლადო მუდამ ბიჭი იყო ვასოსი. ბიჭი, რა ბიჭი! ავ თვალს არ ენახვებოდა. ოცდახუთი წლის მოწიფული ვაჟკაცი, ახოვანი, ლამაზად ჩაცმული, კოკორა ულვაშითა და შავი ქოჩორით დამშვენებული. ისეთი ბუდეშური თვალები ჰქონდა, ბოჩოლას თვალებს მიუგავდა წუნარს, დიდრონს, გამოუცნობი სევდით სავსეს.

ერთ ქარხანაში მუშაობდნენ ბიძა და ძმისშვილი. ლადო ხარატთა ახალგაზრდულ ბრიგადას თავკაცობდა.

— რა უნდა დაგაბარო, ბიძაჩემო... მშვიდობით მგზავრობა, შინაც მშვიდობით დაბრუნება.

გამხდარი, მაღალი კაცი იყო ვასო. მკერდზე ოქროს ვარსკვლავი და დეპუტატის ნიშანი ეკეთა. ასეთი ნიშნით რამდენიმე კაცი ავიდა ვაგონში. ისინიც დეპუტატები იყვნენ და სესიაზე მიეშურებოდნენ.

ვასო ფიქრით უკვე იქ, მოსკოვში ტრიალებდა, ერთი სული ჰქონდა მალე დაძრულიყო მატარებელი. მოსკოვში პირველად არ მიდიოდა, მაგრამ მას აქეთ, რაც დედაქალაქში იყო, კარგა ხანმა გაიარა. მაშინ ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. შინდაბრუნებულ ჯარისკაცს გზად მოსკოვში გამოვლა მოუხდა, კურსკის სადგურზე ორი დღე და ღამე გაათენა ზეზეურად. ჰოსპიტლიდან გამოწერილმა ჯარისკაცმა ძლივს მოახერხა მატარებელში ჩაჯდომა. მძიმე დრო იყო. არაფერი იშოვებოდა. ზამთარიც მეტისმეტად იკბინებოდა. მაშინ მასპინძლობა ვერ გაუწია მოსკოვმა. ახლა კი მიეგებება როგორც დეპუტატს, ქვეყნის მმართველს, მატარებელში ძლივს ჩაჯდება კი არა, რბილ ვაგონს სთავაზობენ, ცივ ნიავს არ აკარებენ.

ასეთი სიამაყის გრძნობა, ასეთი ბავშვური სიხარული ვასოს მაშინაც კი არ განუცდია, როცა დეპუტატად აირჩიეს, როცა სამკერდე ნიშანი და დეპუტატობის მანდატი გადასცეს. ახლა ხალხის პირველ დავალებაზე მიდიოდა.

— პატივცემულო მგზავრებო, დროა! — თავის ვაგონთან შეჯგუფულთ გასძახა ბიჭურად შეკრეჭილმა გამცილებელმა გოგონამ. მან არც კი იცოდა ამდენ ხალხში ვინ იყო მისი მგზავრი.

და აი, გაიმართა ხვევნა-კოცნა.

მატარებელი დაიძრა. აზვირთდნენ ბაქანზე დარჩენილნი. კაცი ვერ გაიგებდა ვინ ვის ემშვიდობებოდა. მატარებელმა თანდათან უმატა სვლას.

და დაიშალა გამცილებელთა არმია, ქალაქში გასასვლელი კარისკენ დაიძრა დიდ-პატარა.

ვასო ტალანიდან თავის კუპეში შევიდა. ფანჯარას მოშორდა თანამგზავრი და იგი ვასოსკენ შემობრუნდა. თეთრ პიჯაკზე მასაც უმაღლესი საბჭოს დეპუტატის სამკერდე ნიშანი ეკეთა.

ისინი პირველად ხვდებოდნენ. წამით შედგნენ და შეხედეს ერთმანეთს. ვასოს ეს პირხმელი კაცი, მისი თვალები, თხელი ქოჩორი, პაწია ულვაშები დიდი ხნის ნაცნობს მოაგონებდნენ. არსენ ქადაგიძე, ქედის განთქმული თავმჯდომარე. ვინ იცის, რამდენჯერ უნახავს მისი პორტრეტი გაზეთში თუ ჟურნალში, რამდენჯერ მოუსმენია ტელევიზიით...

უყურებდა არსენა ვასოს და მისთვისაც ნაცნობი იყო ეს ჭაღარა, თაფლისფერთვალება, გამხდარი, შავგვრემანი კაცი. ბევრჯერ უნახავს მისი სურათი ჟურნალსა და გაზეთში, უნახავს ტელევიზორის ეკრანზე, მოუსმენია რადიოთი.

და მათ ერთმანეთს ღიმილით გაუწოდეს ხელი.

— გამარჯობა, არსენ!

— გამარჯობა, ვასო!

2.

ტალანში გასული ორი მგზავრიც შემოემატათ. ერთი მათგანი პროფესორი გახლდათ, მოსკოვში მივლინებით მიდიოდა, თან ვაჟიშვილი მიჰყავდა ქალაქის დასათვალიერებლად.

გაცნობა სულ მალე მოთავდა. მატარებელმა დიდუბის ბაქანს ჩაუქროლა. მტკვარს გაღმა დიღმის საცხოვრებელი მასივი გამოჩნდა რვასართულიანი და თოთხმეტსართულიანი სახლებით. მზე ჩადიოდა და მასივს ოქროს სხივებში ხვევდა.

პროფესორის ვაჟი ძალზე დოყლაპია ვინმე ჩანდა. მოზრდილი იყო, მოუქნელი და უინტერესო. თუ რამეს შეეკითხებოდნენ, უხალისოდ გასცემდა პასუხს. მამას ოდნავადაც არ ჰგავდა. აყვანილი იქნებაო, გაიფიქრა ვასომ. პროფესორი მოსაუბრე და ენამჭევრი ჩანდა. მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ რესპუბლიკის ორ სახელოვან ადამიანთან ერთად უხდებოდა მგზავრობა. ამ შეხვედრის აღსანიშნავად ჩემოდნიდან კონიაკი „ვარციხე“ ამოიღო.

— დავილოცოთ, მეგობრებო. ჩვენი შეხვედრის, ჩვენი მომავალი საქმეების სადღეგრძელო დავლიოთ.

ვაგონის პატარა მაგიდაზე სამი პატარა ჭიქაც გაჩნდა.

ეგრე არ უნდაო, სკამ-საწოლის ქვეშიდან ტიკჭორას დრუნჩი გამოაყოფინა არსენამ. კახეთიდან ისეთი პურ-მარილით წამოსულიყო, სანოვაგით ისე მაგრად დატვირთულიყო, სად რა ეწყო, სათვალავი არეოდა.

— კონიაკი რა დასალევია! — გულწრფელად დაუწუნა სასმელი პროფესორს.

— ღვინოც მაქვს... სამარკო, — აწრიალდა პროფესორი.

— ამ ტიკჭორაში რომ ღვინოა, ის, მთელ ქვეყნიერებაზე რაც სასმელებია, ყველას ერთად აღებულს სჯობია. ეს რომ ეგრეა, მთელმა ქვეყანამ იცის... და ახლავე თქვენც დაგიმტკიცებთ.

— გნებდებით, გნებდებით! — თითი მოხარა მეცნიერმა.

აქეთ ვასომ დაუწყო ფათური თავის ჩემოდნებს.

ყველაფერს მოეშვითო, ბრძანა არსენამ, თქვენ ქალაქელი ხალხი ხართ, — პურ-მარილი ჩემი უნდა იყოსო.

— გლეხკაცი გაჭმევდათ და კიდევაც მან უნდა გაჭამოთ. აქაც ჩემს კმაყოფაზე უნდა იყოთ, — ხუმრობით დაუმატა.

---

* ერთი თავი ახალი მოთხრობიდან.

ამოყარა და ამოყარა. პატარა მაგიდაზე რომ არ დაეტია, კახური შოთები, ქორფა კიტრები და შემწვარი ვარიები ჩემოდანზეც დააწყო.

— დაილოცა ჩვენი სოფლის ბარაქა! — თქვა შინაურულად ვასომ და ულვაშებზე გადაისვა ხელი.

სკამ-საწოლს ქვეშ შემალული ტიკჭორა გამოათრია არსენამ.

— კახელი კაცის ადიუტანტი, — იხუმრა მან.

პროფესორმა და ვასომ გულიანად გადაიხარხარეს, ხოლო პროფესორის ვაჟს არც კი გაეღიმა. თავი ისე ეჭირა, თითქოს მამამისის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმძიმეს ტვირთს ის ატარებდა.

პური გატეხეს, თითო ჭიქა ღვინო გადაჰკრეს.

— გადმოსწვდი, ბიჭო, რამე აიღე.

სანამ მამამ არ უთხრა, ყმაწვილი მოწიფული ქალიშვილივით მორცხვად იჯდა. ღვინოს სულ არ მიეკარა.

„ავადმყოფი იქნება, საცოდავი“, — გუნებაში სინანულით გაივლო ვასომ.

— სწავლობს? — შვილის მაგივრად მამას ჰკითხა თედორაძემ.

— არა, წელს ისვენებს.

„ეტყობა ძალიან დაღლილა“; — გაიფიქრა ვასომ და მეტი აღარაფერი ჰკითხა მამას.

გამყოლმა შემოიხედა და პურ-მარილის დანახვაზე სახე გაებადრა.

— აჰ, თქვენ უკვე?!

— დიახ, ჩვენ უკვე, — მხიარულად დახვდა არსენა და მაშინვე შემწვარი ვარია მიაწოდა ბილეთებისთვის მოსულ ქალაბიჭას.

— მიირთვი, გეთაყვა და ბილეთებსაც ახლავე გიბოძებთ.

ბილეთები, ვარია, შოთი პური... ქალაბიჭამ, აღარ იცოდა, სად რა წაეღო. მხიარულად აკისკისდა და მშვიდობით მგზავრობა უსურვა კუპეში მყოფთ. მალე მისი კისკისი მეზობელ კუპედან გაისმა.

მატარებელი მიჰქროდა.

არც ღვინო სწყუროდათ, არც შიოდათ, მაგრამ კაცი კაცს შეხვდა და სადღეგრძელოში ნათქვამმა ორიოდე ტკბილმა სიტყვამ ისინი ერთმანეთს დააახლოვა. ერთმანეთის საქმე გააცნო. მაშინ გაიგეს, რომ არსენას დედ-მამა არ ჰყავდა. ჰყავდა ცოლი და უმაღლესისთვის მოწიფული ქალ-ვაჟი, რომ აგერ, ოცი წელია კოლმეურნეობას უძღვება, დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, რომ თავის სოფელში პირველად მან გააბედვინა ვაზს გახარება და დღეს იმდენ მოსავალს იწევს, კახეთის არც ერთ სოფელს არ ჩამოუვარდება დოვლათის სიუხვით.

ვასო ოცდაათი წელი ზეინკლად მუშაობდა, ორი ქალიშვილი ჰყავდა, ერთი გათხოვილი, მეორე კი შარშან წავიდა სკოლაში, დღეს სადგურზე ყველაზე მეტს ის ტიტინებდა. ვასომ ერთი ვაჟიც გაზარდა, დედ-მამით დაობლებული თავისი ძმისშვილი, ლადო.

— იმას ვენაცვალე. მის მარჯვენას ვენაცვალე, კარგი ვაჟკაცი დადგა. თუ ნებას მომცემთ, იმის სადღეგრძელო ცალკე უნდა დავლიო, — თქვა ვასომ.

— კარგ ვაჟკაცს ვენაცვალე! — დაიძახა უკვე შეზარხოშებულმა არსენამ.

გაიგეს ვინ იყო ეს მეცნიერი, ვის რამდენი და-ძმა ჰყავდა, ვინ ვისი მოკეთე იყო. დალოცეს ხარის ქედი, გუთნის ოვედი, მუშაკაცის მარჯვენა...

და მატარებელმა საკმაოდ დიდი მანძილი გაირბინა.

მოსკოვამდე ჯერ სად იყო.

დაღამდა. პროფესორის ბიჭი ზემო საწოლზე აბობღდა და მალე დაიძინა, კაცები კი გვიანობამდე ისხდნენ.

3.

ძალიან გულთბილად შეხვდა მოსკოვი დეპუტატებს.

— გამარჯობათ! — ღიმილით შეეგება ვიღაც წარმოსადეგი, მაღალ-მაღალი რუსი კაცი. დეპუტატებს ხელი ჩამოართვა. ამ კაცის გარდა სხვა დამხვდურებიც გამოჩნდნენ, დეპუტატები ორ-ორი, სამ-სამი კაცი გაიყოლეს და სადგურის მოედანზე ჩამომდგარ ავტომანქანაში ჩასხეს.

— ერთმანეთს არ დავშორდეთ, — სთხოვა არსენამ ვასოს, — სასტუმროშიც ერთად ვიყოთ; ვუთხრათ, ძმები ვართ და უერთმანეთოდ არ შეგვიძლიათქო.

— არა. მე სხვასთან რა მინდა!..

სასტუმრო „როსიაში“ მეექვსე სართულზე დაბინავდნენ. იბანავეს, დაისვენეს, სული მოითქვეს, ორივე ჭაბუკურ სიმჩატეს გრძნობდა. ისე ხალისიანად იყვნენ, თავი სიზმარში ეგონათ. იმხელა სასტუმროში იყვნენ, გურჯაანის, კაჭრეთისა და სიღნაღის რაიონის მოსახლეობა ერთად ალებული ჩაეტეოდა ამ უზარმაზარ სახლში. იქით გაიხედავ და კრემლის ლალის ვარსკვლავებით დამშვენებული კოშკები მოჩანს... როგორი ცუდი განწყობილებაც არ უნდა გქონდეს კაცს, აქ რომ მოხვდები, უმალ შეგეცვლება გუნება. სამოცი წლისა ხარ — უცებ ორმოცისა გახდები, ორმოცისა ხარ — ოცდახუთისა იქნები...

მზიანი დღე იყო. შემოდგომის პირი. მაგრამ მოსკოვისათვის უჩვეულო სიცხე დაიჭირა.

დეპუტატებს ბევრი საქმე ჰქონდათ სესიის გახსნამდე. ყველგან მოწიწებით შეხვედრა, ყველგან პატივი და დიდება.

ღამით გვიან დაბრუნდნენ სასტუმროში. მოიქანცნენ, მაგრამ იმ მოქანცულობაშიც იყო რაღაც სასიამოვნო.

საწოლები ერთმანეთის გვერდი-გვერდ ჰქონდათ. არ დააშორიშორეს. ფანჯრის მხარეს არსენა დაწვა, კარისკენ—ვასო. მეორე დილით ათ საათზე იწყებოდა სესია და კარგად უნდა გამოეძინათ, ხვალ გვიანობამდე მოუხდებოდათ მუშაობა.

ეგონათ, რომ დაღლილებს მალე ჩაეძინებოდათ.

ძალზე სასიამოვნო იყო ეს პატარა ოთახი, ფანჯრებზე ჩამოფარებული გამჭვირვალე ფარდები, ქალაქის შუქის ანარეკლი, ლოგინი...

მაგრამ ვერ დაიძინეს.

— პროფესორი არას ამბობს...—დაიწყო ფიქრიდან გამორკვეულმა არსენამ და ვასოსკენ გადმობრუნდა, — ის ბიჭი უთუოდ ავადმყოფია... საცოდავი, ალბათ სამკურნალოდ ჩამოიყვანა.

— ნამდვილად ასეა, თორემ... ე, მაგ ხნისა რომ ვიყავი ქვეყანა ჩემი მეგონა... ძალიან ხალისიანი ბიჭი ვიყავ. მერე ცოტა ომმა მომტეხა, თორემ... ქარხანაშიც ბევრი რამ გადავიტანე. რას ვიფიქრებდი, რომ ბოლო ასეთი იქნებოდა...

არსენას გაეცინა.

— რომელ ბოლოზე ლაპარაკობ, ვასო... ორმოცდაათის ხო არ იქნები ჯერ?

— ორმოცდაათისა არა ვარ, მაგრამ ცოტა მეტ ხანს კი მომცემს კაცი... ძალიან გავჭალარავდი. გული კაჟივითა მაქვს. გულს არ ვემდური და ჯერ არც ის მემდურის.

— არც მე და ჩემი გული ვართ უმძრახად, მაგრამ ხანდახან რადიკულიტი მაწუხებს. ვერ იქნა და ვერ მოვირჩინე. არადა, სულ მინდორ-ველადა ვარ... დამკრავს ერთი ჩვენებური გრილი ნიავი და შინ მანქანით მიმიყვანენ... მერე, რა დროს მიმუხთლებს ხოლმე ეს ვერანი. დედაკაცივით სულ ლაზლებში ვარ გახვეული... დაგეძინა?

— არა, კაცო, ყურს გიგდებ... გამიგონია მწარეაო რადიკულიტი... რა კბილის ტკივილი და რაღა ეგაო.

— კბილის ტკივილს ნუ გამაგონებ... ნახევარი ჩემი აღარ შემრჩა... ჯანდაბას! ახლა თუ არ დავიძინეთ, დილას უძინარნი მივალთ და დარბაზში თუ თვლემა აგვიტყდა.

იყუჩეს, საბნები წაიფარეს, მაგრამ ფიქრის ბურუსი არა და არ ეშვებოდათ. თვლემდნენ და ვერა და ვერ მიდიოდნენ სიზმრებში.

— არსენ, გძინავს?

— არა, კაცო... ადე, ჩვენებური თითო ჭიქა დავლიოთ, ეგებ დაგვაძინოს.

— კარგი ღვინო კი გაქვს, დალოცვილი. არა, ახლა დალევა არ გვარგებს. არსენ, გამიგონია, უწინ თქვენ მხარეს მევენახეობას არ მისდევდნენ. შეხედე, რა ღვინო დაგიყენებიათ!

— იმდენი ვქენი, ვახარე... დღეს ჩვენი საქმე კარგად მიდის. მაგრამ აი, რკინის საქმე გვიჭირს... ათასი წვრილმანი გვჭირდება. ტრაქტორები ბლომადა გვაქვს, სხვა მანქანა-იარაღები... ზეინკალს ცალკე ვეძებთ, ხარატს ცალკე. ერთი ნაწილის გამოსაჩარხად წითელწყაროში გვიხდება ჩასვლა. მილი გვინდა, ღერძი გვინდა... ყველაფერი ჩვენი თავში საცემი და საფიქრალია. ახლა წიწილების ფერმას ვაშენებთ. წიწილებს კი სითბო უნდათ. ახლადგამოჩეკილებს ოცდათვრამეტი გრადუსი თუ არ დაუყენე, მოგჭამა ჭირი. ცოტა მოზრდილებს — სხვა ნებავთ, ვარიკებს კი — სხვა... რა ვქნათ, რა ვიღონოთ, როგორ გავაკეთოთ ეს ყველაფერი. გვინდა ერთი დიდი ფერმაც ავაშენოთ ქათმებისა. რკინა გვინდა და რკინის ხალხი გვჭირდება. სულ იმას ვფიქრობდი, მოდი, სესიაზე სიტყვას ავიღებ და ამაზე ვიტყვი-მეთქი. მაგრამ ჯერ ვერა ვბედავ. აი, მეორედ რომ ჩამოვალთ, მაშინ კი ვიტყვი.

— რად გინდა ქვეყანა შეჰყარო. ეგ საქმე მე მომანდე. რკინის კაცი აქა ვარ და რკინის ბიჭებიცა მყავანან. მოიტა ხელი ვაჟკაცურად. რკინის მეტი რა გვაქვს, ყველაფერს გავაკეთებთ.

არსენა საწოლზე წამოჯდა. წამოჯდა ვასოც. არსენამ ხელი გაუწოდა და ვასომ თავისი დაკოჟრებული, ხეშეში ხელით ჩამოართვა.

— თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, — უთხრა არსენამ აღელვებული ხმით,— თუ ჩვენ რამე მოგაკლოთ, მაშინ თქვი, შეგირცხვა, არსენ, ვაჟკაცობა-თქო. ახლა უფრო ვერ დავიძინებ, ეს ტიალი. ისეთი რამე მითხარი, ლამის შუქი ავანთო და მთელი ღამე ეგრე თეთრად გავათენო. ქარხნის ხელმძღვანელობა რას იტყვის? — დაეჭვებით ჰკითხა არსენამ, — თანახმანი იქნებიან?

— მერედა, იმას რატომ აღარ ამბობ, ქარხნის ხელმძღვანელებს ვინ ეტყვის სიტყვას, — ღიმილით მიუგო ვასომ. არსენამ შენიშნა ეს ღიმილი და მეგობარს მხარზე შეახო ხელი.

— ვინ ეტყვის და, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი! — თქვა არსენამ ომახიანად, — არა, ძმაო, სესია ამ საღამოს რომ დაწყებულიყო, ისა სჯობდა, მაინც არ გვეძინება და!

# გუშინდელი და დღევანდელი

რაოდენ დიდი ძვრები, რა დიდი ისტორიული გარდატეხა მოხდა ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე. მართლაც მძიმე და აუტანელი იყო რევოლუციამდელი ვითარება ჩვენი სოფლისა, მთელი ჩვენი ქვეყნისა.

აქ ორიოდე ამონაწერი მინდა მოვიყვანო ძველი გაზეთებიდან. 1913 წელს „ჩვენი დროება“ (№ 29) აღნიშნავდა:

„ცხოვრება გაძვირდა, სხვათაშორის, იმის გამოც, რომ მიწა გამოიფიტა და გართულებული სულიერი მოთხოვნილება ხალხისა კი მეტს ხარჯებს მოითხოვს. სოფლის მეურნე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და სახსარი ვერ მოუძებნია, რომ ამ აუტანელ გაჭირვებას შეებრძოლოს, თავი დააღწიოს. ...არ არის ისეთი დაწესებულება, რომელიც ავრცელებდეს სოფლის მეურნეობის ცოდნას. ჩვენ არ მოგვეპოვება დიდი მამულები, რომ შეგვეძლოს გავიჩინოთ მანქანა-იარაღები, გავაუმჯობესოთ საქონლის ჯიში“.

1910 წელს „სახალხო გაზეთი“ (№ 28) იუწყებოდა:

„მწარე ხვედრი არგუნა ბედმა ჩვენს გლეხებს. ძვირად თუ დადგება ისეთი დღე, რომ მას კუჭი გამძღარი ჰქონდეს. იშვიათად დაჰკრავს მისთვის „ნეტარების საათი“, როცა იგი ორშაურიანი ჩითით შემოსილს დაინახავს თავის ცოლ-შვილს. შრომობს, დღეღამეს ასწორებს, თავის ოფლით უხვად რწყავს შავს მიწას, მაგრამ სხვისთვის, მხოლოდ სხვისთვის“.

ახლა ვნახოთ რა დღეში იყო კახეთის სოფელი მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებში:

„ჩვენ ვალდებულნი ვართ, რომ რითიმე დავეხმაროთ დროებით იმ ჩვენს მოძმეებს, რომლებიც შიმშილისაგან წყდებიან და თავის ქვეყნიდან მირბიან... თითო-ოროლა შაური, თითო-ოროლა მანეთი არავის არ გაუჭირდება და ამით იმდენი შეგროვდება, რომ ამ ზამთარში ცოტაც არის, სულს მაინც მოითქვამენ ქიზიყელები და შემდეგ თესლი მაინც ექნებათ თავიანთი მინდვრებისათვის“ (გაზეთი „დროება“).

აბა ახლა გადახედეთ შირაქის მინდვრებს: თვითონ ეს სახელი — შირაქი, კახეთის მინდორი — იქცა სიუხვის, სიმდიდრის, ბარაქის სიმბოლოდ. თავისუფალმა შრომამ ორმოცდაათი წლის მანძილზე მთლიანად გარდაქმნა საქართველოს სოფელი — ჩვენმა უმძლავრესმა ინდუსტრიამ იგი შეაიარაღა უაღრესად მოწინავე ტექნიკით, ჭკვიანი მანქანები მხარში ამოუდგნენ მიწის მუშას და ამას მოჰყვა შრომისნაყოფიერების მანამდე არნახული ზრდა.

საითაც უნდა გაიხედოთ, საქართველოს რომელ კუთხეშიც უნდა მოხვდეთ, თქვენს თვალწინ ზრდისა და წინსვლის სურათები გადაიშლება. ჩვენი ხალხი ამაყობს თავისი უმძლავრესი სუბტროპიკული მეურნეობით, რომელიც უხვად აძლევს ჩვენს სამშობლოს ჩაის, ციტრუსოვანთა ნაყოფს, ტუნგოს; სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ ერთბაშად შესცვალა სახე ჩვენი სოფლისა, ამასთან, ჩვენი მინდვრები დაიქსელა სარწყავი არხებით, ყველა ამ დიდმნიშვნელოვანმა ღონისძიებამ აამაღლა ხალხის ცხოვრების დონე, ჩვენი გლეხკაცი დღეს მდიდარი და შეძლებულია; თავისუფალი შრომა — აი ის წყარო, რომელმაც ააღორძინა ჩვენი ქვეყანა.

უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით შეხვდა ჩვენი ხალხი თავის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავს!

აკად. მიხეილ საბაშვილი.

# მუდამ ძმური სიყვარულით

სამოცდაათი წლის კაცი ვარ. სიმართლე გითხრათ, ჯერ არ მქონია შემთხვევა, რომ საჯაროდ გამოვსულიყავ, ან პრესაში წერილი გამეგზავნა. მაგრამ დღეს ისეთი დიდი დღესასწაული გვაქვს, რომ არ შემიძლია ჩემი სიტყვა არა ვთქვა. მინდა სულითა და გულით მივულოცო ჩვენს ხალხს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავი.

მახსენდება სამამულო ომის წლები. მტერი კავკასიისაკენ მოიწევდა. საქართველოს მისადგომებთან გააფთრებული ბრძოლები იყო გაჩაღებული. სამხრეთ ოსეთის სოფლებში მაშინ სახელდახელოდ შევქმენით გამანადგურებელი ბატალიონები, რომლებიც ფხიზლად დარაჯობდნენ ყოველ ბუჩქს და საცალფეხო ბილიკს.

ჩემს ქართველ მეგობრებთან — ლევან გალუგაშვილთან, გიგა ტარიელაშვილთან და ილა ბორცვაძესთან ერთად, ვინ მოთვლის, იარაღით ხელში, რამდენი ღამე გაგვიტარებია მთებში. ჩვენ ძმებივით ვუდექით ერთმანეთს მხარში. დღე და ღამე ფხიზლად ვდარაჯობდით ჯავის რაიონში როკის გადასასვლელს, რომ საშუალება არ მიგვეცა მტრისათვის თავისი ჯაშუშები და დივერსანტები შემოეგზავნა ჩვენში.

ეს შემთხვევით როდი გავიხსენე. მუდამ ასე იყო: ქართველები და ოსები ყოველთვის მეგობრულად ედგნენ ერთმანეთს მხარში. გაჭირვების ჟამს ისინი ძმურად უწვდიდნენ ერთმანეთს ხელს და დალხინების დროს, სიხარულსა და ბედნიერებასაც ერთად იზიარებდნენ.

მამაჩემი ესტატე დუდაევი მწყემსი იყო. მეც მწყემსი ვარ. მაგრამ აბა დამიგდეთ ყური და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ამ ორი მწყემსის ბედი ისე განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც ცა და დედამიწა.

მამამ თავისი ახალგაზრდობა სხვათა მოჯამაგირეობაში გაატარა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, იგი პატარა, ხელისგულისოდენა მიწისთვის ყოველწლიურად დიდძალ თანხას უხდიდა ბობოლა გლეხს ლოლოევს.

კარგად მახსოვს ჩვენი შემჭვარტლული, ღარიბული მიწური. საცხოვრებელ სადგომში დღისით სინათლე ერდოდან ჩამოდიოდა, ღამით ჭრაქი გვენთო. ბუხარი იმ დროში ფუფუნებად ითვლებოდა და ჩემს ჩამოძენძილ ძმებთან ერთად, სიცივეში შუაცეცხლს ვეფიცხებოდი.

აბა მობრძანდით ახლა ჩემს ბინაზე. შუა სოფელში კოხტა, ორსართულიანი სახლი მიდგას. ჩემმა ოჯახმა კოლმეურნეობაში შარშან 1600 შრომადღე გამოიმუშავა და ბეღელში პურიც ბლომად მაქვს და მარანში ღვინო. არც ფრინველი მაკლია და არც საქონელი. მწყემსმა კაცმა სამი შვილი გავზარდე და ყველა კეთილ გზაზე დავაყენე.

წეღანაც გითხარით, ასეთი საჯარო გამოსვლა პირველად მიხდება-მეთქი. ჰოდა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და, ამ ზეიმის დღეებში, გულითადი მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტიას და მთავრობას, რომლებმაც საშუალება მოგვცეს ასე ძმურად, ასე ლაღად და ბედნიერად გვეცხოვრა.

დიანოზ დუდაევი.

ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის მწყემსი

# უფართოესი ჰორიზონტი

განვლილი ორმოცდაათი წელი — ეს არის ქართველი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებებისა და აღმავლობის ნათელი ეპოქა.

ლენინის მოძღვრებამ წინსვლის განუზომელი სტიმული მისცა ცხოვრების ყოველ სფეროს, მეცნიერების ყოველ დარგს. მან მისცა ადამიანებს შესაძლებლობა ჩასწვდომოდნენ ბუნების მრავალ საიდუმლოებას, ექციათ დედა-ბუნება ადამიანის კეთილდღეობის დიდ ასპარეზად.

დღეს მეცნიერების უდიდეს განვითარებასთან ერთად იზრდება და ღრმავდება ბუნების რესურსების შესწავლა, მათი ახალი სასარგებლო თვისებების აღმოჩენისა და მათი რაციონალური გამოყენების მეთოდების დადგენის მიზნით. კომუნისტური მშენებლობა — ეს არის არა მარტო ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნა, არამედ თვით ბუნების გეგმაზომიერი გარდაქმნა ადამიანის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სოციალისტურმა რევოლუციამ გაათავისუფლა ჩვენი ხალხი, მან გაათავისუფლა მეცნიერული აზრიც და გაუხსნა მას უფართოესი ჰორიზონტები.

სულითა და გულით ვულოცავ ჩვენს ხალხს ამ თავის ყველაზე დიად ეროვნულ დღესასწაულს!

**აკად. ვ. გულისაშვილი**

# ისტორიული მიჯნა

ახალ საბჭოთა საქართველოს უკვე ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

სოციალისტური რევოლუცია არის ისტორიული მიჯნა ძველსა და ახალ სამყაროთა შორის. ჩვენს სამშობლოში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში შენდება ახალი საზოგადოება ახალი მეცნიერების, ახალი ტექნიკის და მშრომელთა ინტერესების შესაბამისად.

უზარმაზარია მიღწევები და წარმატებები, მაგრამ ჩვენ უკვე შევეჩვიეთ აზრს, რომ ყოველი მიღწევა ახალ ამოცანებს წარმოშობს. დღეს ასეთი ამოცანაა, აღიზარდოს ახალი პირობების შესაფერი და ღირსი ადამიანი.

გასაოცარია მეცნიერების განვითარება ჩვენს ქვეყანაში, ასევე გასაოცარია ტექნიკის ზრდა, მაგრამ ერთსაც და მეორესაც ადამიანი ქმნის და ამ პროცესში აუცილებლად იცვლება და იზრდება თვით ადამიანიც. ჩვენი მშრომლები აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას, მაგრამ ამავე დროს ისინი ზრდიან ახალ ადამიანს.

დიდება საბჭოთა საქართველოს, ვუსურვოთ მას ახალი გამარჯვებანი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლის გზაზე!

**აკად. ალ. ჯანელიძე**

# ჩვენი ძმური ოჯახი

როგორც მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე, ისე ჩემს მზიურ აფხაზეთში, დღეს მთელი ხალხი თავდადებით იღწვის იმ ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ დასახა ჩვენს წინაშე. ასეთ ვითარებაში ვზეიმობთ ჩვენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის ორმოცდაათი წლისთავს.

ჩვენი ოჯახის — საბჭოთა საქართველოს იუბილეს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები შრომაში მოპოებული თვალსაჩინო წარმატებებით შეეგებნენ. აფხაზეთის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა მერვე ხუთწლედი ვადაზე ადრე შეასრულეს და მილიონობით პროდუქცია გამოუშვეს გეგმის გადაჭარბებით. წარმატებით იქნა შესრულებული აგრეთვე ჩაის, ციტრუსების, თამბაქოს, ყურძნისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმებიც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მზიური აფხაზეთი მთელი ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის კერად გადაიქცა. ახლა აქ მუშაობს 60-ზე მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი და ტურისტული ბაზა. ჩვენთან ყოველწლიურად ათასობით მშრომელი ისვენებს და იკაჟებს ჯანმრთელობას.

ცხადია, მშრომელთა დასვენების საქმის გაუმჯობესებისათვის, მათი მომსახურებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზღვაო პორტს და მისი თანამშრომლების მოქნილ მუშაობას. მართალია, სოხუმის საზღვაო პორტი სატვირთო-სავაჭრო ოპერაციებსაც ასრულებს, მაგრამ იგი ძირითადად მაინც საკურორტო და სამგზავრო პორტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისიც საკმარისია ითქვას, რომ მარტო მიმდინარე წელს ჩვენ გეგმის მიხედვით 1 მილიონ 250 ათასი მგზავრი უნდა გადავიყვანოთ.

როგორც ყველგან ჩვენს მიწა-წყალზე, ისე ზღვის სანაპიროზეც დიდი მშენებლობა მიმდინარეობს. სამშენებლო ჯგუფი, რომელშიც მე ვმუშაობ, წარმატებით უძღვება საქმეს. ჩვენ, შოფრები, ქვიშით, ღორღით, ცემენტითა და სხვა მასალებით ვამარაგებთ მშენებლებს. მარტო გასულ წელს ჩვენ გეგმით გათვალისწინებული 275 ათასი ტონის ნაცვლად 285 ათასი ტონა სამშენებლო მასალები მივაწოდეთ სამშენებლო ობიექტებს.

შრომა დამიფასდა, მთავრობამ დამაჯილდოვა მედლით, „შრომითი წარჩინებისათვის". ვარ კომუნისტური შრომის დამკვრელი.

ახლა, როცა ზეიმით აღვნიშნავთ საქართველოს დიდ ეროვნულ დღესასწაულს, მინდა ქართველ ძმებს, საქართველოს ყველა მშრომელს გულითადად მივულოცო ეს დიადი თარიღი.

**ჩ. ლაკობა**

**სოხუმის პორტის შოფერი**

# ვუსურვოთ და მივულოცოთ

დიდი ზეიმია ახლა მთელ საქართველოში, ნათელია ჩვენი ცა და ბარაქით სავსეა ჩვენი მიწა, ყველგან, ყველა სოფელში ბედნიერება დამკვიდრებულა.

მეც მინდა გაგიზიაროთ ჩემი სიხარული, მოგილოცოთ ეს დიდი ზეიმი. ჩვენ სახელოვანი გზა გავიარეთ, და თუ საერთო საგანძურში შეტანილი ჩემი წვლილიც დაფასდა, მე ამას ვუმადლი ჩემს სოფელს, ჩვენს კოლმეურნეობას, ჩვენს დიდ პარტიას!

მე ღარიბი გლეხის ოჯახში დავიბადე. ძალიან უჭირდათ ჩემს მშობლებს, მაგრამ აი გათენდა ოცდაერთი თებერვლის დილა და იმ დღიდან თითქოს მზემაც შუქი მოიმატა, თავისუფლად ამოისუნთქა ადამიანმა. თანდათანობით ვხედავდით იმ დიდ ცვლილებებს, რაც არა მარტო მთელი ქვეყნის, არამედ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ხდებოდა. წელში გაიმართა გლეხკაცი. კოლმეურნეობამ თავისი მადლი შემატა მის გარჯას. იმ ხანებში მოგვისწრო მრისხანე ომმა. მთელი ჩვენი ხალხი ფეხზე დადგა სამშობლოს დასაცავად. კაცები ფრონტზე წავიდნენ. სოფელში მხოლოდ ქალები და მოხუცები დავრჩით. მაგრამ არც ერთ წუთს არ დაგვიწყებია ჩვენი მოვალეობა. ვშრომობდით დღე და ღამე. ჩამოვაყალიბეთ ქალთა ბრიგადა, რომელსაც მე ჩავუდექი სათავეში. ყოფილა შემთხვევა, როცა ღამე მთვარის სინათლეზე გვიკრეფია ჩაი. იმ წლებში 65 ტონა ჩაი მოვკრიფე, შრომითი ანაზღაურება — 80.000 მანეთი ფრონტის დასახმარებელ ფონდში შევიტანე. უმაღლესმა მთავარსარდალმა წერილობითი მადლობა გამომიცხადა, ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი ჯილდო.

რას წარმოიდგენდა დედაჩემი, რომ დადგებოდა დრო, როცა მის შვილს შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოებდნენ.

ამას გარდა, დაჯილდოებული ვარ სახალხო მეურნეობის გამოფენის ორი ოქროს მედლით. მე მინდა ჩემი მადლობა შრომით გამოვხატო, წელს გადაწყვეტილი მაქვს მოვკრიფო და სახელმწიფოს ჩავაბარო 11 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

ციტრუსი, ჩაი, აბრეშუმი — ყველა დარგში დიდი წარმატებები აქვს ჩვენს კოლმეურნეობას. მას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ენერგიული კაცი — ბაგრატ ჯაფარიძე. კოლმეურნეობას აქვს კეთილმოწყობილი საავადმყოფო, ბიბლიოთეკა. აქვს სკოლა.

წარმატებით დაიწყო ჩვენს კოლმეურნეობაში ახალი ხუთწლედის პირველი წელი.

ძვირფასო მეგობრებო! მოგილოცავთ დიდ დღესასწაულს და გისურვებთ ახალ წარმატებებს ჩვენი დედა-სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**დარეჯან თურმანიძე**

**სოფ. ხელვაჩაური.**


ეროვნული
ბიბლიოთეკა









# ფოტოსურათები მოგვითხრობენ

სადაც უნდა ჩავიდეს ფოტოკორესპონდენტი, საითაც უნდა მიმართოს ფოტო ობიექტივი — ყველგან ახლის ზრდის, მისი განუხრელი წინსვლის სურათებს წააწყდება ბევრს მეტყველებენ ეს ფოტოები — ეს დოკუმენტებია საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორიისა; ისინი მოგვითხრობენ საბჭოთა ადამიანების დიდ შრომით შემართებაზე, რომელსაც წარმართავს ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია. მისმა დაუღალავმა ზრუნვამ ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეს დააჩნია თავისი მადლი და სიკეთე, ყველგან გზა გაუხსნა ახალს, მოწინავეს, პროგრესულს, ყოველივე იმას, რაც ადამიანის კეთილდღეობას ემსახურება.

აგერ, ვერტმფრენი დაშვებულა მთა-თუშეთის მიდამოებში... ბევრის მეტყველია ეს ფოტო — მოწინავე ტექნიკამ ათასი სიკეთე მოუტანა არა მარტო ბარს, არამედ მთასაც. აღარ არის ჩვენში ყრუ პროვინცია, მაღალი კულტურა და ახალი ყოფა-ცხოვრება დამკვიდრდა სოფლადაც და ქალაქადაც.

ვერტმფრენი მთა-თუშეთში ამ ახლის ერთი თვალსაჩინო დეტალია.

ფოტოსურათები მოგვითხრობენ... აგერ ერთზე მეტრომშენის გვირაბი ჩანს. რამდენ მგზნებარე ფანტაზია უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ ნახევარი საუკუნის წინ წარმოედგინა თბილისის დიდებული მეტროპოლიტენი... დღეს კი ეს ბრწყინვალე სინამდვილეა.

რთველი კახეთში.. ჩვენი მეცხოველეების წარმატებანი... ჩვენი ზღვისპირის უმშვენიერესი კურორტები — ყველაფერი ეს ეპიზოდებია, ჩვენი ხალხის შთაგონებულ შრომაზე და ახალ ცხოვრებაზე რომ მეტყველებენ.

ფოტოსურათები მოგვითხრობენ ახალი საბჭოთა საქართველოს მზიურ ყოფაზე, ეს ისტორიის მჭევრმეტყველი დოკუმენტებია.

ფოტო თ. არჩვაძისა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტეხურის ხეობაში ვართ. მსუბუქი ავტომანქანა სწრაფად ჭკეცავს კილომეტრებს, მოასფალტებული კრიალა გზა მიჰყვება ხეობას იმ სახელგანთქმული თეთრი მთისკენ, საითაც ოდითგანვე მიერეკებოდნენ საქონლის ჯოგებს ოდიშელები.

იალაღები თეთრი მთისა, მეგრულად ჩეგოლას რომ ეძახიან, ცნობილია უხსოვარი დროიდან. სხვათა შორის, ამ მთის მეზობლად არის კურორტი ლებარდე თავისი შეუდარებელი კლიმატითა და სამკურნალო წყლით. ერთხელ ასეთ დავას შევესწარი — ბახმარო სჯობს თუ ლებარდეო, მეც ჩამრიეს საუბარში, მაგრამ გამიჭირდა პასუხის გაცემა. ბახმაროს განმკურნებელი თვისებები საყოველთაოდ ცნობილია, არც მისკენ მიმავალ გზას აკლია მშვენება და სიზვიადე ისევე, როგორც ლებარდეს შემოგარენს. ეს არის, რომ ლებარდეს ადგილზე აქვს სამკურნალო წყალიც. მაგრამ ნაბეღლავიც ხომ არის შუა ხევში, ბახმაროს გზაზე!

ასეთია საქართველო, აქ ყველა ადგილი ერთიმეორეზე უფრო ლამაზია! გაგიჭირდება თქმა რომელი სჯობია! ყველა კარგია და საყვარელი.

ტეხურის ხეობა ერთბაშად იპყრობს მგზავრის ყურადღებას. მიკეცილ-მოკეცილი კლდოვანი ვიწროები და ერთმანეთში ჩახლართული ფერდობები, ცის სილურჯეში რომ არიან აჭრილი, განუმეორებელი შთაბეჭდილებით ავსებენ ადამიანს. ამ ატეხილ ტყეებსა და მთებში, ზოგან თითქოს საგანგებოდ განიერდება მდინარის კალაპოტი და რიყე ადგილები მდინარესთან მიახლოების საშუალებას იძლევიან.

ასეთ ადგილებში ჩადგმული წისქვილები მარტოხელა მგზავრებს გვანან. კარგ ამინდში აქ მოდიან სოფლელები, მოაქვთ საფქვავი და სანამ სარეკელა ჩამოსცლის ხუფში ჩაყრილ სიმინდს, თვალს ასვენებენ, გასცქერიან ტეხურს, რომელიც ანკარაა და იისფერი.

ასეთ ადგილებშია გაშენებული ტეხურის ხეობის სოფლები; აგერ ერთ მათგანს ვუახლოვდებით, ტალერი რქმევია. მეგზური მეუბნება, რომ ეს სტუმართმოყვარე, ლამაზი და კარგი, ღონიერი სოფელია. აქვს თავისი სიმინდი, რძე და სულგუნი, ღვინო და თაფლი, ღორისა თუ საქონლის ხორცი და კალმახიც ულეველია ტეხურში. ერთგან შეღმართზე უეცარი დავაკებაა და ლამაზი საკარმიდამო მოჩანს. ღობის გასწვრივ გაყოლებულ ჭადრისა და ალვის ხეებს ნაძვები სცვლიან. ნაძვების გვერდით ორსართულიანი აივნიანი სახლია. ჩემმა მეგზურმა სწორედ აქ შეაჩერებინა მანქანა და მითხრა: — შევიდეთ ამ ოჯახში, გაიცანით ტალერის მკვიდრი მელიტონ ნაჭყებია. მისი ქალიშვილი მაყვალა ჩვენი საარჩევნო ოლქის წარგზავნილია საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში.

— ამჟამად სად მუშაობს მაყვალა?

— საბჭოთა მეურნეობის მუშაა, ჩაის მკრეფავი, — განმიმარტა მეგზურმა და ჭიშკარი შეაღო.

საკარმიდამო ნაკვეთზე კი არა, წალკოტში ამოვჩნდი. აქეთ-იქით გამირბოდა თვალი, მოჩდენილი თეატრალური დეკორაციებივით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ბოსტანი, ხილნარი, ვენახი, კოინდრიანი მდელო, რომლის შუაგულში, ნაძვების კვადრატში, გრძელი ფიცრებისაგან თავისებური ფანჩატური გაეკეთებინათ. მითხრეს, აქ დასასვენებლად წამოწოლა, თბილად თუ არ აცვია ადამიანს, სახიფათოა. თურმე ამ ადგილზე ყველაზე ცხელ ზაფხულშიც საოცრად გრილა.

ოჯახის თავკაცი სახლში არ დაგვიხვდა, პლანტაციებში იმყოფებოდა. მაყვალაც ჯერ არ მობრუნებულიყო მეურნეობიდან. შინ იყვნენ ბებია, დედა, ძმები, რძალი. მრავალრიცხოვანი ოჯახია. ყველანი ერთად ცხოვრობენ და, როგორც მითხრეს, დაცალკევებას არც აპირებენ. ძმებმა თქვეს: დაცალკევება ჩვენს გვარს არ სჩვევია. ღონივრები გვინდა ვიყოთ, ღონე და ძალა კი ერთობაშია.

ამასობაში ბინდ-ბუნდი დაეშვა მთებიდან.

ის იყო, გამოჩნდნენ ორღობეში მომავალი ქალები, პლანტაციებიდან ბრუნდებოდნენ. მალე ეზოში შემოვიდა ყავისფერკაბიანი ქალიშვილი, ფართო ჭილის ქუდი ხელით მოჰქონდა. არ ელოდა უცხო ადამიანთან შეხვედრას, თავისუფლად გამოემართა სახლისაკენ. როცა გამოვეგებეთ, ოდნავ დაირცხვინა კიდეც, მივესალმე და ხელი გავუწოდე, ჩემს წინ იდგა მოკრძალებული, მშვენიერი ახალგაზრდა ქალიშვილი, გამსჭვალული იმ რწმენით, რომ ადამიანისათვის ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ შრომას მოაქვს. ეს დიდი და კეთილი რწმენა მას შთაუნერგა ოჯახმა, მამამ, ჯერ რომ კოლმეურნე იყო, ხოლო შემდეგ, როცა მათი მიწები საბჭოთა მეურნეობას გადაეცა, იქ განაგრძო მუშაობა; შთაუნერგა დედამ, რომელიც დღედალამ ტრიალებდა ხან შინ და ხან ჩაის პლანტაციებში. გამრჯე ძმებიც ბეჯითი შრომის მაგალითს აძლევდნენ დას. ამ ოჯახში ყველა თავდადებით იღწვის საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, რადგან კარგად იციან, რომ საქვეყნო დოვლათიანობაზეა დამოკიდებული მათი პირადი ბედნიერებაც. ცხოვრების ამ უბრალო და დიდმა სიბრძნემ განამტკიცა მელიტონ ნაჭყებიას ოჯახი; ხალხმა, დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა დააფასა პატიოსანი ოჯახის პატიოსანი შვილის ღვაწლი და ამაგი და როგორც საუკეთესოთაგან საუკეთესო, აირჩია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ასე აამაღლა და გააბრწყინა პატრიოტულმა შრომამ ტალერელი ქალიშვილის მაყვალა ნაჭყებიას ცხოვრების გზა, რომელიც აქ დაიწყო, ტეხურის პირას და კრემლის დიდ დარბაზებამდე მიაღწია.

ერთი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი რომ მოიკრიფოს, მკრეფავის ხელმა, სულ ცოტა, 2500 მოძრაობა უნდა შეასრულოს. თუ გავითვალისწინებთ


ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოწინავე მეჩაიეები — გოგუცა ქვანია და მაყვალა ნაჭყებია.

# დეპუტატი პლანტაციაში

იმას, რომ თვითეული მკრეფავი დღეში 100 კილოსა და ზოგჯერ მეტსაც კრეფს, დავინახავთ, რომ მთელ ბრიგადაში უხვი მოსავლის მისაღებად ჩაის მკრეფავთა დალოცვილი ხელები ყოველდღიურად ათეული მილიონობით მოძრაობას ასრულებენ. რას არ დასძლევს ასეთი შრომითი იერიში! განა შეიძლება არ გაიმარჯვოს ასეთმა მძლავრმა ძალამ!

სწორედ ესაა ცხოვრების საბჭოური წყობის ცხოველმყოფელი და ყოვლის შემძლე უპირატესობა. ჩვენი სამშობლო ეს ის ქვეყანაა, სადაც თავდადებული შრომა დიდებით მოსავს ადამიანის სახელს. ამის უტყუარი მაგალითია მაყვალა ნაჭყებიას და მრავალ მის მსგავსთა ცხოვრება; უბრალო მეჩაიე ქალიშვილი მსოფლიოს ყველაზე ძლევამოსილი სახელმწიფოს პარლამენტის დეპუტატია. ეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მოხდეს, რადგან სოციალიზმმა განთავისუფლებული შემოქმედებითი შრომა გმირობის, პატივისა და დიდების საქმედ აქცია.

ბევრი მეგობარი ჰყავს მაყვალას, აქ ჩაის კრეფაში სახელი გაითქვეს გოგუცა ქვანიამ, ლუბა ბიგვავამ, ნელი კილასონიამ, ანა სენდეცკაიამ, ცუცა ხაბულიანმა, დინარა არახამიამ, არია ბიგვავამ, ბაბუცა სულუხიამ, ყველას ვერც ჩამოთვლის კაცი! ისინი თვითეული რვა-ათ ტონა ჩაის ფოთოლს კრეფენ და გეგმის უკლებლივ, გადამეტებით და ვადამდე ადრე შესრულებით თავიანთ საბჭოთა მეურნეობას მოწინავე სახელს უმკვიდრებენ. მათი გარჯის წყალობით მოხდა, რომ გასულ წელს დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ საწარმოო წელი ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრა. დაგეგმილი შვიდასი ათასი მანეთის ნაცვლად მიღებული იქნა მოგება 800 ათასი მანეთის რაოდენობით.

მაყვალა და მისი მეგობრები ახალი წარმატებებით შეეგებნენ ჩვენი ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს — ამ ნათელმა დღემ მოუტანა მათ სიხარული და ბედნიერება.

დავით თაქთაქიშვილი

# სახელოვანი გზა

საბჭოთა საქართველოს ისტორიაში თავისი გამორჩეული ადგილი უჭირავს ქართულ თეატრს. მან მართლაც გასაოცარ წარმატებებს მიაღწია ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე. სცენის ქართველი ოსტატების სახელი შორს გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს, მათ საუკეთესო სპექტაკლებს ოვაციას უმართავდნენ მოსკოვსა და ლენინგრადში, გერმანიის, პოლონეთისა და რუმინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკებში. ქართული სპექტაკლები ყველასათვის ახლობელი, გასაგები და საყვარელი გახდა.

ქართულმა საბჭოთა თეატრმა გონივრულად გამოიყენა ძველი თეატრის აქტიორული სკოლის დიდი ტრადიცია, ის ძიებანი, რომელიც წინ უძღოდა ახალი საბჭოთა თეატრის დაბადებას. კ. მარჯანიშვილმა ჩაუყარა მას საფუძველი, სულ მალე მას სანდრო ახმეტელი ამოუდგა მხარში. მათ მრავალი საუკეთესო სპექტაკლი შექმნეს. არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ცხვრის წყარო" და „ჰამლეტი", „რღვევა" და „ლამარა", „ურიელ აკოსტა" და „ყაჩაღები", „ყვარყვარე თუთაბერი" და „ანზორი", „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", „კაკალ გულში", „თეთნულდი" და სხვა.

მაგრამ ორივე რეჟისორის დამსახურება უფრო მეტია, ვიდრე მათი სპექტაკლების წარმატება.

ქართულ თეატრში ცოცხლობს მარჯანიშვილისა და ახმეტელის თეატრალური ტრადიციები!

ჩვენ უკვე ვახსენეთ „ცხვრის წყარო". თითქოს ამ სპექტაკლში ჩამოყალიბდნენ, გამოჩნდნენ მთელი თავისი სიდიადით ისინი, რომლებსაც შემდეგ დიდი აქტიორული თაობა ეწოდა. ამ თაობას ამშვენებს უშანგი ჩხეიძის, შალვა ღამბაშიძის, თამარ ჭავჭავაძის, სანდრო ჟორჟოლიანის, აკაკი ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ვასაძის, ვასო გოძიაშვილის, სერგო ზაქარიაძის, აკაკი კვანტალიანის, სესილია თაყაიშვილის და სხვათა სახელები.

მიდიოდნენ წლები... თეატრში მოვიდნენ ახალი თაობები, მოიტანეს ახალი თემები, ახალი პრობლემები, ახალი სახეები.

იგივე განმეორდა რეჟისურაშიც.

ქართული თეატრის შემოქმედებითი შესაძლებლობანი იმთავითვე გამოჩნდა „ცხვრის წყაროში". ეს იყო ქართული საბჭოთა თეატრის პირველი დღე და პირველი სიყვარული, ეს იყო ერთი სუნთქვითა და აზრით შეკრული წარმოდგენა. ეს იყო ზეიმი, დღესასწაული, ნამდვილი თეატრალური დღესასწაული, ისეთი, რომლისკენაც ქართულ თეატრს მარჯანიშვილი მოუწოდებდა.

ათეული წლების მანძილზე შეიქმნა მთელი სერია საუკეთესო სპექტაკლებისა, გავიხსენოთ თუნდაც რევოლუციური რომანტიკით აღსავსე ს. შანშიაშვილის „ანზორი". მონუმენტური სტილის ამ სპექტაკლში სანდრო ახმეტელი გამოჩნდა, როგორც სცენის დიდი ორგანიზატორი, მასობრივი სცენების უბადლო ოსტატი...

ცნობილი ამერიკელი კრიტიკოსი სტრონგი ამბობდა: „მესამე აქტი თავისი დრამატურგიითა და არქიტექტონიკით ისეთ სიმაღლეს აღწევს, როგორიც მსოფლიოს არც ერთ სცენაზე არ მინახავს".

ახალი ქართული საბჭოთა თეატრის ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული პ. კაკაბაძის სახელთან. მისი „ყვარყვარე თუთაბერი", „კოლმეურნის ქორწინება" და „კახაბერის ხმალი" ნამდვილი შედევრებია. „ყვარყვარე თუთაბერის" პირველმა დადგმამ და უშანგი ჩხეიძის ყვარყვარემ სათავე დაუდო პ. კაკაბაძის ამ კომედიის დიდ სცენურ ისტორიას.

კ. მარჯანიშვილი მართლაცდა ერთნაირი ძალითა და შთაგონებით ქმნიდა დრამატულ და კომედიურ სპექტაკლებს. იმ ბრწყინვალე სპექტაკლებს შორის, რომელიც ოდესმე შექმნილა ქართულ თეატრში, პირველყოვლისა უნდა გავიხსენოთ „ურიელ აკოსტა".

ნატიფი პლასტიკა, სილამაზე ფერისა და ხაზისა, ცხოველი აზრი, ტემპერამენტი და მხატვრული მთლიანობა, რწმენა ადამიანის ნათელი გონებისა — ყველაფერი ეს კ. მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტას" ანიჭებდა განსაკუთრებულ მომხიბვლელობას. ქართულ სცენაზე იშვიათად ყოფილა ასე სრულქმნილი სპექტაკლი!.. ვ. ანჯაფარიძის ივდითი და უშანგის ურიელი ხომ მთელი მოვლენა იყო.

„ურიელ აკოსტას" გვერდს უმშვენებდა ს. ახმეტელის „ყაჩაღები". „ქართული თეატრი ჭაბუკია და ჭაბუკი შილერი მისი მახლობელი გამოდგაო"— წერდა „კრასნაია გაზეტა" და ეს იყო სიმართლე. იუზოვსკისათვის კი „ახმეტელის სპექტაკლი იყო მთელი მოვლენა შილერის თეატრის ისტორიაში".

შექსპირის პიესებს მუდამ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ქართულ სცენაზე. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ოტელო". ქართული თეატრალური შექსპირიანა მართლაც არ წარმოიდგინება ა. ხორავას ოტელოს გარეშე. არსებითად მისმა ოტელომ და ა. ვასაძის იაგომ გაუთქვა ქართულ შექსპირიანას სახელი მსოფლიოში.

საბჭოთა რუსეთის უპირველესი მსახიობი ვ. კაჩალოვი ასე მიმართავდა აკაკი ხორავას: „მინდა გითხრათ, ძვირფასო აკაკი ალექსის ძევ, რომ ძალიან დიდი ხანია თეატრიდან აღარ გამომყოლია ისეთი დიდი სულიერი სიხარული, როგორც გუშინ საღამოს თქვენმა ოტელომ მომანიჭა, აღარ გამომყოლია ალბათ, ახალგაზრდა შალიაპინის შემდეგ.

ულრმესი მადლობა ამ სიხარულისათვის, მაგრად გართმევთ ხელს თქვენც და თქვენ პარტნიორს აკაკი ვასაძეს — შესანიშნავ იაგოს. ორივეს დაბლა გიხრით თავს, ხოლო თქვენი ოტელოსათვის კი, — მიწამდე გიხრით თავს".

სხვა რაღა ქება შეიძლება ითქვას?!

ქართული შილერიანა მარტო „ყაჩაღები" როდია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს — სპექტაკლები „ვერაგობა და სიყვარული", „დონ-კარლოსი", „მარიამ სტიუარტი".

შექსპირის პიესებიდან ქართულ სცენაზე წარმატებით დაიდგა „რიჩარდ მესამე", „რომეო და ჯულიეტა" და სხვა.

„ოიდიპოს მეფემ" ქართული სცენის ახალი ფურცელი გადაშალა. ალექსიძის დადგმის უპრეცედენტო წარმატებამ საბჭოთა სცენას დაუბრუნა ანტიკური ტრაგედია, კვლავ ნათლად დაგვანახა მისი განუზომელი მხატვრული ღირებულება.

სამი ოიდიპოსი ერთ თეატრში— ხორავა, ზაქარიაძე, მანჯგალაძე.

სამი თაობა, სამი წარმატება!

უცხოურ კლასიკას ენაცვლებოდა ქართული, ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი" და დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (პირველი — მარჯანიშვილის თეატრში, მეორე — რუსთაველის თეატრის სცენაზე). დიდი იყო წარმატება ვაჟას ნაწარმოებთა მოტივებზე შექმნილი სპექტაკლისა „ბახტრიონი". იგი იყო რუსთაველის თეატრის ტრადიციის გაგრძელება და განვითარება. მთელი სპექტაკლი აღსავსე იყო ვაჟკაცური სულით, მაღალი პატრიოტული გრძნობით. დ. გაჩეჩილაძემ და სპექტაკლის დამდგმელებმა მაყურებელი აზიარეს დიადსა და მშვენიერ სამყაროს.

ქართულ საბჭოთა თეატრს დიდი ადამიანური სითბო და მომხიბვლელობა შემატა ნ. დუმბაძის ნაწარმოებებმა — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს", „ნუ გეშინია, დედა"; ეს სპექტაკლები არა მარტო სინათლესა და გარკვეულობას ანიჭებენ გ. ლორთქიფანიძის რეჟისორულ პროფილს, არამედ ახალი, დიდად მნიშვნელოვანი თვისებებითაც ამდიდრებენ ჩვენს სცენას. აქვე უნდა აღინიშნოს „კოლხეთის ცისკრის" წარმატებაც.

ბოლო ხანებში დიდი წარმატება ხვდა ა. გეწაძის პიესას „წმინდანები ჯოჯოხეთში". უფრო ადრე ასევე მაღალი შეფასება მიიღო ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელმა"; სხვადასხვა დროს წარმატებით დაიდგა ქართულ სცენაზე მ. მრევლიშვილის, კ. ბუაჩიძის, ი. ვაკელის, მ. ბარათაშვილის, გ. ნახუცრიშვილის, ვ. გაბესკირიას, მ. ჯაფარიძის, გ. შატბერაშვილის, გ. ხუხაშვილის და სხვათა პიესები; ამ პატარა წერილში ყველაფრის აღნუსხვა შეუძლებელია.

მთელი ამ ხნის მანძილზე ქართულ თეატრალურ კულტურას წარმატებით უდგანან სათავეში რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის დრამატული კოლექტივები, ქართული თეატრის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში თავისი მართალი სიტყვა თქვეს ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის, ახალციხის, ჭიათურისა და სხვა თეატრებმაც.

ჩვენი ხელოვნება ჭეშმარიტად იქცა ხალხის ცხოვრების მემატიანედ, მან დიდი ამაგი დასდო ახალი საბჭოთა ადამიანის აღზრდისა და სულიერი ფორმირების საპატიო საქმეს.

ვასილ კიკნაძე

# ახალი იდეებით,

განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ქართულმა მეცნიერებამ დიდი და სახელოვანი გზა გაიარა.

საბჭოთა პერიოდში ჩატარებული დიდი კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის, ქართული და მისი მონათესავე კავკასიური ენების, განსაკუთრებით კი საქართველოს ნივთიერი და მხატვრული კულტურის დარგში, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ქართული მოსახლეობის ძირითად ფუძეს უხსოვარ დროიდან ეჭირა ამიერკავკასიის ტერიტორიის ნაწილი, რომელზედაც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში წარმოიქმნა ქართველი ერი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, გაერთიანებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციითა და თავისებური შინაარსის მქონე კულტურით.

მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია კულტურული ცხოვრებისა, მჭიდრო ურთიერთობა წინა აზიის ქვეყნებთან, ხანგრძლივი ურთიერთობა აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ბიზანტიასთან შუასაუკუნეების ეპოქაში და თავგანწირული ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის წარმოადგენენ იმ ძირითად ფაქტორებს, რომელთაც განსაზღვრეს ქართული კულტურის ხასიათი და შინაარსი, მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ქართული კულტურის აღორძინებას საბჭოთა ეპოქაში.

ქართული კულტურის, განსაკუთრებით სახვითი ხელოვნების, მწერლობის და ფილოსოფიური აზროვნების შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ საქართველო განზე როდი მდგარა მსოფლიო ცივილიზაცი-



# ლექსიც ორმოცდაათი წლისაა

ფოთში, პატარა ზღვისპირა ქალაქში, ცხრაას ოცდაერთი წლის თებერვლის დღეებში, როცა საქართველოს დიდი გაზაფხული დგებოდა, დაიბეჭდა ალიო მირცხულავას პირველი ლექსი „ცეცხლიანი ისარი“.

ჭაბუკი პოეტი, რომელიც მაშინ ჩვიდმეტი წლისა იყო, ხელგაშლილი შეხვდა კარზე მომდგარ განთიადს და გამყვა მის გაუკვალავ გზას.

„ცეცხლიანმა ისარმა“ მართლაც ცეცხლით დასწვა მტრის გული და გაახარა ყველა, ვისაც ახალი საქართველოს სიკეთე უნდოდა.

ამ ლექსით, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს, კარგად გამოიკვეთა ალიო მირცხულავას სახე, როგორც პოეტისა და მოქალაქისა. იგი გამყვა ახალ დღეთა დინებას და მათი ლონე და მადლი თავის სტრიქონებშიც გადმოიტანა.

აბა, ხელახლა გადაიკითხეთ იმ წელს დაწერილი მისი ლექსები, ეს ხომ მგზნებარე პოეტური მოწოდებებია!

პოეტმა შეაქო ადამიანის სუფთა, სიმწარეგამოვლილი გული, რომელიც ბედნიერების შუქმა გაათბო და გაანათა, მან უმღერა ახალ საქართველოს, რომელიც „კვლავ შეიმოსა მუზარადით, ჯაჭვის სამოსით“ და თავისუფლების დროშაააფრიალა.

დღესაც შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხოს კაცმა სტრიქონები:

მეტეხის ხსოვნას უდარდელად წაიღებს მტკვარი,
წამოვა წვიმა და მწირივით წავა ეს წელიც.
განშორების ჟამს, გახსოვს, ბედო, მე რომ გითხარი:
— ვერ დამეწევი, მუხანათო, ვერ დამეწევი!

ჭეშმარიტი ოსტატის ხელითაა გამოძერწილი პოეტის იმდროინდელი ლექსები „მგზავრობა საჭარაში“, „მთვარე“, „ავტოპორტრეტი“ და სხვანი. ცხრამეტი-ოცი წლის ალიო მირცხულავა წერს გამორჩეულ ლექსებს ფორმის, აზრისა და პოეტური ოსტატობის მხრივ („დარიალი“, „გადახრა მთვარისაკენ“, „პატარა“, „ლოდინი“, „მტკვარისტანი“, „ზღვა“, „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“). რა ლაღად იკითხება სტრიქონები:

მეც გადავიტან ხეტიალს, შიმშილს,
თუ არ იქნება მეტი სახსნელი,
მეც შემიძლია გავწირო სისხლში
ჩემი ცხოვრება უკანასკნელი.

დადგა მშვიდობიანი ცხოვრების წლები, ხალხი წელში გაიმართა. გლეხკაცი გამოვიდა ბნელი მიწურიდან, კევრი და ხარ-გუთანი ტრაქტორმა და კომბაინმა შეცვალა. ამოშრა ჭაობი და ნაჭაობარზე ბაღი და პლანტაციები გაჩნდა. იმ ხანებში „კომუნისტის“ ფურცლებზე იბეჭდება ალიო მირცხულავას ორი ლექსი საერთო სათაურით „ხორგა“.

ხორგა ხომ მისი მშობლიური სოფელია. აქ ალვებსა და ცაცხვებს შორის დგას ძველი ოდა — უაივნო და ყავრით გადახურული. აქ გაატარა პოეტმა თავისი ბავშვობა, აქ განიცადა პირველი ტკივილი და პირველი სიხარული. აქ ეგულება ყველაზე ტკბილი და ყველაზე საყვარელი ადამიანი — დედა, ჩუმი და შვილის თვალებში უსიტყვოდ მაცქერალი მოხუცი. მაგრამ სჯობს თვითონ პოეტმა თქვას თავისი სათქმელი:

აი, გავცქერი მშობლიურ სახლს ყავარგათელილს,
ეზოც გაცვეთილ ხალიჩებით არის გაშლილი.
კვლავ დაბაჩუნობს დედაჩემი სახენათელი,
დასდევს ხბოსა და ხბოც კუნტრუშობს ბაღში
ბავშვივით.

შორს კი ნალმების აფეთქებით კრთიან ველები,
უემურს ებრძვიან ჟანგისფერი კოლხიდელები...

საქართველოს მიწაზე ერთიმეორეზე ჩნდებიან ინდუსტრიის კერები. იმ დაძაბული დღეების სუნთქვა და რიტმი გადმოცემულია პოეტის ლექსში „დამკვრელი ბრიგადები“.

ჰა, გრაგანებენ კვლავ მანქანები,
ჩარხზე დგებიან, გრიგალდებიან,
ტემპს რომ ხვდებიან მძლავრ გაქანებით,
კომკავშირული ბრიგადებია.

ოცდაათიან წლებში პოეტმა გამოაქვეყნა ეპიკური ტილო, პოემა „ენგური“, ჰიმნი განახლებული ქართული მიწისა. თვალწინ გვიდგანან კომკავშირელი ვაჟები და გოგონები, რომლებიც ახალ გიგანტს აშენებენ ენგურის პირას, ჯაგებისა და ლაქაშების სამფლობელოში. არ შეიძლება დაგვავიწყდეს სათნო და მოკრძალებული ლია ლენდია, ამაყი და მგრძნობიარე ბურდუ შელია. ესენი ხომ ის პირველი კომკავშირელები არიან, პირველი აგურები რომ მიიტანეს ახალი ქვეყნის ასაშენებლად და სასიკეთოდ.

მაგრამ მალე მუხანათი მტერი დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. დაფდაფების ხმამ ფეხზე დააყენა საბჭოთა ხალხი. გაისმა ალიო მირცხულავას ხმაც — ვაჟკაცური და მომწოდებელი. გაისმა ომის დაწყების პირველსავე დღეს:

მტრებს დავკრათ, ქარ-ბუქს მიჰქონდეს
მათი ოხვრა და გლოვანი.
კვლავ ვასახელოთ გმირობით
სამშობლო სახელოვანი.

როცა ამ ლექსებს კითხულობ, გრძნობ, რომ პოეტი შენი თანამედროვეა, და მისი გული სავსეა ადამიანებისადმი, ქვეყნისადმი სიყვარულით.

ალიო მირცხულავამ შესანიშნავად გამოჰკვეთა თავის ლექსებში სახე დიდი ლენინისა, სახე იმ ადამიანისა, ვინც ახალი გზით წაიყვანა კაცობრიობის ისტორია.

ალიო მირცხულავა ჩვენთვის, ჩემი თაობისათვის, იმათთვის, ვისაც მისი მზრუნველი გულის სითბო უგრძვნია, ვინც მის ლექსებზე აღიზარდა, კიდევ უფრო ახლობელი და საყვარელი პოეტია. მისი სახელი თან შეეზარდა ჩვენს სიყრმესა და სიჭარმაგეს. მისი ლაღი და ფრთიანი სტრიქონები სკოლის მერხებზე გვისწავლია. იქიდან, იმ წლებიდან დარჩა ხსოვნაში მისი „მე და ბარათაშვილი“, „ჩემი წარსული“, „არ გამაგონო“, „საქართველო ამბობს“, „აფხაზური“, „ახი მინიატურა“, „სამშობლო“, „ჰიმნი სამშობლოს“, „სადაც ვშობილვარ“, „გაზაფხული“ და ბევრი სხვა. ბავშვობიდანვე თან მოგვყვება ამ ლექსების დამწერი, მოგვყვება ისე, როგორც მზრუნველი მამა — მართალი და პატიოსანი. მის სტრიქონებში არაა განგებ დახლართული აზრი, გაბუნდოვანებული სათქმელი. იგი წერს, რადგან ეწერება. წერს იმაზე, რასაც განიცდის, რაც სჯერა, რაც უყვარს.

მეოცე საუკუნის ქართული საბჭოთა პოეზია წარმოუდგენელია ალიო მირცხულავას გარეშე. საყვარელი ალიო მართლაც რომ ერთ-ერთ მაგარ ბოძად შეუდგა ქართულ საბჭოთა პოეზიას. და აი, ეს ბოძი მკვიდრად დგას ჩვენს მიწაზე აგერ მთელი ნახევარი საუკუნეა, მკვიდრად იდგა და მკვიდრად დგას, იგი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა საბჭოთა საქართველოს ზრდასა და დავაჟკაცებასთან ერთად.

— ჩემი პოეტური გატაცებისა და შთაგონების წყარო იყო ის ახალი და მღელვარე ცხოვრება, რომელიც ოცდაერთი წლის თებერვლიდან დაიწყო საქართველოში, — თვითონვე ამბობს ერთგან ალიო მირცხულავა, — მე ვამაყობ, რომ ამ ახალი ცხოვრების მკვიდრი ვარ, რომ ჩემი ბიოგრაფია საბჭოთა საქართველოს ცხოვრებასთან არის დაკავშირებული...

დიახ, ალიო მირცხულავას მთელი ცხოვრება. მთელი სიცოცხლე, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, ახალ, საბჭოთა საქართველოსთანაა შეზრდილი და შეხორცებული. საბჭოთა საქართველო ორმოცდაათი წლისაა. საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი მემატიანისა და მომღერლის — ალიო მირცხულავას ლექსიც ორმოცდაათი წლისაა.

ვასილ გვეტაძე

## ახალი შინაარსით

ის და ხელოვნების განვითარების ძირითადი მაგისტრალური ხაზიდან, პირიქით, მუდამ აღწევდა მის საერთო დონეს. საქართველომ შექმნა თავისი თვითმყობადი კულტურა და ამით თავისი წვლილი შეიტანა მსოფლიო კულტურის საგანძურში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ძირიანად შეცვალა ჩვენი ქვეყნის განვითარების გეზი, გაამდიდრა კაცობრიობის კულტურა ახალი იდეებით და შინაარსით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი კულტურის, ხელოვნების ძეგლების მოვლას, დაცვას და მეცნიერულ შესწავლას. საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის მეოხებით 1923 წელს საქართველოს დაუბრუნდა ის დიდი განძი ძველი ქართული კულტურისა, რომელიც გატაცებული იყო საქართველოდან მეფის მთავრობის ბატონობის დროს. 1944 წელს ჩვენს ქვეყანას დაუბრუნდა ის დიდი სამუზეუმო განძი, რომელიც წაღებული იყო საქართველოდან 1921 წელს. საბჭოთა ხელისუფლების დროს საქართველოში გაიხსნა მრავალი უმაღლესი სასწავლებელი, დაარსდა ჩვენი კულტურის დიდი კერა — საქართველოს მეცნიერებათა აკადემია.

დღეს ჩვენში გაშლილი და გაღრმავებული მეცნიერული ძიების საფუძველზე ყოველდღე მკაფიო სახით ჩანს ის თვალსაჩინო წვლილი, რომელიც შეაქვს ქართველ ხალხს მსოფლიო კულტურის საგანძურში.

აკად. შალვა ამირანაშვილი.



ი. გაგარინი და ა. შიუკაშვილი.

# ისინი ისწრაფოდნენ ცისკენ

ჩვენს წინ დევს დროისაგან გაცრეცილი და ფერდაკარგული ფოტოსურათი. მასზე გამოხატულია პლანერი, რომელსაც ახალგაზრდა კაცი მართავს. სურათზე წარწერილია: „ა. ვ. შიუკაშვილის ფრენა საკუთარი კონსტრუქციის პლანერზე. 1908 წლის 5 მაისი“. ეს უნიკალური ფოტო და ამონაჭრები იმდროინდელი გაზეთებიდან მოგვითხრობენ ჩვენს ქვეყანაში საავიაციო ტექნიკის განვითარების საწყისებზე, პირველ ნაბიჯებზე და იმ ადამიანებზე, რომლებსაც დაუცხრომელი რწმენა ჰქონდათ, რომ დადგებოდა დრო, როცა ადამიანი დაეუფლებოდა ცის სივრცეებს.

ზემოხსენებული დოკუმენტები ინახება საქართველოს საავიაციო მუზეუმში.

ალექსი შიუკაშვილი 15 წლისა იყო, როცა მან სცადა გაფრენილიყო პლანერით. თავისი მანქანა მან აიტანა მახათას მთაზე, თბილისს რომ გადმოსცქერის ალმოსავლეთის მხრიდან. გაოცებული მაყურებლების თვალწინ საფრენი აპარატი უეცრად მოწყდა მთის ფერდობს, ნელ-ნელა აიყვანა ადამიანი ჰაერში და 50 მეტრის იქით დაეშვა. იმ დროის თბილისისათვის ეს სასწაული იყო, რაღაც უცნაური ზღაპარი.. რა იცოდნენ იქ დამსწრე თბილისელებმა, თუ რამდენი იწვალა გიმნაზიის მოსწავლემ შიუკაშვილმა, ვიდრე ამ აპარატს გააკეთებდა.

მაგრამ ალექსის გაფრენის ამბავი მაინც მივიდა განათლების უწყების ჩინოვნიკთა ყურამდე. მათ დაწვრილებით გამოიკვლიეს ყველაფერი და შიუკაშვილი გიმნაზიიდან გამორიცხეს. „აღმზრდელთა“ ამ სისასტიკემ ვერ შეაკრთო ნიჭიერი ჭაბუკი, მან უფრო მეტი გატაცებით მოჰკიდა ხელი საავიაციო საქმის შესწავლას.

1909 წელს ალექსი შიუკაშვილი თვითონ ქმნის ახალი კონსტრუქციის პლანერს, რომელიც უკვე ასი მეტრის მანძილზე ფრინავს (ფრენის სიმაღლე — 10 მეტრი), შემდეგ კვლავ აუმჯობესებს ამ პლანერსაც, აწყობს ახალ გაფრენას.

ამ პირველი ცდების შემდეგ შიუკაშვილმა გადაწყვიტა აეშენებინა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავი, მაგრამ ამისათვის მას არავითარი სახსრები არ გააჩნდა. მან დაიწყო ფასიანი ლექციების კითხვა საავიაციო ტექნიკის განვითარების ისტორიიდან, რათა საკმაო თანხა ეშოვნა საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავის ასაშენებლად. შენახულია ერთი ძველი აფიშა, რომელზედაც ვკითხულობთ: „1910 წელი, ქ. გორი. კვირას, 18 ივლისს, ქალაქის საზაფხულო კლუბში, დღის 12 საათზე, ამიერკავკასიის აეროსანაოსნო წრის წევრი ა. ვ. შიუკაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „აერონაოსნობა, მისი წარსული და აწმყო“. ამ ლექციის კითხვის დროს მოულოდნელი რამ მოხდა: ლექტორმა გამოთქვა რწმენა, რომ არც ისე შორსაა ის დრო, როდესაც საჰაერო გზები შეაერთებენ შორეულ ქალაქებს და შეიქმნება აეროდრომები, სარკინიგზო სადგურების მსგავსად, სადაც იყიდი ბილეთს და გაფრინდები საითაც გინდა. დარბაზში, წინა რიგებში გამოჭიმული იყო გორის მაზრის უფროსი, როგორც კი გაიგონა მან ზემოთ მოყვანილი სიტყვები, უმალ წამოხტა და ხალხს მიმართა:

— ეს ღვთის საწინააღმდეგო რამ არის და ხელმწიფე-იმპერატორი ამას არ დაუშვებს.

შემდეგ ლექტორს მიუბრუნდა:

— ჩამობრძანდი მაგ კათედრიდან, დღეიდან შენი ფეხი არ იყოს გორში, თორემ იოლად ვერ გადამირჩებიო.

ასე ხვდებოდნენ ოფიციალური წრეები მეოცნებე ჭაბუკის ცდებს, მაგრამ საქმე მაინც წინ მიიწევდა. იმავე ხანებში ამ საქმით გატაცებულნი იყვნენ საფრენოსნო საქმის ერთ-ერთი პირველი ენთუზიასტი, სახელგანთქმული ბესარიონ ქებურია, ოფიცერი პლატი და სხვები.

სულ მალე ალექსი შიუკაშვილი ადგენს მოტორიანი თვითმფრინავის პროექტს, უსახსრობის გამო დახმარებისათვის მან ორჯერ მიმართა მეფისნაცვალს კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვს, მაგრამ ორჯერვე უარით გამოისტუმრეს. მაშინ კონსტრუქტორმა სადღაც იშოვნა ძველი, დაზიანებული მოტორი, შეაკეთა და დადგა თავის ახლად აგებულ თვითმფრინავზე. ცალკეული დეტალები მას დაუმზადეს მეგობარმა რკინიგზელებმა. 1912 წელს „კანარი“ (ასე უწოდა ალექსიმ თავის მანქანას) მზად იყო. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, მის კონსტრუქციაში იყო სიახლენი, რომლებიც შემდეგ გამოყენებული იყო ევროპულ თვითმფრინავებში. აღსანიშნავია ისიც, რომ შიუკაშვილი რჩევა-დარიგების მიღების მიზნით უკავშირდებოდა იმ დროის ცნობილ ავიატორებს — ბლერიოსა და სანტოს დიუმონს.



ა. შიუკაშვილი პირველი მსოფლიო ომის წლებში.

თვითმფრინავის გამოცდა უნდა მოეხდინათ მინდორში, თბილისის ახლოს.

— ჯერ სახელდახელოდ იმპროვიზებულ აეროდრომის ფართობზე დამყავდა მანქანა, — იგონებს ალექსი, — შემდეგ მცირე სიმაღლე ავიღე, მაგრამ უფრო მაღლა აფრენის ცდის დროს მოხდა ავარია, საჭე და ფუზელაჟის წინა ნაწილი დაიმსხვრა.

ვერც ამ მარცხმა შეაფერხა ექსპერიმენტატორის დაუცხრომელი ძიება. მან კარგად შეისწავლა ავარიის მიზეზები, შეუდგა მანქანის გადაკეთებას, ამის შემდეგ თვითმფრინავმა გაცილებით უკეთესი სახე მიიღო, მაგრამ შიუკაშვილი მაინც იძულებული გახდა შეეწყვიტა ცდები — საჭირო იყო პილოტის დიპლომი.

1913 წელს შიუკაშვილი მიემგზავრება ოდესაში და აბარებს გამოცდებს აეროკლუბში პილოტ-ავიატორის წოდების მისაღებად. მომდევნო წელს, როცა მსოფლიო ომი დაიწყო, ის მიავლინეს გატჩინის სამხედრო-საავიაციო სკოლაში; სულ მალე მას ფრონტზე ვხედავთ, სადაც შეასრულა მრავალი საბრძოლო გაფრენა, ჩამოაგდო მტრის არაერთი თვითმფრინავი, რისთვისაც დაჯილდოებული იყო საბრძოლო ორდენებით.

სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ალექსი შიუკაშვილი მთელ თავის ენერგიას ახმარს ახალი ქვეყნის მშენებლობას. პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიდანვე დიდ ყურადღებას უთმობენ სამოქალაქო ავიაციის შექმნას. ლენინის მითითებით 1923 წელს იქმნება საჰაერო ფლოტის ხელისშემწყობთა საკავშირო საზოგადოება. ა. შიუკაშვილი ხდება საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ქმნის ამიერკავკასიის სამოქალაქო ავიაციის საზოგადოებას („ზაკავია“). ამ დროიდან თბილისის გაზეთებში პერიოდულად ქვეყნდება წერილები და ნარკვევები იმაზე, თუ რა როლი უნდა შეასრულოს ავიაციამ ქვეყნის სამეურნეო-კულტურულ ცხოვრებაში. ასე, მაგალითად, 1923 წლის 1 თებერვალს „ზარია ვოსტოკა“ აღნიშნავდა: „საჰაერო ფლოტი ჩვენში ოცნება კი არა, ჭეშმარიტი სინამდვილეა. საქმე გაკეთებულია, სიტყვიდან საქმეზე, თეორიიდან პრაქტიკაზე გადავედით. ფლოტი დაბადებულია. მას უნდა მზრუნველობა და მოვლა, რათა ფოლადის ფრთები უფრო მეტად გაიმაგროს“.

ალექსი შიუკაშვილი ამჟამად ცხოვრობს მოსკოვში, და მიუხედავად ხანდაზმულობისა, არ შორდება თავის საყვარელ საქმეს; სამამულო ავიაციის ისტორიის მოწმე და მონაწილე, ის აწარმოებს საჭირო და სასარგებლო საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

თავისი ცხოვრების მანძილზე ალექსი შიუკაშვილს ჰქონდა ბედნიერება შეხვედროდა ლენინს და ელაპარაკა მასთან, ემუშავნა ფრუნზესთან, ორჯონიკიძესთან, კუიბიშევთან, კიროვთან; ის ხვდებოდა პირველ მფრინავ-კოსმონავტს იური გაგარინს და მის მეგობრებს; ამას გარდა, ა. შიუკაშვილი ოცდაათამდე გამოგონების და რამდენიმე საინტერესო წიგნის ავტორია.

ასეთია მოკლედ ამ ღვაწლმოსილი ადამიანის ცხოვრების გზა.

ვ. გულაშვილი
რ. მეგრელიშვილი
მოსკოვი—თბილისი.

ისტორიის ერთი ფურცელი

# „ნარიყვანეს სთოკოლმას“

ვახუშტი წერს: „შემდგომად ალექსანდრე შეიპყრეს ნარვას შუეთთა და წარიყვანეს პატიმრად სთოკოლმას“.

ჩვენი მკითხველისათვის ნაცნობია რუსეთის პირველი ფელდცეიხმეისტერის (ანუ არტილერიის მთავარსარდლის) ალექსანდრე არჩილის ძის სახელი. მის ბიოგრაფიას მოკლედ გადმოგვცემს თვით ვახუშტი, მას მოიხსენიებენ პეტრე დიდის ისტორიკოსები, არც ქართველ მკვლევართა ყურადღება მოჰკლებია. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ალექსანდრეს შესახებ მოგვითხრობს გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი და მწერალი ვოლტერი თავის წიგნში „კარლოს XII-ის ისტორია“ (ეს ფაქტიც კარგა ხანია ცნობილია როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში).

ვოლტერის სიტყვით, ნარვის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილთა შორის იყო ქართველი მეფის უფროსი ვაჟი და საქართველოს გვირგვინის უდავო მემკვიდრე ალექსანდრე არჩილის ძე — შესანიშნავი მაგალითი ბედის უკუღმართობისა. მისი მამა, ბატონი ყველაზე მშვენიერი ქვეყნისა, რომელიც მოთავსებულია არარატის მთებსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირს შორის, მტრებმა საკუთარი სამეფოდან გამოაძევეს... მან არჩია მიემართა მოსკოვის იმპერატორის წყალობისთვის, ვიდრე თავშესაფარი ეპოვნა თურქეთის სულთანთან. მისი ვაჟი დატყვევებულ იქნა ნარვაში ერთ-ერთი შეტაკების დროს ფინელი ჯარისკაცების მიერ, რომლებმაც მას ტანისამოსი შემოაძარცვეს და ის იყო მოკვლას უპირებდნენ, როდესაც გრაფმა რენშილდმა ხელიდან გამოსტაცა ტყვე, მისცა ჩასაცმელი და წარუდგინა თავის ბატონს. კარლოსმა გაგზავნა იგი სტოკჰოლმში, სადაც ეს უბედური პრინცი რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა. როდესაც იგი მიჰყავდათ, კარლოსმა თავი ვერ შეიკავა და შვედი ოფიცრების წინაშე ხმამაღლა გამოხატა გაოცება კავკასიის მთების ძირას დაბადებული აზიელი პრინცის უცნაური ხვედრის გამო, რომელსაც ახლა ტყვეობაში უნდა ეცხოვრა — ყინულოვანი შვედეთის მიწაზე. „ეს იმასავით არის,— თქვა მან, — ერთ მშვენიერ დღეს, მე რომ ტყვედ აღმოვჩნდე ყირიმელ თათრებთან“. ამ სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია იმჟამად, მაგრამ შემდგომში ძალიან კარგად გაახსენდათ კარლოსის ნათქვამი, როდესაც მოვლენათა მსვლელობამ მეფის ხუმრობა აქცია წინასწარმეტყველებად, (ვოლტერი გულისხმობს იმას, რომ პოლტავის ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი კარლოს XII თურქეთს გაიქცა და რამდენიმე წელიწადი იძულებით იყო დაბინავებული იქ).

საინტერესოა, რომ ნარვის ბრძოლაში სიკვდილს ბეწვზე გადარჩა თვით კარლოს XII. იგი თავის კამერგერთან ერთად კინაღამ გაუვალმა ჭაობმა ჩაყლაპა. ორი ფინელი ჯარისკაცის დახმარებით მან ძლივს დააღწია თავი ჭაობის ტყვეობას. მაგრამ დაკარგა დაშნა, ფეხიდან გაძვრა ბოტფორტი. შიშნაჭამი მეფე მაშინვე სხვა ცხენზე გადაჯდა და ცალი ბოტფორტის ამარა, ჯარისკაცის ხმლით ხელში სასწრაფოდ გაეშურა თავისი ჯარებისაკენ. მოგებული ბრძოლა, უეჭველია დაავიწყებდა ჭაობში განცდილ ფათერაკს.

ეს მოხდა 1700 წლის 19 ნოემბერს.

მაგრამ კარლოს XII-ის წარმატება მხოლოდ დროებითი ტაქტიკური გამარჯვება იყო. ფრიდრიხ ენგელსი აღნიშნავს, რომ „ნარვა იყო პირველი სერიოზული დამარცხება აღმავლობის გზაზე დამდგარი ერისა, რომლის მედგარი სული დამარცხებითაც კი სწავლობდა გამარჯვებას“.

მალე, სულ მალე კარლოს XII გაიცნობს პოლტავას და სიკვდილამდე აღარ დაავიწყდება.

ალექსანდრე არჩილის ძე კი უკვე შორეულ ჩრდილოეთშია. 1701 წლის 28 მაისს ტყვეები სტოკჰოლმს ჩაიყვანეს და ტრიუმფის ნიშნად გაატარეს სტოკჰოლმის ქუჩებში. ამ დრამატულ მსვლელობას წინ მიუძღოდა ყველაზე ეგზოტიკური ტყვე — ქართველი პრინცი და რუსეთის ფელდცეიხმეისტერი.

საშინელი პირობები შეუქმნეს ტყვეებს. თურქებთან ტყვეობა სჯობს შვედებთან ტყვეობასო, იწერებოდა ერთი მათგანი. მხოლოდ ალექსანდრეს მისცეს სეირნობის ნება, ოღონდ ყარაულთან ერთად. თავისიანებს ატყობინებდა, რომ პური არსობისა არ გააჩნია და ითხოვდა დახმარებას, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო. პეტრე I-ის ბრძანებით არაერთგზის გაუგზავნეს ფული.

ალექსანდრეს რამდენიმე ქართველი მსახური ახლდა. ალბათ გულს გადააყოლებდნენ მშობლიურ ენაზე საუბარს, ალბათ იხსენებდნენ საქართველოს, რომელიც ყველაზე ნაკლებად ალექსანდრეს ახსოვდა. ის ხომ მხოლოდ ათი წლისა იყო, როდესაც მოსკოვს ჩაიყვანეს. იზრდებოდა სამეფო კარზე პეტრესთან ერთად. რუსეთის მომავალი იმპერატორი და საქართველოს გვირგვინის უდავო მემკვიდრე თითქმის თანატოლები იყვნენ. გაირბინა წლებმა. „დიდი ელჩობა“ დასავლეთ ევროპაში. ამსტერდამი, ჰააგა, უტრეხტი. ალექსანდრე სწავლობს არტილერიის საქმეს ორი წლის განმავლობაში, არტილერიის კაპიტან იან გოშკასთან. შემდეგ ლონდონში იმყოფება პეტრესთან ერთად, და ბოლოს ისევ რუსეთი. 1700 წლის 19 მაისი, გამოდის უმაღლესი ბრძანებულება — ალექსანდრე არჩილის ძე ინიშნება „პუშკარსკი პრიკაზის“ უფროსად. მაგრამ ნარვის ბრძოლამდე რაღაც თვეებია დარჩენილი და ახალგაზრდა გენერალმა, რა თქმა უნდა, ვერ მოასწრო ასეთ ხანმოკლე დროში შეესრულებინა თავისი მისია — ევროპულ ყაიდაზე გაეწყო რუსული არტილერია. და ახლა, სტოკჰოლმის ტყვეობაში წუხდა, რომ უიმისოდ გაგრძელდებოდა სამზადისი მომავალი გამარჯვებისათვის.

1704 წელს სერიოზულად დასნეულდა. მოსკოვიდან მოხელე გაგზავნეს ტყვეობიდან ალექსანდრეს დასახსნელად. კარლოს XII-მ ვაჭრობა დაიწყო. ჯერ ათი კასრი ოქრო მოითხოვა, შემდეგ გამოაცხადა, რომ გაცვლიდა ალექსანდრეს სამოც შვედ ოფიცერში.

ასე ძვირად შეფასებული ალექსანდრე წერდა: „სათქმელად კი არა, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ რაიმე დეტრიმენტი (გერმანულად ნიშნავს ზარალს, ზიანს) შეემთხვეს ხელმწიფოს ჩვენი გულისათვის, თუნდაც ათასჯერ უკეთესები ვიყოთ, ვიდრე ვართ. დავბადებულვართ, რომ ყველაფერი მოვითმინოთ და მოვკვდეთ ხელმწიფისა და ხელმწიფოსათვის“.

მაგრამ არჩილი ასე იოლად ვერ შეელეოდა თავის პირმშოს. უკვე ნახევარ საუკუნეს გადააბიჯა, წლები ემატებოდა და იმედები აკლდებოდა. დაკარგა მეფობა, დაკარგა სამშობლო, დაკარგა ძმები და ახლა კარგავდა შვილს.

ინგლისელი კაპიტანი, გემებისა და არხების მშენებელი ჯონ პერი, რომელიც 1698 წლიდან რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა, ახასიათებს არჩილ მეფეს, როგორც „ახოვან, კარგი შესახედაობის ჯენტლმენს“ და აღნიშნავს, რომ მოსკოვში ჩასული მეფე დიდი სიყვარულით მიიღო პეტრე I-მა. სწორედ ჯონ პერის წიგნშია ცნობები იმაზე, რომ XVII საუკუნის დამლევს რუსეთის იმპერატორი აპირებდა საექსპედიციო ძალების გაგზავნას იმერეთის ტახტზე არჩილის აღსადგენად. მაგრამ ნარვამ და შემდეგ დონის კაზაკთა ამბოხებამ ჩაშალა ეს გეგმები. არჩილს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდა. მაგრამ იმერეთის ტახტს აღარ ჩიოდა მეფე-პოეტი, მთელი მისი წუხილი და ზრუნვა უკვე სტოკჰოლმზე იყო გადატანილი.

არჩილმა ჯერ ავსტრიის იმპერატორს სთხოვა შუამდგომლობა შვედებთან, მაგრამ ამაოდ დაშვრა. 1706 წელს წერილი მისწერა პირადად კარლოს XII-ს (ქართველმა ბერმა, სახელად ბაგრატმა წაიღო ეს წერილი სტოკჰოლმს).

არჩილი უხსნის შვედეთის მეფეს თავის ვინაობას, ამცნობს საქართველოს გაპარტახებას ორი ურჯულო ხელმწიფის მიერ, შემდეგ ატყობინებს, რომ მის ვაჟს ნაადრევი სიკვდილი ემუქრება და სიბერეში შვილის დაკარგვა სამარის კარამდე მიმიყვანსო. სთხოვს, რუსების მიერ დატყვევებულ შვედ ოფიცრებში გაუცვალოს შვილი — მისი უკანასკნელი ნუგეში. „მე და მთელი საქართველოს სამეფო, — მიმართავს არჩილი კარლოს XII-ს, — სამარადისოდ მადლიერნი დავრჩებით თქვენი უდიდებულესობისა და განვადიდებთ თქვენს სახელგანთქმულ სახელს“.

ასეთმა ვედრებამაც კი ვერ მოალბო კარლოსის გული. არჩილს პასუხი არ მიუღია.

მოვიდა 1709 წელიც. პოლტავას არ ელოდნენ შვედეთში, პირველად ვერც დაიჯერეს და ბოლოს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ სასტიკი მარცხი პოლტავაში სიმართლე იყო, თავისი მხნეობის დასამტკიცებლად უფრო მკაცრად ექცეოდნენ ტყვეებს, ვიდრე მანამდე. აუკრძალეს ნათესავებთან მიმოწერა.

და მაინც დადგა ნანატრი წუთი. შვედეთის სენატი დათანხმდა ტყვეების გაცვლაზე (სხვათაშორის, პოლტავის ტყვეთა შორის იყო ფელდმარშალი რენშილდი, რომელმაც ნარვაში სიკვდილს გადაარჩინა ალექსანდრე).

ათი წელიწადი ელოდა ამ დღეს ქართველი ბატონიშვილი და აჰა, თავისუფლებამ გზა გაუხსნა მოსკოვისაკენ, სადაც ასევე მოუთმენლად ელოდნენ მამა და ცოლი, ახლობლები და მეგობრები...

მაგრამ ხანგრძლივ ტყვეობას თავისი გაეტანა და 1711 წლის დამდეგს „მოსრული რიგას მოკვდა ალექსანდრე შირიმის სენითა“, როგორც გვაუწყებს ვახუშტი. დაასაფლავეს მოსკოვში.

ამავე წლის შემოდგომაზე, ავლანეთში, ყანდაარის მისადგომებთან დაიღუპა მისი მკვიდრი ბიძაშვილი და სეხნია — ალექსანდრე ლუარსაბის ძე (ალბათ არც რიგაში სმენოდათ ყანდაარი და არც ყანდაარში რიგა!); ბიძაშვილები ერთმანეთს არ იცნობდნენ და, რაც მთავარია, ალექსანდრე ლუარსაბის ძეს, ისპაანში დაბადებულსა და გაზრდილს, ერთხელაც არ უნახავს საქართველო. აი, მართლაც უკუღმართობა და დაცინვა ბედისა. ეს ამბავიც რომ გაეგო ვოლტერს, ვინ იცის, მაშინ რაღას იტყოდა!

ზ. ჯაფარაშვილი



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



# ოსტატის მადლიანი ხელი

თბილისი... ფერადი ბეჭდვის სტამბა... აქაურმა ოსტატებმა დიდი ხანია გაითქვეს სახელი, ისინი აღზარდა შესანიშნავმა პოლიგრაფისტმა, ამ სტამბის დირექტორმა გაბო გოგიჩაშვილმა. ის როგორც მზრუნველი მამა, თავს დასტრიალებს ამ ახალგაზრდებს, მთელ საწარმოს. მის გარეშე კლიშე არ მოიჭრება, ბეჭდვა არ დაიწყება. გაბო ყველაფერს თვალს ადევნებს, ყოველ ანაბეჭდს გულდაგულ სინჯავს და მუდამ იმას ცდილობს, რომ ფერადი ბეჭდვის სტამბიდან თვალგასახარელი და ყველასათვის სასიამოვნო ნაბეჭდი პროდუქცია გამოვიდეს.

ასე იყო ყოველთვის: ასე იყო მაშინაც, როცა ფერადი ბეჭდვის სტამბაში რუსთაველის იუბილეს დღეებში „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა მზადდებოდა, ასე იყო მაშინაც, როცა გაბო გოგიჩაშვილის ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა საქვეყნოდ გახმაურებული უნიკალური წიგნი: „ქართული ხელნაწერები“, ასე არის დღესაც. ამ სტამბის პროდუქციას მუდამ ატყვია ოსტატის მადლიანი ხელის სითბო.

1951 წელს განახლდა ჟურნალ „დროშის“ გამოცემა. იმ პირველი განახლებული ნომრიდან ჩვენი ჟურნალი წლების მანძილზე ფერადი ბეჭდვის სტამბაში იბეჭდებოდა. გაბო გოგიჩაშვილი ყოველთვის საიმედოდ გვედგა მხარში, ჩვენთან ერთად არჩევდა საღებავის თვითეულ ფერს, ჩვენთან ერთად იღწვოდა და ჩვენთან ერთად შეჰხაროდა ჟურნალის ყოველ ახლად გამოსულ ნომერს.

გაბო გოგიჩაშვილმა ცხოვრების რთული გზა განვლო. იგი თხუთმეტი წლისა იყო, როცა სოფელ ატოციდან თბილისში ჩამოიყვანეს და პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე კუსტარულად მოწყობილ ფოტოცინკოგრაფიაში მიაბარეს შეგირდად.

სოფლიდან ჩამოსულმა ჭაბუკმა პირველად აქ შეიგრძნო საღებავის მძაფრი სუნი, პირველად აქ ეზიარა ბეჭდვის საიდუმლოს, რომელიც მთელი გულით შეიყვარა და რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების გზა დაუკავშირა.

ნიჭიერი და მონდომებული ახალგაზრდა მოსკოვში მიავლინეს სამფეროვანი კლიშის დამზადების შესასწავლად. 1935 წელს მოსკოვიდან დაბრუნებულმა გაბო გოგიჩაშვილმა დაბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფერადი რეპროდუქციები. აი სწორედ ეს თარიღი ითვლება ქართული პოლიგრაფიის ისტორიაში მაღალი ფერადი ბეჭდვის დასაწყისად.

გაბო გოგიჩაშვილს ამას წინათ 60 წელი შეუსრულდა. პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკებმა, საქართველოს მთელმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნეს ეს თარიღი. საღამო, რომელიც გაბო გოგიჩაშვილს მიეძღვნა, მთელი ჩვენი პოლიგრაფიული მრეწველობის ზეიმად გადაიქცა.

ვუსურვოთ ჩვენს გაბოს დღეგრძელობა და ახალი შრომითი წარმატებანი!

---

**ბანე ჯურიჩიჩი**

*იუგოსლავია.*

# სიყვარული და მაგნიტოფონი

რატკოს მაგნიტოფონის ღილაკზე თითი ედო და არ იღებდა.

— იცი, რა ოლგიცა, როგორღაც უხერხულია. ისე გამოდის, თითქოს მათ ლაპარაკს მივაყურეთ.

— მერე რა, გამოვიდეს, განა უფლება არა მაქვს ვიცოდე, რაზე ლაპარაკობენ ჩემი ქალიშვილი და მისი მეგობარი ვაჟი, ვისთანაც ვითომ მეცადინეობს?

— რატომ „ვითომ?“ სექტემბერშიც ხომ ერთად ემზადებოდნენ გამოცდებისათვის და კარგადაც ჩააბარეს.

— მაშინ მეცადინეობდნენ, ახლა არა! თვალებში ვატყობ, სხედან და ერთმანეთს კატებივით შესცქერიან... აბა მიდი, ჩართე!

ფირი დატრიალდა, გამოჩნდა ყავისფერი ლენტი, მაგნიტოფონიდან რაღაც შარიშური მოისმა.

— ეს რა შრიალია? — იკითხა შეშფოთებით დედამ.

— ალბათ წიგნებს ფურცლავენ...

— ოჰ, არა მგონია, წიგნები იყოს!

— მაშინ რვეულები იქნება, კონსპექტები.

უცებ მაგნიტოფონი სასიამოვნო ბარიტონით ამეტყველდა.

„მერე რა უნდა ვქნათ, სვეტლანა?“

— ის ლაპარაკობს? — იკითხა დედამ.

— ჰო.

„მე უკვე მოველაპარაკე მამას“, — გაისმა სვეტლანას ხმა.

— მე გაგაგებინებ, შვილიკო, მე! — დაემუქრა დედა და მაგნიტოფონთან უფრო ახლოს მიიწია.

„ჯერ მამას მოელაპარაკე, — განაგრძო ხავერდოვანმა ბარიტონმა, — მთავარია, ის არ წავიდეს წინააღმდეგი, თორემ დედასთან მორიგება იოლია. ვფიქრობ, მამაშენი გაგვიგებს, თანამედროვე და ინტელიგენტი ადამიანია“.

დედა სკამიდან შეხტა.

— ერთი იმას დამიხედე! აქაოდა ინტელიგენტიაო, მაშასადამე, ცხრამეტი წლის ქალიშვილი უნდა მიათხოვოს? ვერ მივართვით!..

„მე უკვე მოველაპარაკე მამას“, — გაისმა სვეტლანას ხმა.

— ას-ე-ე-ე-! და შენ კი დუმხარ? — გულისწყრომით შეუტია ოლგიცამ.

„მაგრამ იგი კატეგორიულ უარზე იყო, — განაგრძო სვეტლანამ, — მამას მიაჩნია, რომ სწავლის დამთავრებამდე გათხოვება არ არის საჭირო, მეცადინეობაში ხელი შეგეშლებაო“.

დედამ ვერ მოითმინა და მაგნიტოფონში ჩასძახა:

— გარდა ამისა, ბავშვები დაგროვდებიან და ჩვენ არა მარტო თქვენი შენახვა მოგვიწევს, არამედ შვილიშვილების ძიძობაც. ვიცით ჩვენ ეს...

ბარიტონმა კვლავ აიღო ხელში ინიციატივა:

„დედას რომ მოელაპარაკო? მე მასზე, სვეტლანა, ძალიან კარგი აზრისა ვარ...“

— სულ არ მაინტერესებს შენი აზრი! — გაბრაზდა დედა.

„სახეზე აქვს აღბეჭდილი კეთილშობილური სული. ზეშთაგონებული და მადლმოფენილი არსებაა. მისი განსაკუთრებული ბუნება, მიუხედავად ოჯახზე მარადიული ზრუნვისა, ყოველთვის ლაღია და ხალისით სავსე“, — თავი გამოიდო ბარიტონმა.

დედას სახე გაუნათდა.

— გესმის, რატკო, როგორ მაფასებს ეგ ჭაბუკი?

„ეს ქალი მაღალ გრძნობათა განსახიერებაა. არის მასში ნამდვილი შექსპირისეული“, — დაჩუმდა ბარიტონი.

— კარგი ბიჭია... — დაიჩურჩულა დედამ.

„ამიტომ, სვეტლანა, დედას უნდა მოელაპარაკო. თუ მარტოს ვერ გადაგიწყვეტია, ერთად ვცადოთ“.

დისკო ისევ ბრუნავდა, მაგრამ ხმა აღარ ისმოდა.

— უკვე მორჩა? — ისე იკითხა დედამ, თითქოს დაენანა, რომ ასე მალე დამთავრდა.

— მორჩა, — მიუგო რატკომ და მაგნიტოფონი დახურა.

— შენი აზრი არ ვიცი, მაგრამ მე... რა ვუყოთ... თანახმა ვარ. ბოლოს და ბოლოს ჩვენც ამ ასაკში დავქორწინდით და ღმერთმა ყველას მისცეს, გვარიანად ვცხოვრობთ. ასე არ არის, რატკო?

„ახლა თანახმა ხარ, — გაიფიქრა რატკომ, — რა იქნებოდა, რომ არ მერჩია ვლადოსა და სვეტლანასათვის მთელი თავიანთი საუბარი ფირზე ჩაეწერათ!“

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.



# პროკურორის ჩანაწერები

ვანო ბურდულაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯერ ტყვია, მერე შოკოლადი

ვისაც კახეთის გზაზე უვლია, სოფელი იორმუღანლო ეხსომება.. ეს ამბავი იქ მოხდა.

შუაღამე იყო. სოფელს ღრმა ძილით ეძინა, მოხუც ისმაილსაც ჩაექრო სინათლე, მაგრამ რატომღაც ძილი გაფრთხობოდა, და ახლა თავის მეუღლეს გიულ-სანათის ესაუბრებოდა. იმ დღეს ბაზარზე ძროხა იყიდა ისმაილმა და ახლა ცოლ-ქმარი ისევ ახლადშეძენილ საქონელზე ლაპარაკობდნენ, ქიშს უქებდნენ, მოხუცი იკვეხოდა, რომ მთელ ბაზარს თვალი დაუყენა, ყველაზე საუკეთესო ავარჩიაო.

უცებ, გარეთ, ეზოში მურამ შეჰყეფა, და მერე ალერსიანი წკმუტუნი დაიწყო. ისმაილა მიხვდა, რომ ახლადმოსული ვიღაც ახლობელი უნდა ყოფილიყო, ძაღლი არ ერჩის, მაგრამ თუ მოუვარეა, რატომ ხმას არ იღებს, კარს არ აკაკუნებს! დაეჭვებული ბერიკაცი წამოდგა, ნელა გახსნა ოთახის კარი, გარეთ გაიხედა და მთვარის შუქზე დაინახა რომ მისი საქებარი გიშერა ძროხა ორ ახალგაზრდას ბოსლიდან გამოეყვანა და შარაგზისკენ მიჰყავდათ. ერთი მათგანი, მაღალი, მხარბეჭიანი ჭაბუკი მაშინვე იცნო ისმაილამ. მაჰმუდა იყო, მისი კარის მეზობელი.

— მეი, მაჰმუდავ, სად დაჰკარგე ნამუსი, შე წყეულო, სად მიგყავს ეგ ძროხა!

მაჰმუდა მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო — იცნო ბერიკაცმა. ბიჭმა ამხანაგს ხელიდან თოფი გამოსტაცა და პირველივე გასროლით საცოდავი ისმაილა მიწაზე დასცა. ქურდებმა აშვებული ძროხა ეზოში მიატოვეს და გაიქცნენ.

სროლის ხმაზე გიულ-სანათი კარში გამოვარდა, ატეხა ტირილი, დაუწყო მეზობლებს ძახილი, ხალხი მალე მოგროვდა, სასწრაფოდ იშოვეს ავტომანქანა და მკერდში მძიმედ დაჭრილი ისმაილა საავადმყოფოში გააქანეს, მილიციის უბნის რწმუნებულმა ახმედ ჰასან-ოღლიმ და გამომძიებელმა ვალიკო ბესელიამ სასწრაფოდ ჩამოართვეს ჩვენებები ცოლსაც და ქმარსაც. ისმაილა ადასტურებდა, რომ იცნო მაჰმუდა, ხოლო გიულ-სანათი უჩვენებდა, რომ მან მშვენივრად გაიგო ქმრის შეძახილი — „მაჰმუდავ, სად დაჰკარგე ნამუსიო"; ამ ჩვენების საფუძველზე დაპატიმრებულ იქნენ მაჰმუდაც და მისი ძმადნაფიცი საფარაც, რომელიც ცნობილი იყო როგორც უსაქმოდ მოხეტიალე კაცი. მილიციას ჰქონდა ცნობა, რომ საფარა მალულად ინახავს ლულაგადაჭრილ შაშხანას, ამას გარდა, ისიც ცნობილი იყო, რომ შემთხვევის საღამოს ისინი ერთად ნახეს ვახშამზე, სოფლის სასადილოში. სადაც ბოთლს ბოთლზე სცლიდნენ. ღამის თერთმეტ საათზე გამოვიდნენ ისინი სასადილოდან და იმავე ღამეს დაესხნენ თავს ისმაილას ოჯახს.

მაჰმუდას და საფარას დაპატიმრების სანქცია მე გავეცი. ამასობაში ისმაილას მდგომარეობა გაუარესდა, ის ხომ მკერდში იყო დაჭრილი, მოგეხსენებათ, სიბერეში ორგანიზმი ისე ადვილად ვეღარ ერევა იარასა და ტკივილებს, შეხორცებაც ძნელდება. გიულ-სანათი მუხლმოყრით ევედრებოდა ექიმებს — ისმაილი გადამირჩინეთო; იმათი საცოდაობის შემყურეს მეც გული მეწვოდა. საავადმყოფოში მივედი და ვთხოვე ისმაილასათვის ცალკე პალატა გამოეყოთ, იქ მოთავსდნენ ცოლიცა და ქმარიც, ჩემი თხოვნით საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თბილისიდან გამოჩენილი სპეციალისტები ჩამოიყვანა, ვიშოვნეთ თვით ძნელად საშოვნელი მედიკამენტებიც და ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ ბერიკაცი სიკვდილს გამოვტაცეთ.

ძიება თავისი გზით მიდიოდა, დაპატიმრებულები ყველაფერზე უარს ამბობდნენ, უდანაშაულონი ვართო, გაიძახოდნენ. ამასთან, მილიციამ ბევრი ეძება და ის გადაჭრილი თოფი ვერ იპოვნა. საფარას სახლის სხვენზე აღმოჩენილი იქნა მხოლოდ ერთი მჭიდე ვაზნა, რომელიც კონსერვების ყუთში იდო და საგულდაგულოდ გადამალული იყო სხვენზე.

ბალისტიკურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ გასროლილი და სხვენზე ნაპოვნი ვაზნების ტყვიები იდენტური იყო და რომ მსროლელს არასტანდარტული თოფი ეჭირა ხელთ. ჭრილობის ფორმაც შეესაბამებოდა ამგვარი თოფიდან ნასროლ ტყვიას, ეს უკვე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა. მართალია, თოფი არსად ჩანდა, მაგრამ გამოძიებას ჰქონდა სრული საფუძველი ამ შემთხვევაში არაპირდაპირი მხილებების სახით, სისხლის სამართლის საქმე აღეძრა. ველოდით მხოლოდ ისმაილას გამოჯანმრთელებას; ასე გავიდა ერთი თვე, იმ ხანებში მივიღე ცნობები, რომ ისმაილასთან საავადმყოფოში ხანახავად და მოსაკითხავად ხშირად დაიარებიან მისი თანასოფლელები, ხურჯინებით და კალათებით ბევრი რამ ჩამოაქვთ, რათა მოხუცი კარგად გამოაჯანმრთელონ.

იმ ხანებში გამომძიებელი და უბნის რწმუნებული წავიყვანე და საავადმყოფოში წავედი; მოხუცი მთლად განკურნებული არ იყო, ჭრილობა კი შემთელებოდა, აღარც ტემპერატურა ჰქონდა. პალატაში შევედი თუ არა, ერთმა ამბავმა გამაოცა — მოხუცისათვის იმდენი საჩუქრები მოეტანათ, ვეღარსად ეტეოდა. საწოლთან მდგარ პატარა ტუმბოზე და ფანჯრის თაროებზეც კი ერთიმეორეზე ეწყო შოკოლადის ფილები, იქვე მიმობნეული იყო სხვადასხვანაირი კანფეტები, იატაკზე იდგა ვაშლითა და ფორთოხლით სავსე კალათები. ერთი სიტყვით, დიდ განცხრომაში იყო ჩვენი მოხუცი ისმაილა.

ექიმებმა მითხრეს, ავადმყოფი უკვე კარგად არის, ერთ კვირაში გავწერთო. ამიტომ შესაძლებლად მივიჩნიე მისი დაკითხვა, მაგრამ მოხდა მოულოდნელი რამ — ისმაილამ მთლიანად შეცვალა თავისი პირვანდელი ჩვენება.

— განა მაჰმუდამ არ გესროლა? — ვეკითხები მოხუცს.

— იოხ, იოხ! (არა, არა!) — მესმის პასუხი.

— მაშ ვინ იყო?

— არ ვიცი! — ჯიუტად იმეორებდა მოხუცი.

— რად აფარებ ხელს დამნაშავეს, ხომ იცანი მაჰმუდა? — ეკითხება მილიციის უბნის რწმუნებული.

— რას ამბობ, მაჰმუდა შვილივითა მყავს გაზრდილი. პატარა რომ იყო, აი ასე ავიყვანდი ხოლმე ხელში (მოხუცი ხელით გვაჩვენებს), ის მე სასიკვდილოდ არ გამიმეტებდა!

ახლა გიულ-სანათის გამოკვლევა ვცადეთ, მან ჩაღუნა თავი დაბლა და ვერავითარი ხვეწნით ვერ ავახედეთ ზევით. არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია.

თურმე საავადმყოფოში ისმაილას ათასი მანეთი მოუტანეს, ზედ ლოგინზე გაშალეს ფული და იქვე დათვალეს, არაფერი აკლდესო. ვკითხეთ ამ ფულზეც, მოხუცმა გვიპასუხა — ნაცნობ მზარეულთან მქონდა გაბარებული და იმან მომიტანაო. მზარეულმაც დაუდასტურა; დანარჩენმა მოწმეებმა, ვინც რამე იცოდა, ყველამ ყველაფერი გადათქვა, მაგრამ ბალისტიკური და სამედიცინო ექსპერტიზის ზუსტ დასკვნებს მაჰმუდა ვეღარსად გაექცა, იძულებული გახდა გამოტეხილიყო.

ისმაილას ამბავი მე აქ განზრახ გავიხსენე. შემხვედრია უფრო უარესიც, როცა დაზარალებული თვითონ იცავს თავის გამქურდავს, თავდამსხმელს, ახლობელის მკვლელს, ბოროტმოქმედს. ეს დიდად უშლის ხელს ჩვენს საერთო საქმეს და ასეთი საქციელი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავამართლოთ.



## ფუნთუშა

მოპასანს აქვს მოთხრობა, რომელსაც „ფუნთუშა" ეწოდება. იქ ამ მეტსახელით გამოყვანილია ახალგაზრდა ქალი ელისაბედ რუსე. არ ვიცი, ამ მოთხრობის შთაბეჭდილებით, თუ სხვა რამის გამო, ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ მეტსახელი ფუნთუშა კაცს არ შეიძლებოდა რქმეოდა.

მაგრამ ჩვენს რაიონში გავიცანი ამ მეტსახელის მქონე კაციც, სანდრო ფოლაშვილი, სოფელ დაბალხევის კოლმეურნეობის მოლარე. შეხედავდი თუ არა, უმალ მიხვდებოდი რატომ შეარქვეს ეს მეტსახელი — ლოყები ვარდისფრად ულვიოდა, ჩასუქებული იყო, თანაც ისე ნაბავდა თვალებს, იფიქრებდი ამაზე უფრო მორცხვი და მოკრძალებული კაცი ქვეყანაზე არ მოიძებნებაო.

ფუნთუშა იმავე სოფლის მკვიდრი იყო და კარგად შეძლებული ოჯახის პატრონად ითვლებოდა, კარგად იცოდა თავისი საქმე, პატივსაც სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ. ერთ დღეს ამ ფუნთუშამ სახელმწიფო ბანკის განყოფილებიდან გამოიტანა კოლმეურნეებისთვის დასარიგებელი ფული, უზარმაზარი თანხა, მაგრამ როგორც კი გამოვიდა ბანკის შენობიდან, სად გაქრა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მან მიატოვა კოლმეურნეობაც, ცოლშვილიც და სადღაც მიიმალა; როგორც კი რაიონის პროკურატურამ ეს ცნობები მიიღო, აღვძარით რესპუბლიკური ძებნა, ფუნთუშას კვალიც არსად ჩანდა, აღვძარით ახლა საკავშირო ძებნა, აქაც კარგა ხანს ვერაფერი გავიგეთ. ეტყობოდა მან ყალბი პასპორტი შეიძინა, გარეგნობაც, რამდენადაც შესაძლებელი იყო გამოიცვალა, და ყოველივე ამის გამო გაძნელდა მისი პოვნა.

ასე გავიდა ორი წელი, ერთ დღეს მივიღეთ ცნობა, რომ ფუნთუშა დაპატიმრებულია შორეულ აღმოსავლეთში, ხაბაროვსკში და გვთხოვდნენ წამოგვეყვანა. თან ჩამოჰყვა პირადი საქმე და მთელი მასალები იმის თაობაზე, თუ როგორ მიაგნეს მას.

საქმეში აღნიშნული იყო, რომ ფუნთუშა თურმე ჩავიდა ხაბაროვსკის ოლქში, ერთ ხუტორში და ჩასვლისთანავე შეირთო ცოლი, ხე-ტყის ქარხნის ბუღალტერი-ქალი. თვითონაც იმავე ქარხანაში დაიწყო მუშაობა. გარეგნობის შეცვლის მიზნით მან სათვალეები გაიკეთა, არც თავისი ეროვნება გაუმხელია, მის ყალბ პასპორტში იგი მოლდაველად იყო გასაღებული. ამის გამო ფუნთუშა ერთხელ ძლივს გადაურჩა ხიფათს — იმავე ქარხანაში საიდანღაც ნამდვილი მოლდაველი მუშა მოხვდა, მას გაუხარდა თანამემამულის დანახვა და მაშინვე მშობლიურ ენაზე გამოელაპარაკა. ფუნთუშას ჭირის ოფლმა დაასხა, მაგრამ მაინც დაიძვრინა თავი — ახლადგაცნობილ მოლდაველს უთხრა თითქოს ერთი წლის ასაკში ჩამოიყვანა მამამ შორეულ აღმოსავლეთში, აქ მამა ჩქარა გარდაიცვალა, საბავშვო სახლში მიაბარეს, იქ გაიზარდა და ამიტომ მოლდავური ერთი სიტყვაც არ ახსოვს.

დაუჯერა მოლდაველმა, სიმართლეს ჰგავდა ყველაფერი.

მაგრამ ფუნთუშა დაღუპა ეჭვიანობამ.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ფუნთუშამ ერთხელ შეამჩნია — მისი ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ვიღაც უცხო ყმაწვილმა კაცმა მოაცილა სახლამდე. ქმრის კითხვაზე თუ ვინ არის ის კაცი, ცოლმა უპასუხა — ნათესავიაო. მაგრამ ფუნთუშა ცოლის ნათესავებს კარგად იცნობდა. ქალს აღარაფერი უთხრა, მაგრამ იმ დღიდან ფხიზლად დაუწყო თვალის დევნება. და ერთ კვირა დღეს, ცოლი რომ არ ელოდა, ისეთ დროს დაბრუნდა შინ ხანადიროდ წასული ფუნთუშა. დააკაკუნა, კარი ძალიან გვიან გაუღეს, შევიდა თუ არა ოთახში, ისევ ის უცხო ჭაბუკი დაინახა, ცოლს კი თმა ჩამოშლოდა, წამოწითლებული და სახეგამტკნარებული იყო, აღარ იცოდა რა ეთქვა და დაბნეული აწყდებოდა აქეთ-იქით. აშკარად ჩანდა, რომ მათ უდროო დროს შემოუსწრეს.

მიხვდა ფუნთუშა ყველაფერს და სისხლი აუვარდა თავში, გაიწია უცხოსაკენ, მაგრამ ის უცებ გაუსხლტა ხელიდან და გაიქცა.

სატრფოს ლაჩრული გაქცევის შემდეგ ფუნთუშამ დასტაცა ცოლს ხელი და სახეში შემოჰკრა, ქალს ისტერიული ტირილი აუტყდა, ფუნთუშამ დაუწყო მას ცემა, თანაც აგინებდა და გონდაკარგული გაიძახოდა:

— როგორ გამიბედე ეს, მე ასეთი და ისეთი! იცი თუ არა ვინა ვარ მე? მთელი საბჭოთა კავშირის მილიცია დამეძებს და ვერ მიპოვეს.. ორი კაცი მყავს მოკლული, მესამე შენ იქნები, ბოლო მეოთხე — შენი საყვარელი...

გინებით გული რომ მოიოხა, ქალს ხელი ჰკრა, კუთხეში მიაგდო, თვითონ არაყი გადმოიღო და სმა დაიწყო.

ქალი მეორე დღეს სამსახურში ვეღარ წავიდა.

მესამე დღეს ფუნთუშას ცოლს მეგობარმა ქალმა მიაკითხა შინ, მისი დალილავებული სახე რომ დაინახა, მანამდე არ მოეშვა, სანამ ყველაფერი არ აამბობინა. სტუმარი ქალის ქმარი მილიციის ოფიცერი იყო და, ცხადია, ქალმა ქმარს ყველაფერი ზუსტად გადასცა. მონახეს მილიციაში ძებნის დოკუმენტი, შეადარეს ფოტო ორიგინალს და სტაცეს ხელი ფუნთუშას.

ასე დამთავრდა ფუნთუშას გაქცევის ამბავი.

## დამნაშავე არავინ იყო

იურისტის საპასუხისგებლო მუშაობაში პროფილაქტიკას ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სამართლის დარგის მუშაკმა უნდა შესძლოს ისე წარმართოს მუშაობა, რომ დანაშაული არ მოხდეს. დროზე შეაჩერო კაცზე დასაკრავად აღმართული იარაღი, დროულად გადაუჭრა გზა ბოროტმოქმედს, თუ მის მიერ შეცდენილ ადამიანს, ან დროზე აუხსნა ადამიანს არ გადადგას შემცდარი ნაბიჯი — ეს არის სამართლის დარგის მუშაკის უწმინდესი მოვალეობა.

აქ მინდა გავიხსენო ერთი უხარისხო გამოძიების ამბავი. იმ ხანებში სიღნაღის რაიონში გადამიყვანეს, ორი დღე იყო რაც მუშაობა დავიწყე, საქმეებს ჯერ არც გავცნობოდი. ერთ დღეს გაიღო კაბინეტის კარი და მოხუცი კაცი კი არ შემოვიდა, შემოვარდა. ისე განრისხებული იყო, აღარაფერს უწევდა ანგარიშს, ბრგე ვაჟკაცი იყო, გვერდზე ვეება ხანჯალი ეკიდა. შემოვიდა, მოიხადა მეცხვარის ტყავის ქუდი და იატაკზე დაანარცხა. უმალ წამოვდექი, დაწყნარდი ძმაო, მითხარი რა გიჭირს-მეთქი, სიტყვა არც დამესრულებინა, ამ დევივით კაცმა ტირილი დაიწყო.

ისე გულამომჯდარი ქვითინებდა, გული მოგიკვდებოდა იმის შემხედვარეს.

ისევ დავუწყე დაწყნარება, ბოლოს თავისი სადარდელი მიამბო:

— მწყემსი ვარ, შენი ჭირიმე, მთელი სიცოცხლე ცხვარში გავატარე. ერთადერთი ბიჭი მყავდა, იმასაც ცხვრის ხელი ვასწავლე, ერთად დავდიოდით მთაში, იმისთანა ვაჟკაცი მთელ სოფელში არ მოიძებნებოდა. ჰოდა, ეს ერთი შვილი მყავდა და ისიც მომიკლეს.

საქმის ვითარება ასეთი იყო: გიორგი ჩალათაშვილი, ამ მოხუცის ვაჟიშვილი, ოცდათხუთმეტი წლის კაცი, ბოლო ხანებში ავადმყოფობდა, გულს უჩიოდა. იმ ზაფხულს თრიალეთში ავად გახდა, მთაში როგორ უმკურნალებდნენ და ამიტომ შინ, სოფელში წამოიყვანეს. აქ ექიმმა რაღაც წამალი გამოუწერა, ნემსი დაუნიშნა, ექთანმა გაუკეთა ის ნემსი და კაცი ერთ საათში გარდაიცვალა, დარჩა ობლად და უპატრონოდ სამი პატარა ბავშვი.

მოხუცმა მამამ, მოსე ჩალათაშვილმა მაშინვე უჩივლა ექიმ მოლაშვილსა და ექთან სისაურს...

— საქმე დღეს ირჩევა, — განაგრძობდა მოხუცი, — მაგრამ რაღაცას აჭიანურებენ. ჩემი ცხოვრება უკვე გათავებულია, — [illegible] ვიცი რას მიუსჯიან ჩემი შვილის მკვლელებს, მე კი ამ ხანჯლით გამოვჭრი ყელს ორივეს.

მე ვუთხარი, რომ ჯერ სამართლის დადგენაა საჭირო; თუ ექიმი და ექთანი რამეში დამნაშავენი არიან, სასამართლო მკაცრად დასჯის მათ, ხანჯალი კი — შენ ჭკვიანი კაცი ჩანხარ, აქ სრულიად საჭირო არ არის-მეთქი; კიდევ ერთხანს ველაპარაკე, დავაწყნარე და ორივენი ერთად წავედით სასამართლოსაკენ, სადაც საქმე ირჩეოდა. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

ჩვენ რომ შევედით, ექსპერტად მოწვეული ექიმები განმარტავდნენ საქმის ვითარებას, სასამართლოს შემადგენლობა ერთ გაწამაწიაში იყო, ვერ დაედგინათ, პასუხისგებაში მიცემულთა ბრალეულობა, არ იყო გარკვეული ჩალათაშვილის სიკვდილის მიზეზი, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ფარმაცევტს აბრალებდნენ, ალბათ პრეპარატები შეეშალაო... ყველაფერი ალბათობაზე იყო დაფუძნებული, რაც ყოვლად მიუღებელია საბჭოთა სასამართლოსათვის. ნათლად ჩანდა, რომ საქმე უხარისხოდ იყო გამოძიებული, ამიტომ სასამართლო წვალობდა, რამდენჯერმე გადაედოთ საქმის განხილვა, მაგრამ მაინც ყველაფერი გაურკვეველი და ბნელით მოცული იყო.

პროცესზე ბრალმდებლად გამოდიოდა ჩემი თანაშემწე. დავუძახეთ შესვენებას, მოველაპარაკე სასამართლოს შემადგენლობას და ჩემს თანაშემწეს დაუბრუნებინათ საქმე დამატებითი გამოძიებისათვის, ისინი სიამოვნებით დაგვთანხმდნენ.

აი, უკვე ჩემს წინ დევს სისხლის სამართლის საქმე გიორგი ჩალათაშვილის მკვლელობის თაობაზე. საქმეში ჩაკერებულია გარდაცვლილის სურათები, ერთი სიცოცხლეში გადაღებული, მეორე სურათზე გიორგი კუბოში ასვენია. საქმეში კი არ იყო ლაბორატორიული დასკვნა წამლების ვარგისიანობაზე და რაც მთავარია, არ იყო საექიმო ექსპერტიზის აქტი გვამის გაკვეთასა და სიკვდილის გამომწვევ მიზეზებზე, ჩაკერებული იყო მხოლოდ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მოვალეობის აღმსრულებლის მიერ შედგენილი აქტი გვამის გარეგან დათვალიერებაზე, რაც არსებითად არაფერს არ იძლეოდა.

მე მეორე დღესვე გამოვიწვიე დიდად დახელოვნებული ექსპერტი, შევატყობინეთ ჭირისუფლებს და წავედით სასაფლაოზე. ძლივს დავიყოლიეთ ჭირისუფლები, რომ ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო იყო სასაფლაოს გათხრა, მიცვალებულის ამოღება და გაკვეთა. ექსპერტმა მოახდინა გვამის ექსგუმაცია და მეცნიერული სიზუსტით დაადგინა, რომ ჩალათაშვილის გული სიმსუქნისაგან ისე იყო გადაგვარებული, რომ მისი ხსნა აღარაფერს შეეძლო. ავადმყოფი გარდაიცვალა ინფარქტით, და წამლები აქ არაფერ შუაში იყო, წამლების მიღება რაღაც საბედისწერო შემთხვევის წყალობით დაემთხვა მოახლოებულ სიკვდილს. ბევრი წვალების მერე ზუსტად დადგინდა ისიც, რომ არც ექიმს, არც ფარმაცევტსა და ექთანს არავითარი შეცდომა არ მოსვლიათ.

ამრიგად, დამნაშავე არავინ არ იყო. ჭირისუფლები დაწყნარდნენ და საქმეც წარმოებით მოიხსნა.

სპორტული კლუბი „დინამო“ 50

საბჭოთა საქართველოს დიდი ზეიმის დღეებში ჩვენი სპორტული მიმომხილველი გივი გამრეკელი ეწვია გამოჩენილ ქართველ სპორტსმენებს და სპეციალისტებს, იმ ადამიანებს, რომელთა სახელებს კარგად იცნობს მთელი სპორტული სამყარო. მათ უნდა ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე:

1. რომელი იყო ყველაზე სასიხარულო დღე თქვენს სპორტულ ბიოგრაფიაში?

2. რა მიგაჩნიათ ქართული სპორტის ყველაზე სასიხარულო გამარჯვებად?

3. თქვენი პრაქტიკიდან რა შემთხვევა დაგამახსოვრდათ ყველაზე უფრო მეტად?

ჩვეულებრივ, ყოველგვარი სპორტული სანახაობა იწყება ჩვენი კომენტატორების სიტყვით და მათივე სიტყვებით მთავრდება. ამჯერადაც პირველიცა და საბოლოო სიტყვაც მათ ეკუთვნით.

# დაუვიწყარი დღეები და წუთები

კოტე მახარაძე
რესპუბლიკის სახალხო არტისტი

1. 1944 წელს ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში ვმონაწილეობდი. ქართველ კალათბურთელთა გუნდის კაპიტანი გახლდით. ჭაბუკთა შეჯიბრების წესები ჩვეულებრივისაგან განსხვავდებოდა. მთელი თამაში მხოლოდ 30 წუთს გრძელდებოდა. ამაში შედიოდა საჯარიმო სროლების შესრულების დროც.

ჩემპიონატის ნახევარფინალში გუნდ „კიროვს“ ვხვდებოდით. მატჩი დამთავრდა ფრიად უჩვეულო ანგარიშით 108:0. რა სუსტი გუნდი ყოფილაო, იტყვით თქვენ. დიახ, ასე იყო, მაგრამ განა შემიძლია დამავიწყდეს მატჩი, რომელშიც ჩემს გუნდს 80 (!) ქულა შევძინე!

2. ქართული სპორტის უმაღლეს მიღწევად მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია მიხეილ ხერგიანის ფანტასტიკურ წარმატებათა მთელი სერია. იგი იყო ერთადერთი ადამიანი მთელ მსოფლიოში, რომელიც ატარებდა „კლდის ვეფხვის“ სახელს.

3. როგორც კომენტატორს, არაერთი თავგადასავალი გადამხდენია. ორ მათგანზე მსურს გესაუბროთ.

ერთხელ, ლუჟნიკში, თბილისელთა და ტორპედოელთა ერთ-ერთი კალენდარული შეხვედრის წინ მსაჯთა ოთახში შევიხედე, „ტორპედოს“ შემადგენლობა მაინტერესებდა. მოსკოველთა მარცხენა გარემარბ ოლეგ სერგეევს ფეხის კუნთის დაზიანების გამო წინა შეხვედრები არ ჩაუტარებია, და მაინტერესებდა, ჩვენების წინააღმდეგ თუ გამოვიდოდა. ისიც ვიცოდი, იგი უკვე შეუდგა წვრთნას და ყოველ ახალ თამაშში მოსალოდნელი იყო მოედანზე გამოჩენილიყო. მაგრამ იმ დღეს ოქმში მარცხენა ფრთაზე ქ. დორონინი ეწერა. სხვა მე არაფერი მაინტერესებდა. ოთახიდან გავედი და ლიფტისაკენ გავემართე. ლუჟნიკში კომენტატორების ჯიხურამდე რომ მიაღწიო, ჯერ ლიფტით 7 სართული უნდა აიარო. შემდეგ მოხვდები სტადიონის უმაღლეს წერტილზე — იქაა მოწყობილი ჩვენი ჯიხურები. ამ სიმაღლიდან ძნელი გასარჩევია ფეხბურთელები, ხოლო ხელოვნური განათების დროს ხშირად ვცოდავთ ხოლმე სიმართლის წინაშე. იქიდან, საიდანაც ჩვენ გადაცემას ვაწარმოებთ, ძნელია გარეგნობის, მოძრაობისა და სირბილის მანერით, ან სხვა რაიმე ნიშნით უტყუარად განაცხადო, რომ ბურთი აქვს მ. მესხს და არა ვ. ბარქაიას.



იმ სიმაღლეს მდებარე ჯიხურიდან დავცქეროდი მოედანს. 90 წუთის მანძილზე გულმოდგინედ გეუბნებოდით, შეტევებს მარცხენა ფრთიდან იწყებს ქ. დორონინი და იგი დღეს ჩინებულად თამაშობს-მეთქი. უკანასკნელ წუთამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ რადიომსმენელებს სრულ სიმართლეს ვეუბნებოდი. დამთავრდა თამაში და გასახდელ ოთახში ბორის სიჰინავამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ყოველთვის კარგად ვიჭერდი სერგეევს და დღეს რა ღმერთი გამიწყრა.

სახეზე ალმურმა გადამკრა. საათნახევარი ვატყუებდი ხალხს და ო. სერგეევის კუთვნილ ქათინაურებს ქ. დორონინის მისამართით ვაფრქვევდი.

ფეხბურთის ერთმა გულშემატკივარმა მისაყვედურა:

— მოსკოვში ვისმენდი თქვენს გადაცემას. თბილისელებმა თერთმეტმეტრიანი დაარტყეს. „დარტყმა... არის!“ თქვით და რეპორტაჟი გააგრძელეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ არა მარტო დიასახლისები და დილეტანტები გისმენენ, არამედ ფეხბურთის სპეციალისტები, თვით ფეხბურთელები და, აგრეთვე, ფეხბურთში ჩინებულად გარკვეული გულშემატკივრები. მათ არ აინტერესებთ ასეთი მშრალი რეპორტაჟი. მან უნდა იცოდეს რომელ კუთხეში დაარტყა ფეხბურთელმა პენალტი, მარცხნივ თუ მარჯვნით, ზევით თუ ქვევით, რომელი ფეხით დაარტყა...

გადავწყვიტე, პირველი რეპორტაჟისთანავე გამეთვალისწინებინა შენიშვნა და შეცდომა გამომესწორებინა. ჩინებული შესაძლებლობაც მომეცა. პირველსავე შეხვედრაზე მ. მესხი საჯარიმო მოედანზე მოცელეს და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. გადაცემა რუსულ ენაზე იყო, საკავშირო რადიოს დაკვეთით. ზუსტად, დეტალურად აღვწერე ყველაფერი — კუთხე, დარტყმის ძალა... ერთი სიტყვით, აბსოლუტურად ყველაფერი. შეხვედრის დამთავრებისთანავე ტაქსში ჩავჯექი და შინისაკენ გავემართე. მთელი გზა ხანშიშესული შოფერი ალმაცერად მიყურებდა, ხმას არ იღებდა. როცა სახლთან მანქანის გაჩერება ვთხოვე, მძიმედ ამოიხვნეშა და თქვა:

— ეჰ-ჰე-ჰე... არ გეკადრებათ, ჩემო კოტე, არ გეკადრებათ!

— რაზე ბრძანებთ, ბატონო?

— დღეს მორიგე ვარ და ამიტომ მანქანაში ვისმენდი თქვენს გადაცემას.

— მერე?

— ასე თუ გავეცით ჩვენი საიდუმლოებანი, რაღა გამოვა! მოსკოვის ყველა გუნდი ისმენდა, ალბათ, თქვენს გადაცემას. თქვენ კი თქვით, ს. მეტრეველმა აგერ ზედიზედ მეოთხე პენალტი დაარტყა, მეკარისაგან მარჯვენა, დაბალ კუთხეშიო. რომელი მეკარე არ მოისმენდა და არ გაითვალისწინებდა თქვენს სიტყვებს...

პასუხს აღარ დაელოდა და მანქანა დასძრა.

ასე იტყვი, შეცდომაა, ისე იტყვი და — უარესი.

## ვახტანგ ბალავაძე

სპორტის დამსახურებული ოსტატი



1. ასეთი „სასიხარულო დღე“ ჩემს ბიოგრაფიაში კარგა ხანს გაგრძელდა. მე ვგულისხმობ მსოფლიო ჩემპიონატში ორგზის გამარჯვებას — პირველ პრიზებს ტოკიოსა და სტამბოლში; რა თქმა უნდა, ჩემს ხანგრძლივ სპორტულ ბიოგრაფიაში არაერთი სხვა წარმატებაც მქონია, მაგრამ მსგავსი სიხარული არასოდეს განმიცდია.

2. ქართველ სპორტსმენთა გამარჯვებებს რა ჩამოთვლის, მაგრამ ერთი რამ მაინც განსაკუთრებით მეამაყება. 1969 წელს არგენტინის საკურორტო ქალაქ მარ-დელ-პლატაში, რომელიც თავისი კაზინოებითაა განთქმული, ბანქოს მოთამაშეები დროებით „შეავიწროვეს“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა მოჭიდავეებმა. მთელი ქალაქი ჭიდაობაზე ლაპარაკობდა. ხუმრობა ხომ არ იყო. აქ ორი მსოფლიო პირველობა მიმდინარეობდა: თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში მონაწილეთა შორის 7 ქართველი იყო და თუ ვინმეს უნდა ეამაყა ჩემპიონატის შედეგებით, პირველ რიგში მათ. თქვენ თვითონ განსაჯეთ. არც ერთი ქართველი არ დარჩენილა მედლის გარეშე. ზ. ბერიაშვილს, შ. ლომიძესა და რ. რურუას ოქროს მედლები ერგოთ, ო. ბლიაძეს — ვერცხლი, ტ. ალიბეგაშვილს, გ. საღარაძესა და ნ. ხოხაშვილს — ბრინჯაო.

მაშ ასე, 7 გამარჯვებული და არც ერთი დამარცხებული — სად გინდათ ნახოთ ამაზე უფრო სასიხარულო შემთხვევა.

3. ერთი შემთხვევა რომ მაგონდება, ყოველთვის მეცინება. თურქეთის სპორტულმა გაზეთმა 1957 წელს გამოაქვეყნა წერილი ასეთი სათაურით: „აკბასმა და ბალავაძემ პირობა შეასრულეს“. ამ წერილში აღნიშნული იყო: „1954 წელს ტოკიოს მსოფლიო პირველობაზე გაიცნეს მათ ერთმანეთი. დღემდე აკბასი და ბალავაძე ითვლებიან პირველი კლასის აგრესიული სტილის მოჭიდავეებად. ქართველი ძალიან საშიშია დგომში, თურქი კი — ჩოქბჯენში. სასიამოვნოა, რომ აკბასი და ბალავაძე კარგი მეგობრები არიან“.

რა პირობაზეა აქ ლაპარაკი?

მე და აკბასი მართლაც მეგობრები ვიყავით; მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში, თუმცა სხვადასხვა გზით, მაგრამ მაინც მხოლოდ ბრინჯაოს მედლით დავკმაყოფილდით. აკბასმა წააგო ირანელ ხოჯასტეპურთან და ძალიან განიცადა ეს მარცხი. იგი ორ დღეში ზეზეულად ჩამოხმა, არც ჭამდა, არც სვამდა და არც არავის ელაპარაკებოდა. ვინაიდან მეც აკბასის ბედი გავიზიარე, ცხადია, თანავუგრძნობდი კიდეც. ერთხელ მივუახლოვდი და დამტვრეული თურქულით დავუწყე დამშვიდება: „ტოკიო ბალავაძე-აკბას ბირინჯი მედალი, ჩოქ იახში, მელბურნ აკბას-ბალავაძე უჩუნჯუ მედალი, ისტამბულ — ბირინჯი მედალი“. ჩემს ენაზე ეს შემდეგს ნიშნავდა: ვითომ ტოკიოში მე და შენ ოქროს მედლები გვქონდა, მელბურნში — ბრინჯაოსი და სტამბოლში ისევ ოქროს მოვიპოვებთ-მეთქი.

აკბასს ჩვენი მაშინდელი საუბარი თურქი ჟურნალისტებისათვის მოუყოლია. ჩავედი თუ არა მსოფლიოს პირველობაზე მონაწილეობის მისაღებად, აეროდრომზევე შემომაჩეჩეს ხელში გაზეთ „ისტამბულის“ საკვირაო ნომერი, სადაც ჩემი და აკბასის „მელბურნული საუბარი“ იყო დაბეჭდილი.

შემდეგ კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, მე და აკბასმა პირობა შევასრულეთ.

ერთი ასეთი სახუმარო შემთხვევაც. ცნობილ შვედ მოჭიდავეს ორჯერ შევხვდი. პირველჯერ მოვუგე, მეორეჯერ წავაგე. ამხანაგები მეხუმრებოდნენ: „ვახტანგი ერთი მოჭიდავის იოლად დამარცხების შემდეგ ევროპის უდიდეს ქალაქს შეება, მაგრამ ვერაფერი გამოუვიდაო“. საქმე ისაა, რომ იმ ცნობილი შვედი მოჭიდავის გვარი გახლდათ... ბერლინი!



## რობერტ შავლაყაძე

სპორტის დამსახურებული ოსტატი

1. რომის მეჩვიდმეტე ოლიმპიური თამაშები — აი ჩემთვის დაუვიწყარი შეჯიბრება. სიმაღლეზე ხტომაში მედლების პრეტენდენტებად მიმომხილველები 6 სპორტსმენს მიიჩნევდნენ: სამ ამერიკელ (ჯონ თომასს, დიუმასსა და ფაუსტს) და სამ საბჭოთა მძლეოსანს (ბოლშაკს, ბრუმელს და მე). ჯონ თომასს „მფრინავ კენგურუს“ უწოდებდნენ, იგი დარწმუნებული იყო, რომ ოქროს მედალს ვერავინ შეეცილებოდა.

სათანადო გაცხრილვის შემდეგ ორი ამერიკელი გზიდან ჩამოგვეცალა. ახლა ჩვენი მეტოქე მხოლოდ თომასი იყო. ერთადერთი, მაგრამ როგორი მეტოქე? როდესაც სამმა საბჭოთა სპორტსმენმა 2,12 მეტრი დაძლია, თომასმა მსაჯს ანიშნა — ამ სიმაღლეს გამოვტოვებო. ეს უფრო „მორალური ფონდი“ იყო და მეტოქეები უნდა სულიერად დაეჯაბნა. მაგრამ ასე როდი მოხდა. „ადამიანმა-ზამბარამ“ თვით განიცადა მარცხი.

რომში მოპოვებული ოქროს მედალი — აი ჩემი უძვირფასესი რელიკვია.

დიდი სიხარული მომენიჭა 1971 წლის 20 მარტს, როდესაც ჩემი სახელობის პრიზზე თბილისში საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართა. მეწვივნენ მოჭიდავე-ბი ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან. მათ შორის იყო მსოფლიო რეკორდსმენი, ჩემი ძველი მეგობარი და მეტოქე ვალერი ბრუმელი. ისეთი ტრავმის შემდეგ, რაც ბრუმელმა მიიღო, ვინლა გააგრძელებდა სპორტული რეკორდებისათვის ბრძოლას! ვალერი ახლაც ხომ ჩინებულ შედეგებს აღწევს.

2. ბევრი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი გვყოლია, მაგრამ ერთმა მათგანმა მაინც განსაკუთრებული სიხარული მომანიჭა. ესაა ნონა გაფრინდაშვილი, საოცარი ქართველი ქალი, რომელსაც, ჩემი აზრით, დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერავინ გაუწევს მეტოქეობას.

3. თბილისში რომ გულშემატკივრები ქუჩაში მიცნობენ, ეს რაღა გასაკვირია. მაგრამ ადრე რუსეთის ყველა ქალაქშიც დიდ ყურადღებას მაქცევდნენ. მეამაყებოდა, დღემდე აქაც ახსოვთ ჩემი სახელი-მეთქი. რას იზამ, პოპულარობა ყველას სიამოვნებს. მაგრამ ამ სამიოდე წლის წინ დადგა დღე, როდესაც ჩემი გამოჩენა უკვე აღარავის აკვირვებდა. არც რუსეთში და არც უცხოეთში. ვიფიქრე, ასე ერთბაშად როგორ დავავიწყდი-მეთქი. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს მივხვდი. თურმე ყველა მე კი არ მაქცევდა ყურადღებას, არამედ ჩემს ულვაშებს. როგორც კი სამი წლის წინ ულვაში მოვიპარსე, გამვლელ-გამომვლელს ჩემდამი ინტერესი მყისვე დაეკარგა. აი, რაში ყოფილა საქმე!



## ოთარ კორკია

სპორტის დამსახურებული ოსტატი

1. თქვენ უთუოდ ელით, რომ კალათბურთელი უთუოდ კალათბურთზე ილაპარაკებს. არა, ასე არაა საქმე. მე მინდა ჩემი ჭაბუკობის წლები მოვიგონო, როდესაც ძლიერ გატაცებული ვიყავი მძლეოსნობით. 14 წლის ასაკში ხარკოვში სსრ კავშირის ჩემპიონი გავხდი ბადროსა და ბირთვის ტყორცნაში. ეს ჯილდო, პირველი ჩემს ცხოვრებაში, დღემდე ყველაზე უფრო სასიამოვნოდ დარჩა. იგი არასოდეს დამავიწყდება.

2. ქართული სპორტის ყველაზე უფრო სასიხარულო გამარჯვება? ეს, ჩემის აზრით, იყო თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა მიერ ჟენევაში მადრიდის „რეალის“ დამარცხება და ევროპის ჩემპიონთა თასის დასაკუთრება. ამის მსგავსი წარმატება ქართულ კალათბურთს არასოდეს მქონია. რას იტყოდით, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს რომ ევროპის ჩემპიონთა თასი მოეპოვებინათ?

3. საყურადღებო შემთხვევებს თუ მოვიგონებთ, აქაც, ეტყობა, ერთგვარად გაგიცრუებთ იმედებს. არა, მე კამბოჯაზე არ ვილაპარაკებ, სადაც რამდენიმე წელი გავატარე, როგორც მწვრთნელმა. დიახ, დაიწერა იმის თაობაზე, რომ ჩემი სიმაღლის გამო დიდხანს ვაოცებდი ტანმორჩილ კამბოჯელებს და ბავშვები ჯგუფ-ჯგუფად დამდევდნენ.

მე მინდა ისევ ჩემს მძლეოსნურ რეკორდს დავუბრუნდე. როდესაც ხარკოვში რეკორდი დავამყარე და სიხარულისაგან გაოგნებული ვიყავი, მეტისმეტად მომხიბლა ჩვენი სახელოვანი ნინო დუმბაძის გულთბილმა საქციელმა. იგი მაშინ უკვე მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენი გახლდათ, მე კი ის-ის იყო ვიზეიმე პირველი გამარჯვება და აი ჩვენი ნინო მომიახლოვდა და მითხრა: „ყმაწვილო, გილოცავ წარმატებას, ნამდვილად გამახარე. მოდი ერთი, ხელები დავატოლოთ, ჩვენ ხომ ერთი სპორტული სპეციალობა გვაქვს!“

**ნანა ალექსანდრია**

საერთაშორისო ოსტატი



1. მე მინდა მოვიგონო სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატის ბოლო დღე. მოგება ოქროს მედალს მაძლევდა და ეტყობა, არასდროს ესოდენ ჟინით არ მიბრძოლია გამარჯვებისათვის. შემდეგ დაიწყო გაუთავებელი მილოცვები და ზეიმი. მილოცავდნენ მეგობრები და გულშემატკივრები, უცნობი და ნაცნობი კიევლები. ყოველივე ამის შემდეგ სასტუმრო „დნეპრში“ რომ დავბრუნდი, პირდაპირ უცნაური ამბები მოხდა. შესასვლელთან მდგომმა შვეიცარმა, ადრე პირქუშობით და ღირსების დიდი გრძნობით რომ გამოირჩეოდა, მოულოდნელად გამიღიმა და მითხრა: „გოგონავ! როგორ მოახერხე ამდენი დიდის დამარცხება?“ ეს კიდევ არაფერი. ლიფტის გამყოლ ქალს უკვე გაეგო ჩემი წარმატება, გულწრფელად მომილოცა, ასე გასინჯეთ, ლიფტიც კი მიატოვა და ჩემს საცხოვრებელ ოთახამდე გამაცილა.

2. ქართული სპორტის უდიდეს ტრიუმფად ჩემთვის იყო და დარჩება ნონა გაფრინდაშვილის მიერ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება.

3. შარშან ვრნიაჩკა-ბანიაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლასთან ერთად ელვისებური ტურნირიც გაიმართა. მეც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა. შვეიცარიელ ნეპფერს ვეთამაშებოდი. სრულიად მოსაგები მდგომარეობა მქონდა, როდესაც მეტოქემ ქიში მითხრა, მე კი სიჩქარის გამო ვერ შევამჩნიე. როგორი იყო ჩემი გაოცება, როდესაც საპასუხოდ მეტოქემ მომიკლა... მეფე! დიახ, მაგრამ ჭადრაკში მეფეს ხომ არა კლავენ, ნეპფერმა ამიხსნა: ასე იქცევიან ელვისებური თამაშისას შვეიცარიაში და ისიც თავისი ქვეყნის კანონების მიხედვით მოქმედებს. სიცხადე ამ დახლართულ საკითხში მსაჯმა შეიტანა. მან თქვა: „შვეიცარული კანონები მხოლოდ შვეიცარიის ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდნენო“. რა თქმა უნდა, მეფე ისევ „გამიცოცხლეს“ და თამაშიც გაგრძელდა.

**მიხეილ მესხი**

სპორტის დამსახურებული ოსტატი



1. რა დამავიწყებს შეხვედრას საბჭოთა და იუგოსლავიელ ფეხბურთელებს შორის პარიზის „პრინცების პარკში“. ეს 1960 წელს იყო, სახწორზე ევროპის თასი იდო. რას არ წერდნენ იუგოსლავიის გაზეთები. მიმომხილველი ლ. ვუკადინოვიჩი ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკაში“ წერდა: „ფინალს ტამპერეს განწყობილებით ვხვდებით“. ჰელსინკის ოლიმპიადის დროს სწორედ ამ ქალაქში მოუგეს იუგოსლავიელებმა სსრ კავშირის ნაკრებს.

იუგოსლავიის ნაკრების კაპიტანმა ბრანკო ზებეცმა განაცხადა: „ჩვენ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ. ასეთი შესაძლებლობა ხომ არასოდეს გვქონია. მოგების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონები ვხდებით“.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენო ჩვენი ნაკრების შემადგენლობა: იაშინი, ჩოხელი, მასლიონკინი, კრუტიკოვი, ვოინოვი, ნეტო, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.

გივი ჩოხელს მხოლოდ წინა მატჩში ჰქონდა დებიუტი, ნაკრებში იმდენად წარმატებით ითამაშა, რომ ამ დღიდან მტკიცედ დამკვიდრდა გუნდის შემადგენლობაში. მეტრეველი მშვენივრად თამაშობდა და იუგოსლავიელთა კარში გატანილი ორი ბურთიდან ერთი სწორედ მას ეკუთვნოდა. ეს იყო დამსახურებული გამარჯვება. მატჩის შემდეგ ძალიან გვაქეს გაბრიელ ანომ, ჟაკ ფერანმა, ფრანსუა ტებომ, იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელმა ჩირიჩმა, ბელგრადის „სპორტის“ მთავარმა რედაქტორმა ლოვრიჩმა.

2. 1964 წელს ტაშკენტში თბილისის „დინამოს“ მიერ სსრ კავშირის ჩემპიონობის მოპოვება ქართული სპორტის უბრწყინვალეს წარმატებად მიმაჩნია. დიდი, უახლოეს ხანებში თბილისის „დინამოს“ ასეთივე წარმატებით გავეხარებინოთ.

3. რაიმე საყურადღებო შემთხვევა? ასეთი ბევრი ყოფილა. გახსოვთ, თბილისში რომ ბრაზილიის „ბაია“ ჩამოვიდა? ბრაზილიელებთან შეხვედრა ყველასთვის საინტერესოა, ისინი ხომ მსოფლიოში არიან განთქმულნი თავიანთი ოსტატობით. ერთი ამბავიც: ბრაზილიელებს საერთოდ არ ახასიათებთ უხეშობა. პატივს სცემენ მეტოქეებს. ამიტომ მათ წინააღმდეგ თამაში არა მარტო ძალზე საპასუხისმგებლოა, არამედ სასიამოვნოც.

იმ დღეს თამაში, როგორც იტყვიან, აშკარად გამომივიდა. არაერთხელ გავუსხლტი მცველებს, მათ რიცხვში ახოვან ენრიკე დოს სანტოსსაც. როდესაც მეტოქე სხვა შემთხვევაში ვერაფერს გამხდარა, უხეშობა დაუწყია. ზოგმა მკვეთრი ბიძგება იცის, თუნდაც ამ დროს ბურთი სულ სხვას ჰქონდეს. ზოგი ფეხის ჩარტყმასაც არ ერიდება. რას იზამ, ასეთ უხეშ მოთამაშეებს მსოფლიოს თითქმის ყველა სტადიონზე შეხვდები.

არაფერი ამის მსგავსი ბრაზილიელებს არ გაუკეთებიათ, მათ პირდაპირ რაინდულად აღიარეს თავიანთი დამარცხება. გოლიათმა ენრიკე დოს სანტოსმა ხელები მომხვია და რამდენჯერმე მაკოცა.

ახლა, როდესაც თამაშს თავი დავანებე და მწვრთნელი გავხდი, სწორედ ამნაირ რაინდ ფეხბურთელებს ვიგონებ დიდი პატივისცემით. მინდა, რომ სწორედ ამგვარნი იყვნენ ჩემი მოწაფეები ნოდარ ბაჩიაშვილი (იგი უკვე თბილისის „დინამოში“ თამაშობს), ონისე წიკლაური (რომლისგან, ისევე როგორც ნოდარისაგან, მე ბევრს ველი) და სხვები. თავმდაბლობა, დიდი შრომისმოყვარეობა, ფეხბურთის უსაზღვრო სიყვარული — აი, რა უნდა ახასიათებდეს ახალგაზრდა ფეხბურთელს. განა უსიამოვნო არაა, როდესაც კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ არც კი შესრულებია 20 წელი (მე კონკრეტული შემთხვევა მაქვს მხედველობაში, მაგრამ გვარს არ დავასახელებ), ფეხბურთში ყოვლისმცოდნედ მიიჩნევს თავს და თმაჭალარა მწვრთნელის შენიშვნებს უკადრისობს. ამ ახალგაზრდას მიაჩნია, რომ „უკვე ყველაფერი იცის“, სინამდვილეში, ვეტერანებიც კი თავდადებით უნდა მუშაობდნენ ფეხბურთის მრავალრიცხოვანი საიდუმლოებების შესაცნობად.

**ეროსი მანჯგალაძე**

რესპუბლიკის სახალხო არტისტი



1. ყველაზე სასიხარულო დღე ჩემს სპორტულ ბიოგრაფიაში ჯერ არ დამდგარა.

2. ბევრი რამ მახარებდა და მახარებს. მაგრამ ის, რაც ნონა გაფრინდაშვილმა მოგვანიჭა, ეტყობა, განუმეორებელია.

3. 1946 წელს, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა რადიოკომენტატორს, მოსკოვში მივლინებისას თბილისის „დინამოსა“ და ერთი იქაური გუნდის მთელი მატჩის რეპორტაჟი დამევალა. დიახ, დიახ, მთელი მატჩისა, რაც ახლა ესოდენ იშვიათად ხდება. რას იზამ, დაჩაგვრა დაგვიწყო „უმცროსმა ძმამ“ — ტელევიზიამ.

დაიწყო მატჩი და მალე თბილისელებმა ანგარიშიც გახსნეს. გახსნეს და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვაუწყე ქართველ რადიომსმენელებს. წარმოვიდგინე მათი დიდი სიხარული — მოსკოვის იმ გუნდის დაჯაბვნა იოლი რამ არ იყო. აი თბილისელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს. რაღაც ეშმაკი შემიჩნდა, მოდი ამ ერთ გოლს „შავი დღისათვის“ შემოვინახავ-მეთქი და მსმენელებს... არაფერი ვაუწყე! პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა. ბრძოლა ფრიად გამწვავდა. დიდებულად თამაშობდნენ თბილისელები ბორის პაიჭაძის მეთაურობით, მაგრამ მოსკოველებიც დიდ საბრძოლო ჟინს იჩენდნენ. ორი ბურთის უპირატესობა, რა თქმა უნდა, საგრძნობი იყო, მაგრამ რა იცოდნენ ამის შესახებ თბილისში. იქ ხომ ისევ იმ ერთადერთ ბურთს დაჰკანკალებდნენ.

ტაიმი დამთავრდა. „ამხანაგო რადიომსმენელებო! ამით ვამთავრებთ პირველი ნახევრის რეპორტაჟს მოსკოვიდან. ვიმეორებთ, ანგარიშია 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ“.

და აი დაიწყო მრავალტანჯული მეორე ტაიმი. სად ჰქონდა ამდენი ენერგია მოსკოვის გუნდს. მალე მან გაქვითა კიდეც ერთი ბურთი. აქ „ოლიმპიური სიმშვიდე“ გამოვიჩინე და განვაცხადე: „ანგარიშია 1:1, ყველაფერი თავიდან იწყება“. ამასთან ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა და აი მოსკოველმა თავდამსხმელმა მეორე ბურთიც გაიტანა. ახლა კი საშინლად შემეცოდა თბილისელები. ანგარიში თანაბარი იყო, მათ კი ეგონათ, რომ „დინამო“ აგებდა! შემეცოდა და „გამოვიყენე“ კიდეც 40 წუთის წინ „შენახული“ ბურთი. გულწრფელად განვაცხადე: „არა, თბილისელები არ აგებენ. ანგარიში თანაბარია—2:2“.

ამ ორომტრიალში მეც საშინლად ავღელდი. კიდევ კარგი, რომ თბილისელებმა საოცარი თავშეკავება გამოიჩინეს და არ დაჰყარეს ფარხმალი. მალე მათ მესამე ბურთიც გაიტანეს. ეს უკვე გამარჯვება იყო — 3:2, მატჩიც სწორედ ასეთი ანგარიშით დასრულდა. დიახ, ყველაფერი კარგია, რაც კეთილად მთავრდება!

# რა არ ხდება ქვეყანაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რადიო-მკითხავი

ამას წინათ. პარიზში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟორჟ პომპიდუმ ერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად, ხელები გაშალა და წამოიძახა: მე მადამ სოლეი ხომ არ გგონივართ, რომ ყველაფერი ვიცოდე.

ქალბატონი სოლეი (ეს ფსევდონიმია, მზეს ნიშნავს) რადიო-მკითხავია. თავისი რჩევებით, „წინასწარმეტყველებით" და რეკომენდაციებით, რომლებიც, როგორც მადამ სოლეი აცხადებს, „ასტროლოგიის არაზუსტ მეცნიერებას" ეყრდნობა, იგი სისტემატურად გამოდის რადიოსადგურ „ევროპა — I"-ის გადაცემებში.

ამტკიცებენ, რომ მადამ სოლეის სახელზე ყოველდღიურად ტელეფონით 26 ათასი შეკითხვა მოდის. ამ უამრავ შეკითხვებზე ქალბატონი სოლეი რადიოთი და ტელეფონით აძლევს პასუხს.



## შტატების შემცირება

ოდესღაც შაჰების და სულთანების ჰარამხანებში ასობით უმშვენიერესი მხევლები იყვნენ. მათ არც არაბთა ხალიფები და მეფეები ჩამორჩებოდნენ. ახლა კი, იემენის ყოფილი მეფე ელ-ბადრი, რომელიც ლონდონში ცხოვრობს, იძულებული გახდა, მკვეთრად შეემცირებინა თავისი ჰარამხანის შტატი და იგი ორ საშტატო ერთეულამდე დაეყვანა.

როგორც პრესა იუწყება, ყოფილმა მონარქმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო... უკიდურესი ფინანსიური გაჭირვების გამო.



## ლუდი და რეკორდები

88 წლის ახალზელანდიელმა ჯეკ მანაკომ სცადა, მოეხსნა ლუდის ერთდროული სმის მსოფლიო „რეკორდი". მისი ცდა მარცხით დამთავრდა: ჯეკ მანაკო 76-ე ჭიქას რომ სვამდა, სკამიდან იატაკზე დაეცა და სული განუტევა.

ამან გული ვერ გაუტეხა ახალზელანდიელ „სპორტსმენებს": ჯეკის თანამემამულემ, გოდინეტმა 104 ჭიქა ლუდი დალია 9,5 საათის განმავლობაში და ამით ახალი მსოფლიო „რეკორდი" დაამყარა.

ლონდონელმა კრის ლოუსმენმა უფრო საოცარ „წარმატებას" მიაღწია: ორი წუთის განმავლობაში მან დალია ნახევარი ლიტრი ლუდი ისე, რომ თავით მიწაზე დაბჯენილი იდგა ყირაზე.



## ვაჟარი პოლკოვნიკი

ეს ამბავი საიგონში მოხდა. სამხედრო სასამართლომ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პოლკოვნიკს ჯერალდ კერლის სამი წლით ციხეში პატიმრობა და 15 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა მიუსაჯა. პროცესზე პოლკოვნიკმა აღიარა, რომ იგი ეწეოდა მარიხუანას. მაგრამ თურმე იმ მიზნით, რომ „უკეთ მინდოდა გამეგო ჩემი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის, რომლებიც სისტემატურად იღებენ ნარკოტიკებსო".

სასამართლოზე გამოირკვა, რომ პოლკოვნიკი არა მარტო თვითონ ეწეოდა მარიხუანას, არამედ ვაჭრობდა კიდეც ამ საწამლავით; ასეთი დანაშაული ითვალისწინებს ციხეს 35 წლამდე, მაგრამ სასამართლო მინიმალური სასჯელით დაკმაყოფილდა, რათა ჯერალდ კერლისათვის საშუალება მიეცა შეენარჩუნებინა თავისი ჩინი, ხელფასი და პენსიის უფლება.



## ძუძუმწოვარა რეკორდსმენი

როცა მიუნხენის საცურაო აუზში, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, გამოაცხადეს გამარჯვებულის გვარი — იოჰანეს ლეიმანი, მსაჯების მაგიდასთან ოქროს მედლის მისაღებად სპორტსმენის დედა მივიდა. გამარჯვებულს ფეხზე დგომა არ შეეძლო არა იმიტომ, რომ დაღლილი იყო, არამედ იმიტომ, რომ რეკორდსმენი ჩვილი ბავშვი იყო და სიარული ჯერ არ იცოდა. იმ დღეს, როდესაც იოჰანესმა რეკორდი დაამყარა — წყალზე დამოუკიდებლად იტივტივა 6 წუთი და 15 წამი — მას ზუსტად ცხრა თვე შეუსრულდა.

გახარებულმა დედამ თავის პირმშოს ოქროს მედალი ჩამოჰკიდა და შემდეგ ძუძუ მოაწოვა.



## ოცდახუთმეტრიანი ბატონი

ინგლისელმა ხაბაზებმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. 25 მეტრი — ასეთია სიგრძე მათ მიერ გამოცხობილი ბატონისა, რომელსაც „XX საუკუნე" უწოდეს. ეს რეკორდი სამი მეტრით სჭარბობს ახალზელანდიელი ხაბაზების მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. „თუ პური, რომელიც იესო ქრისტემ მშივრებს გაუნაწილა, ასევე გრძელი იყო, — წერს ინგლისური გაზეთი „დეილი მირორი", — მაშინ ბიბლიური ლეგენდა არც თუ ისე დიდ გადაჭარბებას შეიცავს. პური „XX საუკუნე" ხომ თავისუფლად შეიძლება დაიჭრას 5.000 მოზრდილ ნაჭრად!" მაგრამ მთავარი ის არის. ეყოფა თუ არა ეს პური იჭაურ ლარიბლატაკებს?!

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: პლაკატი ჩვენი დიადი დღესასწაული. მხატვარი თ. სამსონაძე. ჩანართის პირველ გვერდზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ ა ს ი ლ მ ჟ ა ვ ა ნ ა ძ ე ხევსურეთში. ფოტო ო. თურქიასი და ბ. დადვაძისა. მეოთხე გვერდზე: თბილისის პეიზაჟი. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

სკპ კპ ცკ-ის გამომცემლობა

ტექრედაქტორი დ. ხ ე ფ ი ა შ ვ ი ლ ი. კორექტორი ტ. თ ა ბ ო რ ი ძ ე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 12/IV-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/IV-71 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,1. ტირაჟი 51.100. შეკვ. № 1423. უე 02010.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.





ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის მშვენება — ასე შეარქვეს ჩვენი დედაქალაქის მშრომელებმა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ახალ საკონცერტო დარბაზს. ეს ძვირფასი საიუბილეო საჩუქარია საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წლისთავზე. ახალი საკონცერტო დარბაზი უნივერსალური დანიშნულების ნაგებობაა. მასში არის ორი დარბაზი: ერთი იტევს 2.500 კაცს, ხოლო მეორე — 650 კაცს. აქ ჩატარდება კონცერტები, თეატრალიზებული დადგმები, მოეწყობა ჩვეულებრივი ფართოეკრანიანი და პოლიეკრანული ფილმების დემონსტრირება. ფაქიზი გემოვნებით მორთულ დარბაზში მოეწყობა ყრილობები, კონფერენციები, სიმპოზიუმები სინქრონული თარგმნით ხუთ ენაზე.

ახალი საკონცერტო დარბაზი უფრო მეტ შნოსა და ლაზათს მატებს ჩვენს დედაქალაქს.



ფოტო
ა. კავკასიძისა
და
ო. ლუკიანცევისა



ИНДЕКС 76056



ეროვნული
ბიბლიოთეკა